



პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატების შესახებ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა
სსიპ აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის მიერ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების: „ელექტრობა“, „მსუბუქი
ავტომობილის შიგა წვის ძრავას შეკეთება“, „მსუბუქი ავტომობილის სავალი ნაწილის შეკეთება“, „მსუბუქი ავტომობილის ელექტრო და
ელექტრონული სისტემების შეკეთება“ დამატება

ექსპერტთა ჯგუფის წევრები

თავმჯდომარე: თეკლე ცუცქერიძე

წევრები:

ნათია მაწკეპლაძე

ზვიად ოდიშელი

მაგული მებონია

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: თ. ცუცქერიძე

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ნ. მაწკეპლაძე

ზ. ოდიშელი

მ. მებონია



ნაწილი I. შესავალი

I. ინფორმაცია დაწესებულების შესახებ

დაწესებულების სახელწოდება: სსიპ აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ორგანიზაციულ სამართლებრივი ფორმა: საჯარო სამართლის იურიდიული პირი

საიდენტიფიკაციო კოდი: **212693049**

სახე:

☒ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება

☐ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება

☐ პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულება/კოლეჯი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: თ. ცუცქერიძე -----

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: -----

ე. ბუბია

ნ. მანუაშვილი



II. ვიზიტის საერთო მიმოხილვა

სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2026 წლის 29 ივნისის №816444 ბრძანების საფუძველზე, ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფს დაევალა ვიზიტის განხორციელება სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტში პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების „მსუბუქი ავტომობილის სავალი ნაწილის შეკეთება“, „მსუბუქი ავტომობილის შიგა წვის ძრავის შეკეთება“, „მსუბუქი ავტომობილის ელექტრო და ელექტრონული სისტემების შეკეთება“ და „ელექტროობა“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის დებულების“ 31-ე მუხლის მე-2 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტით განსაზღვრულ სტანდარტთან, აგრეთვე „ე“ ქვეპუნქტით განსაზღვრული სტანდარტის „ე.ა“ და „ე.ბ“ კომპონენტებთან შესაბამისობის შეფასების მიზნით.

ექსპერტებმა შეისწავლეს დაწესებულების მიერ სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში წარმოდგენილი განაცხადი და თანდართული დოკუმენტაცია. შედგა ვიზიტის დღის წესრიგი და შესაბამისად განხორციელდა ვიზიტი სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტში შემდეგ მისამართებზე: ქ. ქუთაისი, ახალგაზრდობის გამზირი №98 და ქ. ქუთაისი, ჭავჭავაძის გამზირი №21.

ვიზიტის ფარგლებში ექსპერტთა ჯგუფმა დაათვალიერა პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელებისთვის განკუთვნილი სასწავლო ინფრასტრუქტურა, პრაქტიკული სწავლების სივრცეები, სახელოსნოები, ლაბორატორიები, აუდიტორიები, ბიბლიოთეკა, კომპიუტერული რესურსები და პროგრამების განხორციელებისთვის საჭირო მატერიალურ-ტექნიკური ბაზა. ასევე შეფასდა სასწავლო გარემოს შესაბამისობა ავტორიზაციის სტანდარტებით განსაზღვრულ მოთხოვნებთან.

ექსპერტები შეხვდნენ და გაესაუბრნენ უნივერსიტეტის ადმინისტრაციის წარმომადგენლებს, პროფესიული განათლების მიმართულების ხელმძღვანელებს, პროფესიული განათლების მასწავლებლებს, პროგრამების განხორციელებაზე პასუხისმგებელ პირებს, სტუდენტებს, კურსდამთავრებულებს, დამსაქმებლებსა და პრაქტიკის ობიექტების წარმომადგენლებს. გასაუბრებების ფარგლებში შეფასდა პროგრამების განხორციელების პროცესი, ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები, ადამიანური რესურსები, მატერიალური რესურსები და დამსაქმებლებთან თანამშრომლობის პრაქტიკა.

ვიზიტისა და წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესწავლის პროცესში ექსპერტთა ჯგუფმა დაადგინა, რომ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებში – „ელექტროობა“, „მსუბუქი ავტომობილის შიგა წვის ძრავის შეკეთება“, „მსუბუქი ავტომობილის სავალი ნაწილის შეკეთება“ და „მსუბუქი ავტომობილის ელექტრო და ელექტრონული სისტემების შეკეთება“ – ცალკეული მოდულების განხორციელების ფორმად მითითებული იყო დისტანციური სწავლება.

ვიზიტის ფარგლებში ადმინისტრაციისა და პროგრამების განხორციელებაზე პასუხისმგებელ პირებთან ჩატარებული ინტერვიუებისას დაწესებულების წარმომადგენლებმა განმარტეს, რომ აღნიშნული ჩანაწერები გამოწვეული იყო დოკუმენტაციის მომზადებისას დაშვებული ტექნიკური და მექანიკური

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

თ. ცუცქერიძე

თ. ცუცქერიძე

ნ. მანუაშვილი

ნ. მანუაშვილი



შეცდომით. მათი განმარტებით, დაწესებულება არ გეგმავს არც ერთი მოდულის დისტანციურ ფორმატში განხორციელებას და ყველა მოდულის სწავლება განხორციელდება მხოლოდ დასწრებითი ფორმით, პროგრამების სპეციფიკისა და სწავლის შედეგების გათვალისწინებით.

აღნიშნული გარემოების გათვალისწინებით დადასტურდა, რომ დაწესებულებას არ აქვს შემუშავებული დისტანციური სწავლების განხორციელების წესი, რაც მოცემულ შემთხვევაში შეფასების საგანს არ წარმოადგენს, ვინაიდან დაწესებულება არ აპირებს პროფესიული პროგრამების ან მათი ცალკეული მოდულების დისტანციური ფორმით განხორციელებას.

შესაბამისად, ექსპერტთა ჯგუფი მიზანშეწონილად არ მიიჩნევს შეფასებული პროგრამების ფარგლებში რომელიმე მოდულის დისტანციური ფორმით განხორციელებას და შეფასება განხორციელდა იმ დაშვებით, რომ პროგრამები სრულად განხორციელდება დასწრებითი სწავლების ფორმატში.

დოკუმენტაციის ანალიზის, დათვალიერებისა და გასაუბრებების შედეგები დეტალურად არის ასახული ექსპერტთა დასკვნაში.

III. საუკეთესო გამოცდილების საერთო მიმოხილვა

გთხოვთ, მოიყვანოთ საუკეთესო გამოცდილების მაგალით(ებ)ი, ასეთის არსებობის შემთხვევაში.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: თ. ცუცქერიძე

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ა. ბერიძე

ბ. მანუაშვილი



ნაწილი II. სტანდარტთან შესაბამისობა და რეკომენდაციები

I. პროგრამის ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის ცხრილი

სტანდარტი/კომპონენტი	საგანმანათლებლო დაწესებულების შეფასება (მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)	ექსპერტთა ჯგუფის შეფასება (მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)
2) საგანმანათლებლო პროგრამები	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
2.1) საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვა და შემუშავება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
2.2) საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების რესურსი	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
2.3) საგანმანათლებლო პროგრამების შეფასება და განვითარება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
2.4) სასწავლო პროცესის ორგანიზება და პროფესიულ სტუდენტთა შეფასება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

თ. ცუცქერიძე

ნ. მანუჩაძე



II. გამოვლენილი ხარვეზების შეჯამება

გთხოვთ, ასახოთ ყველა ხარვეზი (სტანდარტის შეუსაბამობა), რომელიც გამოვლინდა ვიზიტის პერიოდში, სტანდარტის ინდიკატორის მითითებით.

III. სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაციების შეჯამება

გთხოვთ, ასახოთ ყველა ის რეკომენდაცია, რომელიც დაწესებულებას მიეცა II სტანდარტთან შესაბამისობის უზრუნველსაყოფად, სტანდარტის ინდიკატორის მითითებით.

IV. განმავითარებელი რეკომენდაციების შეჯამება

2.4.1.3. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „ელექტრობა“ მოდულში „ელექტრული ტექნოლოგია“ მე-5 სწავლის შედეგი „სფეროში ორგანიზაციული მოწყობის ძირითადი პრინციპების აღწერა“ ფარგლებში, რეკომენდებულია სასწავლო ექსკურსიის მოწყობა ენერგობიძეში, რაც რეალურ გარემოში გამოცდილების მიღების საშინაარია.

V. ინფორმაცია ექსპერტთა ჯგუფის მიერ არგუმენტირებული პოზიციის გაზიარების ან არ გაზიარების თაობაზე

ექსპერტთა ჯგუფი დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას იზიარებს.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ა. ბერიძე

თ. ცუცქერიძე
ნ. მანუაშვილი



I.

პროგრამის სახელწოდება	ელექტრობა
პროფესიული განათლების დონე	მესამე
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	საბაზო პროფესიული კვალიფიკაცია ელექტრობაში
სწავლის დეტალური სფეროს კოდი	0713
პროგრამის დამტკიცების აქტის რეკვიზიტები	აწსუ აკადემიური საბჭოს დადგენილება №60(25/26), 15/06/2026
პროგრამის განხორციელების ენა	ქართული
პროგრამის განხორციელების მისამართი/მისამართები	ქუთაისი, ჭავჭავაძის გამზირი N 21
პროგრამის განხორციელების ფორმა (რეალურ სამუშაო გარემოში/იმიტირებულ სამუშაო გარემოში)	იმიტირებულ სამუშაო გარემოში
რეალურ სამუშაო გარემოში სწავლების ფორმა (კოოპერაციული/დუალური)	-
პროგრამაზე მოთხოვნილი პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა სწავლების ფორმის მიხედვით	40

7

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: თ. ცუცქერიძე

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ე. ბუბია

ნ. მანუაშვილი



მოთხოვნილი სტუდენტთა ზღვრული რაოდენობიდან, პროფესიული სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა იმ სასწავლო გეგმაზე, რომელიც მოიცავს ინტეგრირებულ ზოგად მოდულებს სწავლების ფორმის მიხედვით (არსებობის შემთხვევაში)	-
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	-
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	66
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	-
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	81

II. ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასაბუთება პროგრამაზე მოთხოვნილი პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის შესახებ

ექსპერტთა ჯგუფი ეთანხმება ☒
ექსპერტთა ჯგუფი არ ეთანხმება ☐

იმ შემთხვევაში, თუკი ექსპერტთა ჯგუფი არ ეთანხმება მოთხოვნილ პროფესიულ სტუდენტთა ზღვრულ რაოდენობას, მიუთითეთ ადგილების შესაძლო ზღვრული რაოდენობა ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით, მისამართების, განხორციელების ფორმისა და არსებობის შემთხვევაში, ინტეგრირებული სასწავლო გეგმის მიხედვით და შემდეგ დაასაბუთეთ თქვენი შეფასება.

პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა ადგილების შესაძლო ზღვრული რაოდენობა ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით, მისამართებისა და განხორციელების ფორმის მიხედვით	
სტუდენტთა ზღვრული რაოდენობიდან, პროფესიულ სტუდენტთა ადგილების შესაძლო ზღვრული რაოდენობა ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით იმ სასწავლო გეგმაზე, რომელიც მოიცავს ინტეგრირებულ ზოგად მოდულებს (არსებობის შემთხვევაში).	

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: თ. ცუცქერიძე -----

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: -----

ა. ბერიძე

ნ. მანუჩიძე



დასაბუთება

III. პროგრამის ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის ცხრილი

ნაწილი IV. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასება

2. საგანმანათლებლო პროგრამები

2.1 საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვა და შემუშავება

2.1.1 პროგრამა შემუშავებულია პსდ-ში დანერგილი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის და შემუშავების მეთოდოლოგიის შესაბამისად

1. პსდ-ს გადაწყვეტილება საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შესახებ ეფუძნება შესაბამის დასაბუთებას და შეესაბამება პსდ-ს მისიას და სტრატეგიული განვითარების გეგმას;
2. საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობები და პროცედურები უზრუნველყოფს პროგრამაზე ისეთ პირთა დაშვებას, რომელთა წინარე ცოდნა, უნარები ან/და გამოცდილება უზრუნველყოფს პროგრამის განხორციელების ვადაში პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას;
3. პსდ საგანმანათლებლო პროგრამისთვის პროფესიულ სტუდენტთა ზღვრულ ოდენობას განსაზღვრავს შესაბამისი მეთოდოლოგიის მიხედვით;
4. საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტის მიერ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას;
5. საგანმანათლებლო პროგრამის არჩევითი მოდულები, მათი არსებობის შემთხვევაში, ლოგიკურ კავშირშია მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან ან/და პროფესიული სტუდენტის მომავალ საქმიანობასთან;
6. საგანმანათლებლო პროგრამა დამტკიცებულია დაწესებულების უფლებამოსილი პირის/ორგანოს მიერ;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:



თ. ცუცქერიძე
ნ. მანუაშვილი




7. პროგრამის სახელწოდება შეესაბამება პროგრამის შინაარსს/პროგრამით გათვალისწინებულ მისაღწევ სწავლის შედეგებს და არ არის შეცდომაში შემყვანი;
8. პსდ-ს საგანმანათლებლო პროგრამა შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებასთან დაკავშირებულ, კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. პსდ-ს გადაწყვეტილება საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შესახებ ეფუძნება შესაბამის დასაბუთებას და შეესაბამება პსდ-ს მისიას და სტრატეგიული განვითარების გეგმას

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა “ელექტრობა” სრულად შესაბამისობაშია პსდ-ს მისია-სა და სტრატეგიულ განვითარების გეგმასთან. სსიპ აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის გადაწყვეტილება პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შესახებ ეფუძნება მიზანშეწონილობის დასაბუთებას და შეესაბამება ენერგეტიკისა და ტელეკომუნიკაციების დეპარტამენტის მიზნებსა და ამოცანებს.

პროგრამის მიზანია პროფესიული განათლების პროცესით უზრუნველყოს მაღალკვალიფიციური, საზოგადოებისა და შრომის ბაზრის საჭიროებაზე ორიენტირებული კადრების აღზრდა; გაითვალისწინოს ბაზრის მოთხოვნები პროფესიული განათლების განხორციელების პროცესში; დანერგოს და განავითაროს მთელი სასწავლო ციკლის განმავლობაში სწავლისა და კვალიფიკაციის ამაღლების მოქნილი სისტემა. აღნიშნული მიდგომა უზრუნველყოფს პროგრამის სტრატეგიულ მიზნებთან სრულ შესაბამისობას, სტუდენტების მომზადების ხარისხს და პროფესიული განათლების სისტემის ეფექტიანობას.

წარმოდგენილი დოკუმენტაციისა და მიღებული ინფორმაციის ანალიზი ადასტურებს, რომ „ელექტრობის“ პროგრამის განხორციელების გადაწყვეტილება მიღებულია დაწესებულების შიდა პოლიტიკის, ხარისხის უზრუნველყოფის წესებისა და შესაბამისი კოლეგიური ორგანოების პროცედურების დაცვით. პროგრამა შეესაბამება მისიას, სტრატეგიულ მიზნებსა და რეგიონული განვითარების საჭიროებებს. ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

2. საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობები და პროცედურები უზრუნველყოფს პროგრამაზე ისეთ პირთა დაშვებას, რომელთა წინარე ცოდნა, უნარები ან/და გამოცდილება უზრუნველყოფს პროგრამის განხორციელების ვადაში პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას

დაწესებულების აკადემიური საბჭოს 2025 წლის 11 დეკემბრის №01-04-90 დადგენილებით დამტკიცებულია “სსიპ აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესიული განათლების ცენტრის სასწავლო პროცესისა და ხარისხის უზრუნველყოფის მარეგულირებელი წესი“. დოკუმენტში გაწერილია პროფესიული სტუდენტის სტატუსის მოპოვების წინაპირობები, ჩარიცხვის ეტაპები, დაწესებულების მიერ ანკეტა-კითხვარის შევსების წესები, აპლიკანტთა რეგისტრაციის პირობები, აპლიკანტთა შერჩევის პროცედურები

10

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

თ. ცუცქერიძე

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ე. ბუბია

ნ. მანუაშვილი



საბაზო, საშუალო და უმაღლეს პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე, ტესტირების ორგანიზების საკითხები, აპელაციის წესი, სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პირთა ჩარიცხვის პროცედურა, განსაზღვრულია არასრულწლოვანი პირის ჩარიცხვის შემთხვევაში მისი კანონიერი წარმომადგენლის არსებობისა და დადასტურების წესები.

სსიპ აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე „ელექტრობა“ დაშვების წინაპირობები და პროცედურები გაწერილია პროფესიულ საგანმანათლებლო სტანდარტში - „ელექტრობა.“ პროგრამის წინაპირობაა საბაზო განათლება. პროგრამა შედგენილია ისე, რომ უზრუნველყოს საბაზო ცოდნის ბაზაზე, პროგრამის განხორციელების ვადაში განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევა აწსუ-ს მიერ აპლიკანტთა შერჩევა საავტორიზაციო პროგრამაზე ხორციელდება მოტივაციური გასაუბრებით.

ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

3. პსდ საგანმანათლებლო პროგრამისთვის პროფესიულ სტუდენტთა ზღვრულ ოდენობას განსაზღვრავს შესაბამისი მეთოდოლოგიის მიხედვით

სსიპ აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორის ბრძანებით №12 § 17 (24.01.2023წ.) დამტკიცებულია სსიპ აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტში პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგია, რომლის მიხედვითაც დაწესებულების პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული ოდენობის განსაზღვრისას მხედველობაში მიიღება:

- A სასწავლო გარემოში პროფესიულ სტუდენტთა სამუშაო ადგილების რაოდენობა;
- B სასწავლო გარემოში პროფესიულ სტუდენტთა სამუშაო ადგილების რაოდენობა;
- C სასწავლო გარემოში პროფესიულ სტუდენტთა სამუშაო ადგილების რაოდენობა ან სასწავლო გარემოს ფართი;
- დასაშვებია ერთ სივრცეში ორი ან მეტი ტიპის სასწავლო გარემოს კომბინირებული მოდელის შექმნა. მაგალითად ერთ სივრცეში A და B, A და C, B და C ან A, B და C გარემოს კომბინირება.
- დასაშვებია სხვადასხვა პროგრამის განხორციელების მიზნებისათვის ერთი და იმავე სივრცის გამოყენება თუ ის თავსებადია სასწავლო გარემოს და აღჭურვილობის ნორმატივების თვალსაზრისით, კვირეული დატვირთვის გათვალისწინებით, ასევე ცხრილის შედგენის შესაძლებლობა შეჭრილი ცხრილის პრინციპით.
- სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრისას მხედველობაში მიიღება პრაქტიკის ობიექტთან გაფორმებულ ხელშეკრულებაში მითითებული პრაქტიკის ობიექტის მიერ პროფესიულ სტუდენტთა/მსმენელთა ზღვრული რაოდენობის ერთდროულად მიღების შესაძლებლობა.
- პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ხანგრძლივობა;
- საწარმოო პრაქტიკის ობიექტების რესურსი;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

თ. ცუცქერიძე

ნ. მანუაშვილი



- პროგრამის განმახორციელებელი პროფესიული საჭირო ადამიანური რესურსის რაოდენობა.

შესაძლებელია ერთმა პროფესიული განათლების მასწავლებელმა განახორციელოს რამდენიმე სხვადასხვა მოდული შრომის კოდექსით განსაზღვრული ჩასატარებელი კვირეული საათების (კვირაში მაქსიმუმ 40 საათიანი დატვირთვა) გათვალისწინებით შედგენილი სასწავლო განრიგის მიხედვით.

დაწესებულების მიერ წარმოდგენილია პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე „ელექტრობა“ მოთხოვნილი პროფესიული სტუდენტების ზღვრული რაოდენობისა და განხორციელების მიზანშეწონილობის დასაბუთება. პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობასთან დაკავშირებით დოკუმენტში აღნიშნულია, რომ არსებული კვოტისათვის დაწესებულებას ჰყავს სათანადო კვალიფიკაციისა და გამოცდილების მქონე პროფესიული განათლების მასწავლებლები, გააჩნია ყველა საჭირო რესურსი და უზრუნველყოფს პრაქტიკის სრულყოფილ სასწავლო პროცესს.

აღნიშნული პროფესიული პროგრამისთვის დადგენილია საერთო კვოტა 40 პროფესიული სტუდენტის რაოდენობით.

პასუხისმგებელ პირთა ინტერვიუებისა და დაწესებულების მატერიალურ-ტექნიკური ბაზის დათვალიერების, ასევე, პროგრამის ანალიზითა დასტურდება, რომ დაწესებულებამ პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა განსაზღვრა არსებული მეთოდოლოგიის შესაბამისად.

ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

4. საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტის მიერ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას

დაწესებულების მიერ შემუშავებული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „ელექტრობა“ მოდულების განხორციელებისათვის განსაზღვრული და დამტკიცებულია შესაბამისი მატერიალურ-ტექნიკური აღჭურვილობა, საგანმანათლებლო რესურსები და სხვა საჭირო ინვენტარი, რომელიც უზრუნველყოფს მოდულებით გათვალისწინებული სწავლის შედეგების სრულფასოვან მიღწევას.

პროგრამის თითოეულ მოდულში მითითებულია სწავლების პროცესისთვის აუცილებელი საგანმანათლებლო რესურსები, მათ შორის სასწავლო მასალები, სპეციალური ხელსაწყოები, ელექტროტექნიკური მოწყობილობები, საზომი ხელსაწყოები, პრაქტიკული სამუშაოებისთვის საჭირო დანადგარები და დამხმარე ინვენტარი. აღნიშნული რესურსების შერჩევა განხორციელებულია მოდულის სპეციფიკის, სწავლის შედეგებისა და პროფესიული საქმიანობისათვის საჭირო კომპეტენციების გათვალისწინებით.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

Handwritten signature in blue ink

თ. ცუცქერიძე
ნ. მანუაშვილი
Handwritten signature in blue ink



პროგრამის პრაქტიკული კომპონენტების განხორციელებისთვის განსაზღვრული მატერიალური რესურსი უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტების მიერ ელექტრული წრედების აწყობის, ელექტრული დანადგარების მონტაჟის, ტექნიკური მომსახურების, დიაგნოსტიკის, გაზომვებისა და უსაფრთხოების წესების პრაქტიკაში გამოყენების უნარების განვითარებას.

მოდულებში აღწერილი საგანმანათლებლო რესურსები შესაბამისობაშია მოდულების სწავლის შედეგებთან და ხელს უწყობს სტუდენტების მიერ როგორც თეორიული ცოდნის შეძენას, ისე პრაქტიკული უნარ-ჩვევების ჩამოყალიბებას. არსებული რესურსები იძლევა შესაძლებლობას, სასწავლო პროცესი განხორციელდეს პრაქტიკაზე ორიენტირებული მიდგომით და სტუდენტებმა შეძლონ პროფესიული ამოცანების შესრულება რეალურ სამუშაო გარემოსთან მიახლოებულ პირობებში.

დაწესებულების მიერ დამტკიცებული მატერიალური რესურსების ჩამონათვალი მოიცავს პროგრამის ყველა მოდულის განხორციელებისთვის საჭირო აღჭურვილობას და უზრუნველყოფილია მათი ხელმისაწვდომობა პროფესიული სტუდენტებისთვის. რესურსების არსებობა დასტურდება შესაბამისი დოკუმენტაციითა და ადგილზე დათვალიერებით.

ამდენად, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „ელექტრობა“ მოდულების განხორციელებისთვის განსაზღვრული მატერიალურ-ტექნიკური ბაზა და საგანმანათლებლო რესურსები სრულად შეესაბამება მოდულებით განსაზღვრულ სწავლის შედეგებს და უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტების მიერ შესაბამისი პროფესიული კომპეტენციების მიღწევას.

ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

5. საგანმანათლებლო პროგრამის არჩევითი მოდულები, მათი არსებობის შემთხვევაში, ლოგიკურ კავშირშია მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან ან/და პროფესიული სტუდენტის მომავალ საქმიანობასთან

დამტკიცებულ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამას „ელექტრობა“ არ აქვს არჩევითი მოდულები.

ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

6. საგანმანათლებლო პროგრამა დამტკიცებულია დაწესებულების უფლებამოსილი პირის/ორგანოს მიერ

აწსუ-ს აკადემიური საბჭოს №60(25/26), 15.06.26წ. დადგენილებით დამტკიცებულია საქართველოს დაწესებულებაში პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავების, შეფასების და განვითარების წესი. აღნიშნული წესის მიხედვით საგანმანათლებლო პროგრამას

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: თ. ცუცქერიძე

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ე. ბუბია

ნ. მანუაშვილი



ამტკიცებს უნივერსიტეტის აკადემიური საბჭო. შესაბამისად, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „ელექტრობა“ დამტკიცებულია უფლებამოსილი პირის - სსიპ აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს მიერ 15.06.2026 წლის №60(25/26) დადგენილებით.

ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

7. პროგრამის სახელწოდება შეესაბამება პროგრამის შინაარსს/პროგრამით გათვალისწინებულ მისაღწევ სწავლის შედეგებს და არ არის შეცდომაში შემყვანი

საგანმანათლებლო სტანდარტის საფუძველზე შექმნილი საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება „ელექტრობა“ შეესაბამება პროგრამის შინაარსს, პროგრამით გათვალისწინებულ მისაღწევ სწავლის შედეგებს და არ არის შეცდომაში შემყვანი; ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

8. პსდ-ს საგანმანათლებლო პროგრამა შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებასთან დაკავშირებულ, კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „ელექტრობა“ შემუშავებულია პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტის საფუძველზე და შესაბამისობაშია აღნიშნულ საგანმანათლებლო სტანდარტთან. პროგრამა მომზადებულია სსიპ აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავების, შეფასების და განვითარების წესის“ მიხედვით, პროცედურების სრული დაცვით. პროგრამით განსაზღვრულია პროგრამის სახელწოდება, მიზნები, მისანიჭებელი კვალიფიკაცია, პროგრამაზე დაშვების წინაპირობები, მისაღწევი სწავლის შედეგები, შეფასების მიმართულებები, პროგრამის მოცულობა, პროგრამის სავარაუდო ხანგრძლივობა, კვალიფიკაციის მინიჭების პირობები და სხვა. საგანმანათლებლო პროგრამის პაკეტი შედგება პროგრამის ძირითადი დოკუმენტის, მოდულების, სასწავლო გეგმისგან (მათ შორის ქართული ენის A2 და ქართული ენის B2 გათვალისწინებით და მის გარეშეც), პროგრამის პაკეტს თან ერთვის ინფორმაცია ადამიანური და მატერიალური რესურსების შესახებ. ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

თ. ცუცქერიძე
ნ. მანუაშვილი



- აწსუ-ს სტრატეგიული განვითარების გეგმა პროფესიული განათლების სფეროში;
- აწსუ საგანმანათლებლო პროგრამების ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკა - EP-QA პოლიტიკა;
- საგანმანათლებლო პროგრამა „ელექტრობა“ საგანმანათლებლო პროფესიული სტანდარტი;
- აწსუ-ს რექტორის ბრძანება №12 § 17 (24.01.2023წ.)
- პროფესიული სტუდენტების ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგია.
- აწსუ-ს აკად საბჭოს დადგენილება №60(25/26), 15.06.26წ.
- პროფესიული პროგრამა „ელექტრობა“ სასწავლო გეგმა,
- აწსუ აკადემიური საბჭოს დადგენილება №8(21-22)
- დაინტერესებულ მხარეებთან ინტერვიუს შედეგები.

შეფასება:

- ☒ შეესაბამება
- ☐ მეტწილად შეესაბამება
- ☐ ნაწილობრივ შეესაბამება
- ☐ არ შეესაბამება

2.2 საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების რესურსი

2.2.1 პროგრამა უზრუნველყოფილია პროგრამის განსახორციელებლად საჭირო რესურსებით

1. პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია დაწესებულების/სასწავლო საწარმოს/პრაქტიკის ობიექტის მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით;
2. პროგრამისთვის განსაზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას;
3. პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებელს აქვს პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია;
4. საგანმანათლებლო პროგრამას ჰყავს პსდ-ს მიერ განსაზღვრული, შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი;
5. საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია ელექტრონული სახით ან დაწესებულების ბიბლიოთეკაში მატერიალური სახით და გამოიყენება სასწავლო პროცესში;
6. სსსმ პირებს წვდომა აქვთ პროგრამით გათვალისწინებულ ან ინდივიდუალური სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სასწავლო რესურსებთან, რომლებიც ადაპტირებულია სსსმ პირების საჭიროებებისა და მოთხოვნილებების შესაბამისად;
7. პსდ-ს ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობა.

15

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: თ. ცუცქერიძე _____

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: _____

ა. ბერიძე

ნ. მანუაშვილი



კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია დაწესებულების/სასწავლო საწარმოს/პრაქტიკის ობიექტის მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით

პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია უნივერსიტეტის მფლობელობაში არსებული, თანამედროვე სტანდარტების შესაბამისი მატერიალურ-ტექნიკური რესურსით, რომელიც სრულად შეესაბამება პროფესიული პროგრამის სპეციფიკას და გათვლილია პროგრამაზე დაშვებული პროფესიული სტუდენტების ზღვრულ რაოდენობაზე – 40 პროფესიულ სტუდენტზე.

აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტში პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „ელექტრობა“ განხორციელებისთვის გამოყოფილია სასწავლო სივრცეები, რომლებიც მდებარეობს უნივერსიტეტის მე-18 კორპუსის (ქუთაისი, ჭავჭავაძის გამზირი №21) პირველ სართულზე. პროგრამის განხორციელებისთვის გამოიყენება A/C და B სასწავლო გარემოები, რომლებიც მოწყობილია პროფესიული განათლების სტანდარტების, შრომის უსაფრთხოების მოთხოვნებისა და სასწავლო პროცესის ორგანიზების პრინციპების შესაბამისად.

სასწავლო სივრცეები უზრუნველყოფილია შესაბამისი ფართობით, ბუნებრივი და ხელოვნური განათებით, ვენტილაციის სისტემით, გათბობა-გაგრილების საშუალებებით, ელექტროენერგიის უსაფრთხო მიწოდებით, ინტერნეტზე ხელმისაწვდომობით, სახანძრო უსაფრთხოების საშუალებებითა და შრომის უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისი ინფრასტრუქტურით. აღნიშნული გარემო ქმნის უსაფრთხო, ფუნქციურ და ეფექტიან პირობებს როგორც თეორიული, ისე პრაქტიკული სწავლების განხორციელებისთვის.

პროგრამის ფარგლებში პრაქტიკული კომპონენტის სრულფასოვნად განხორციელების მიზნით სასწავლო გარემოები აღჭურვილია იმ ტექნიკური მოწყობილობებით, ინსტრუმენტებით, სასწავლო სტენდებით, ელექტრომონტაჟისათვის საჭირო მასალებითა და დამხმარე ინვენტარით, რომლებიც აუცილებელია პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მისაღწევად. აღჭურვილობა შეირჩა პროფესიული სტანდარტის მოთხოვნების შესაბამისად და უზრუნველყოფს სტუდენტების მიერ ელექტრული მონტაჟის, ელექტრული წრედების აწყობის, ელექტრული გაზომვების, დიაგნოსტიკის, ექსპლუატაციისა და უსაფრთხო მუშაობის პრაქტიკული უნარების განვითარებას.

პროგრამაში დანართის სახით წარმოდგენილია A, B და C სასწავლო გარემოების დეტალური ჩამონათვალი, რომელშიც აღწერილია თითოეული სასწავლო სივრცის აღჭურვილობა, მატერიალურ-ტექნიკური რესურსი, ინსტრუმენტები, მოწყობილობები და სხვა საჭირო

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები



ინვენტარი. აღნიშნული რესურსის არსებობა უნივერსიტეტის მიერ დადასტურებულია შესაბამისი ფლობის დამადასტურებელი დოკუმენტაციით, ინვენტარიზაციის მასალებითა და ადგილზე დათვალიერების შესაძლებლობით.

არსებული მატერიალური რესურსი რაოდენობრივად და ხარისხობრივად შეესაბამება პროგრამაზე განსაზღვრულ 40 პროფესიულ სტუდენტს. სასწავლო პროცესის ორგანიზებისას უზრუნველყოფილია სტუდენტების ეფექტიანი ჩართულობა პრაქტიკულ სამუშაოებში, ინდივიდუალური და ჯგუფური დავალებების შესრულების შესაძლებლობა, თითოეული სტუდენტისათვის საჭირო აღჭურვილობასა და სამუშაო სივრცეზე ხელმისაწვდომობა, რაც მნიშვნელოვნად უწყობს ხელს პროფესიული კომპეტენციების განვითარებას.

პროგრამის განხორციელებისას გამოყენებული მატერიალური რესურსი ექვემდებარება მუდმივ მონიტორინგს, განახლებასა და საჭიროების შემთხვევაში შევსებას, რათა სრულად იყოს დაცული პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის მოთხოვნები, ტექნოლოგიური განვითარების ტენდენციები და დამსაქმებელთა მოთხოვნები.

ამდენად, უნივერსიტეტის მფლობელობაში არსებული სასწავლო ინფრასტრუქტურა, მატერიალურ-ტექნიკური ბაზა და პრაქტიკული სწავლებისათვის განკუთვნილი რესურსები სრულად უზრუნველყოფს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამით „ელექტრობა“ განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას და შეესაბამება პროგრამაზე დაშვებული პროფესიული სტუდენტების ზღვრულ რაოდენობას.

ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

2. პროგრამისთვის განსაზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას

პროგრამის 12 მოდულის განხორციელებაში ფაქტიურად ჩართულია 12 კვალიფიციური პროფესიული მასწავლებელი, რომელთა საშუალო დატვირთვა შეადგენს 100 – 150 საათს. განმახორციელებელი პერსონალს აქვს შესაბამისი მიმართულებით სწავლების და მუშაობის არანაკლებ 5 წლის გამოცდილება. მათი უმრავლესობა შესაბამისი დარგის სპეციალისტები არიან.

პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობის შეფარდება სტუდენტების ზღვრულ რაოდენობასთან სრულად უზრუნველყოფს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას.

ვიზიტის ფარგლებში შესწავლილ იქნა პერსონალის პირადი საქმეები. დაწესებულებას შემუშავებული და დამტკიცებული აქვს პროფესიული განათლების მასწავლებელთა დატვირთვის მეთოდოლოგია, რომლის გათვალისწინებით ყოველი სასწავლო წლის დაწყების

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: თ. ცუცქერიძე

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ა. ბერიძე

ნ. მანუაშვილი



წინ დაგეგმილია პროფესიული განათლების მასწავლებელთა საათობრივი დატვირთვის სქემების შედგენა, რათა პერსონალის დატვირთვა არ აცდეს საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრულ მოთხოვნებს.

წარმოდგენილი მასალებითა და გასაუბრებით დგინდება, რომ დაწესებულებას რიგ მოდულებზე ჰყავს არანაკლებ ორი განმახორციელებელი პერსონალი. ვიზიტის მიმდინარეობისას ექსპერტები გაესაუბრნენ, განმახორციელებელ პირებს. პერსონალთან გაფორმებულია შრომითი ხელშეკრულებები.

ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით, „ელექტრობის“ პროგრამისათვის წარმოდგენილი განმახორციელებელი პერსონალის რაოდენობა და დატვირთვის განაწილება საკმარისია, რეალისტურია და უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის მდგრად, უწყვეტ და ხარისხიან განხორციელებას.

ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

3. პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებელს აქვს პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია

პროფესიული მოდულების განმახორციელებელი პერსონალს აქვს შესაბამისი მიმართულებით სწავლების და მუშაობის არანაკლებ 5 წლის გამოცდილება. მათი უმრავლესობა შესაბამისი დარგის სპეციალისტები არიან. დამადასტურებელი დოკუმენტაცია: კვალიფიკაციის დამადასტურებელი დიპლომები, შრომის წიგნაკის ასლები და აკადემიური ინფორმაციები, პერსონალის პირადი საქმის სახით ინახება აწსუ-ს ადამინური რესურსების მართვის პროგრამით დასახული სწავლის შედეგების გამომუშავების და მათი კომპეტენტური შეფასების მიზნით პროფესიულ მასწავლებლებად ძირითადად მოწვეული არიან აწსუ-ს ენერგეტიკისა და ტელეკომუნიკაციების დეპარტამენტის თანამშრომლები, რომლებსაც გააჩნიათ როგორც პროფესიულ, ასევე აკადემიურ სტუდენტებთან მუშაობის მრავალწლიანი გამოცდილება. გარდა ამისა განმახორციელებელთა კორპუსში აგრეთვე არიან ელექტრობის სფეროებში პრაქტიკული საქმიანობის გამოცდილების მქონე პირები.

პროფესიული განათლების მასწავლებლების პირად საქმეებში დაცულია პერსონალის კვალიფიკაციის დამადასტურებელი დიპლომები და სერტიფიკატები, რომელთა საფუძველზეც, პროფესიული განათლების მასწავლებელთა კვალიფიკაცია იძლევა მოდულების სწავლის შედეგები მიღწევის შესაძლებლობას. მათი კვალიფიკაცია შეესაბამება დაწესებულების მიერ დადგენილ საკვალიფიკაციო მოთხოვნებს.

ვიზიტის პერიოდში განხორციელდა მოდულების განმახორციელებელ პირებთან ინტერვიუ. გამოიკვეთა, რომ პროგრამის განმახორციელებლებს ხშირად უტარდებათ სხვადასხვა ტიპის კვალიფიკაციის ასამაღლებელი კურსები თუ ტრენინგები როგორც დარგობრივ კომპეტენციაში, ასევე, სწავლებისა და შეფასების მიმართულებით.

ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით, პროგრამის განმახორციელებელ პროფესიული განათლების მასწავლებელთა კვალიფიკაცია, პრაქტიკული გამოცდილება, პროფესიული განვითარების ისტორია და სამუშაო დატვირთვის რაციონალური განაწილება სრულად უზრუნველყოფს „ელექტრობის“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ხარისხიან, უწყვეტ და მდგრად განხორციელებას. მასწავლებელთა

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

თ. ცუცქერიძე

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ე. ბუბია

ნ. მანუაშვილი



კომპეტენციები პირდაპირ უწყობს ხელს პროფესიული სტუდენტების მიერ პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების ეფექტიან მიღწევას.

ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

4. საგანმანათლებლო პროგრამას ჰყავს პსდ-ს მიერ განსაზღვრული, შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი

საგანმანათლებლო პროგრამას “ელექტრობა” ჰყავს პსდ-ს მიერ განსაზღვრული შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი.

ვიზიტის დროს გადამოწმდა პროგრამის ხელმძღვანელის პირადი საქმე და მოხდა მასთან გასაუბრება. ექსპერტთა შეფასებით, პროგრამას ჰყავს დაწესებულების მიერ განსაზღვრული, შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი, რომლის ხელმძღვანელობა განსაზღვრულია პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამტკიცების აქტით, ხოლო ფუნქცია-მოვალეობები სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესით.

ექსპერტთა ჯგუფმა განახორციელა ინტერვიუება პროგრამის ხელმძღვანელთან. ინტერვიუების პროცესში ნათლად გამოჩნდა, რომ პროგრამის ხელმძღვანელი იცნობს საკუთარ ფუნქცია-მოვალეობებს და მუშაობს პროგრამის განვითარების მიმართულებით. მონაწილეობა აქვს მიღებული საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებაში, პარტნიორი ორგანიზაციების მოძიებაში, პროფესიული განათლების მასწავლებლების შერჩევაში და მატერიალური რესურსების მობილიზებაში, პროფესიულ სტუდენტთა შეფასების ინსტრუმენტების ვალიდაციის პროცესში.

ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

5. საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია ელექტრონული სახით ან დაწესებულების ბიბლიოთეკაში მატერიალური სახით და გამოიყენება სასწავლო პროცესში

„ელექტრობის“ საგანმანათლებლო პროგრამაში - (მოდულებში) მითითებული საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია ნაწილი ბეჭდური და ნაწილი ელექტრონული სახით დაწესებულების ბიბლიოთეკაში.

საბიბლიოთეკო რესურსები დამუშავებულია სათანადო წესით და მათ მითითებული აქვს კეტერები.

ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: თ. ცუცქერიძე

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ე. ბუბია

ნ. მანუაშვილი



6. სსსმ პირებს წვდომა აქვთ პროგრამით გათვალისწინებულ ან ინდივიდუალური სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სასწავლო რესურსებთან, რომლებიც ადაპტირებულია სსსმ პირების საჭიროებებისა და მოთხოვნილებების შესაბამისად

დაწესებულებას შემუშავებული და დამტკიცებული აქვს ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავების მეთოდოლოგია, ასევე ჰყავს ინკლუზიური პროფესიული განათლების სპეციალისტი, რომელიც მეთოდოლოგიის და სსსმ პირების საჭიროებების საფუძველზე უზრუნველყოფენ პროგრამით ან ინდივიდუალური სასწავლო გეგმით გათვალისწინებული სასწავლო რესურსების ადაპტირდება სსსმ პირების საჭიროებებისა და მოთხოვნილებების შესაბამისად.

ავტორიზაციის ვიზიტის ფარგლებში ექსპერტთა ჯგუფმა შეისწავლა დაწესებულების სასწავლო პირობები, რომლებიც გამოიყენება „ელექტრობის“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებისთვის. სასწავლო სივრცეების დათვალიერებისა და პროგრამის განმახორციელებელ პერსონალთან ჩატარებული ინტერვიუების საფუძველზე დადგინდა, რომ პროგრამის სასწავლო გარემოები უზრუნველყოფს პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევისთვის აუცილებელ ინფრასტრუქტურულ პირობებს, მათ შორის ინკლუზიური სასწავლო გარემოს შექმნას.

დაწესებულების იმ სასწავლო კორპუსში, სადაც განთავსებულია პროგრამის სასწავლო სივრცეები, უზრუნველყოფილია მოქმედ სტანდარტებთან შესაბამისი ხელმისაწვდომობა. კერძოდ, აწსუ-ს მე-18 კორპუსი, რომელშიდაც განთავსებულია პროფესიული სტუდენტებისათვის სასწავლო A და B სივრცეებში აღჭურვილია სსსმ პირებისათვის ლიფტით, ადაპტირებული სველი წერტილებით და ბიბლიოთეკით, კომპიუტერულ კლასში შესაძლებელია სსსმ პირის კომფორტული განთავსება. ბიბლიოთეკისა და საინფორმაციო რესურსების გამოყენება ხელმისაწვდომია სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე სტუდენტებისთვისაც. ელ-ბიბლიოთეკის ვებ-გვერდი ადაპტირებულია სსსმ სტუდენტებისათვის. მაგალითად: ვებ-გვერდს გააჩნია აუდიო წამკითხველი, აქვს კონტრასტის მართვის და შრიფტის გაზრდის ფუნქცია.

ექსპერტთა შეფასებით, დაწესებულების მიერ უზრუნველყოფილი ინფრასტრუქტურა და სასწავლო სივრცეების ადაპტირება სრულ თანხვედრაშია პროფესიული განათლების სტანდარტის მოთხოვნებთან.

ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

7. კსდ-ს ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობა.

დაწესებულების მიერ წარმოდგენილ იქნა პროგრამის საპროგნოზო ბიუჯეტი, რომლის მიხედვითაც განსაზღვრულია რენტაბელობის ზღვარი (15 პროფესიული სტუდენტი), ძირითადი შემოსავლები და ხარჯები. ბიუჯეტის მიხედვით ირკვევა, რომ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „ელექტრობა“ ფინანსურად მდგრადია, დაწესებულების ბიუჯეტი შედგება შემოსავლებისა და ხარჯების ნაწილისაგან, მისი მთავარი შემოსავლების წყაროა ვაუჩერული დაფინანსება, რომელიც სრულად აკმაყოფილებს პროგრამის შეუფერხებლად განხორციელების საჭიროებებს.

20

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:



ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

- პსდ-ს მიერ შევსებული ფორმა პროგრამის განხორციელებისთვის საჭირო ადამიანური რესურსის შესახებ, პერსონალის პირადი საქმეები;
- პსდ-ს მიერ შევსებული ფორმა პროგრამის განხორციელებისთვის საჭირო მატერიალური რესურსის შესახებ, მატერიალური რესურსების ფლობის დოკუმენტაცია;
- ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავების წესი;
- პროფესიული განათლების მასწავლებლების სამსახურში აყვანის წესი;
- პროფესიული განათლების მასწავლებლების დატვირთვის გაანგარიშების წესი;
- ბიბლიოთეკით სარგებლობის წესი;
- პარტნიორ ორგანიზაციებთან გაფორმებული თანამშრომლობის მემორანდუმები;
- დაწესებულების/ პრაქტიკის ობიექტის პროგრამის განსახორციელებლად საჭირო მატერიალური რესურსების შეფასების შედეგები;
- ბიბლიოთეკაში არსებული სასწავლო რესურსი დამუშავებული საბიბლიოთეკო წესის შესაბამისად;
- პროგრამის საპროგნოზო ბიუჯეტი;
- წინასწარი ხელშეკრულებები პროფესიულ მასწავლებლებთან;
- ინტერვიუს და დათვალიერების შედეგები.

შეფასება:

- ☒ შეესაბამება
- ☐ მეტწილად შეესაბამება
- ☐ ნაწილობრივ შეესაბამება
- ☐ არ შეესაბამება

2.3 საგანმანათლებლო პროგრამების შეფასება და განვითარება

21

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები



2.3.1 პროგრამის განვითარება უზრუნველყოფილია პროგრამების შეფასებისა და განვითარების პსდ-ში მოქმედი მექანიზმით

1. პროგრამის შეფასების მექანიზმი ითვალისწინებს შრომის ბაზრის მოთხოვნებს, უკუკავშირს დაინტერესებული მხარეებისგან, საუკეთესო ადგილობრივ ან/და საერთაშორისო პრაქტიკას და სხვ.;
2. პსდ ანალიზებს პროგრამის განხორციელების ხარისხის შეფასების შედეგებს და საჭიროების შემთხვევაში ახორციელებს ცვლილებებს საგანმანათლებლო პროგრამაში/მოდულებში მის მიერ განსაზღვრული წესებისა და პროცედურების შესაბამისად.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. პროგრამის შეფასების მექანიზმი ითვალისწინებს შრომის ბაზრის მოთხოვნებს, უკუკავშირს დაინტერესებული მხარეებისგან, საუკეთესო ადგილობრივ ან/და საერთაშორისო პრაქტიკას და სხვა

„პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის, განხორციელებისა და შეფასების წესის“ მიხედვით, აწსუ-ში შემუშავებულია პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შეფასების სისტემა, რომელიც გამოიყენება სასწავლო პროცესის ხარისხის გასაუმჯობესებლად. აკადემიური საბჭოს 2021 წლის 9 ნოემბრის N8 (21/22) დადგენილებით დამტკიცებულია პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ინიცირების, შემუშავების, შეფასების, განვითარების, მასში ცვლილების შეტანის და გაუქმების წესი, რომლის თანახმად საგანმანათლებლო პროგრამის შეფასება მოიცავს ისეთ პროცესებს, როგორიცაა: პროგრამების შინაარსობრივი ასპექტების შეფასება; სწავლა-სწავლების პროცესის მიმდინარეობის ადეკვატურობის დადგენა; მოდულის განმახორციელებელი პირების საქმიანობის შეფასება; მატერიალურ-ტექნიკური რესურსის, მასალა-ნედლეულის საკმარისობის და ავთენტურობის შეფასება; ვერიფიკაცია.

პროფესიული საგანმანათლო პროგრამის თითოეული სტანდარტი მიზნად ისახავს ბაზრის მოთხოვნებზე ორიენტირებულ პროფესიული პროგრამების შეთავაზების გზით, საქართველოში პროფესიული განათლების გაუმჯობესება-განვითარებას და მაღალი საერთაშორისო სტანდარტის დაწესებას.

დადგენილი წესების შესაბამისად, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შეფასება ეფუძნება რამდენიმე ურთიერთდაკავშირებულ კომპონენტს, მათ შორის: შრომის ბაზრის კვლევის შედეგების რეგულარულ ანალიზს; დაინტერესებული მხარეების — პროფესიული სტუდენტების, პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის, დამსაქმებლებისა და პარტნიორი ორგანიზაციების უკუკავშირს; ადგილობრივი და საერთაშორისო პრაქტიკის გათვალისწინებას; ასევე პროგრამის შინაარსისა და მისაღწევი შედეგების პერიოდულ გადახედვას. აღნიშნული მიდგომა უზრუნველყოფს პროგრამების აქტუალობისა და შესაბამისობის სისტემურ შემოწმებას როგორც შიდა, ისე გარე მოთხოვნებთან მიმართებით.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

Handwritten signature

თ. ცუცქერიძე

ნ. მანუაშვილი

Handwritten signature



ამასთან, დაწესებულებაში მოქმედი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის, შემუშავების, განხორციელებისა და შეფასების მეთოდოლოგია დეტალურად განსაზღვრავს პროგრამების შიდა შეფასების პროცედურებს, შეფასების განხორციელების პერიოდულობას, ცვლილებების შეტანის წესებსა და საფუძვლებს, ასევე პროცესში ჩართული პასუხისმგებელი პირების ფუნქციებს. მეთოდოლოგიაში მკაფიოდ არის გამოკვეთილი ხარისხის უზრუნველყოფის ციკლის სრული ლოგიკა, რაც უზრუნველყოფს პროგრამების უწყვეტ მონიტორინგს და დაგეგმილი შედეგების მიღწევის კონტროლს.

ჩატარებული გასაუბრებების საფუძველზე დადგინდა, რომ კოლეჯის პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური სისტემურად ახორციელებს ხარისხის მართვის ფუნქციებს. სამსახური ატარებს პერიოდულ კვლევებს, იყენებს წინასწარ შემუშავებულ და დამტკიცებულ კითხვარებს, აანალიზებს პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის, პროფესიული სტუდენტებისა და დამსაქმებლების შეფასებებს და ამზადებს რეკომენდაციებს პროგრამების გაუმჯობესების მიზნით. კვლევების შედეგები გამოიყენება როგორც მიმდინარე სასწავლო პროცესის დახვეწისა და ოპტიმიზაციისთვის, ისე პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შემდგომი განვითარების დაგეგმვისას.

ექსპერტთა შეფასებით, დაწესებულებაში არსებული ხარისხის უზრუნველყოფის რეგულაციები და პრაქტიკა ქმნის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, განხორციელებისა და განვითარების ეფექტიან და მდგრად სისტემას, რაც ხელს უწყობს პროგრამების ხარისხის შენარჩუნებასა და გაუმჯობესებას.

ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

2. პსდ ანალიზებს პროგრამის განხორციელების ხარისხის შეფასების შედეგებს და საჭიროების შემთხვევაში ახორციელებს ცვლილებებს საგანმანათლებლო პროგრამაში/მოდულებში მის მიერ განსაზღვრული წესებისა და პროცედურების შესაბამისად

დაწესებულებას შემუშავებული აქვს „პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის, განხორციელებისა და შეფასების მეთოდოლოგია“, რომელიც განსაზღვრავს ჩარჩო დოკუმენტის/პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტის საფუძველზე შექმნილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავების, დამტკიცებისა, ცვლილებების შეტანისა და განვითარების პროცედურებს. პროგრამაში ცვლილების შეტანა ხორციელდება წინამდებარე წესით დადგენილი პროცედურებით. დაწესებულება აანალიზებს პროგრამის განხორციელების ხარისხის შეფასების შედეგებს და საჭიროების შემთხვევაში, ახორციელებს ცვლილებებს საგანმანათლებლო პროგრამაში/მოდულებში. პროგრამაში ცვლილებები(პროფესიულ საგანმანათლებლო სტანდარტთან შესაბამისობაში მოყვანა) განხორციელებულია აღნიშნული წესის დაცვით, რაც დასტურდება შესაბამისი მტკიცებულებებით. ასევე, უნივერსიტეტში შემუშავებულია ხარისხის შიდა უზრუნველყოფისა და ვერიფიკაციის მექანიზმები, რომლის მიზანია პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განვითარება, სწავლებისა და შეფასების თანამედროვე მეთოდების დანერგვის ხელშეწყობა, სასწავლო პროცესის ხარისხის ამაღლება.

23

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: თ. ცუცქერიძე

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ე. ბუბია

ნ. მანუაშვილი



წესების საფუძველზე პროგრამაში ცვლილებების შეტანა შესაძლებელია პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შეფასების მოქმედი სისტემით გათვალისწინებული ღონისძიებების შედეგების ანალიზის, პროფესიულ საგანმანათლებლო სტანდარტში შეტანილი ცვლილებების, შრომის ბაზრის მოთხოვნის (არჩევითი მოდულის შემთხვევაში) ან სხვა გარემოებების საფუძველზე. პროგრამაში ცვლილების ინიცირება შეუძლია აწეს-ს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსს, პროგრამის ხელმძღვანელს და პროგრამის განმახორციელებელი პროფესიული განათლების მასწავლებელს. პროგრამაში ცვლილების შეტანა ხორციელდება წინამდებარე წესით დადგენილი პროცედურებით. აწეს გაანალიზებს პროგრამის განხორციელების ხარისხის შეფასების შედეგებს და საჭიროების შემთხვევაში, განხორციელებს ცვლილებებს საგანმანათლებლო პროგრამაში/მოდულებში მის მიერ განსაზღვრული წესებისა და პროცედურების შესაბამისად. გარდა ამისა, პროგრამის ხელმძღვანელის ვალდებულებად მიჩნეულია ზრუნვა პროგრამის განვითარებაზე, პროგრამის ადეკვატურ განხორციელებაზე, პრაქტიკისა და თეორიის კომპონენტის შეთავსებაზე, პროგრამის განსახორციელებლად საჭირო მატერიალური და ადამიანური რესურსების განვითარებაზე.

ზემოაღნიშნული ინფორმაციის დადასტურების მიზნით, ექსპერტთა ჯგუფი გაესაუბრა ხარისხის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელ პირებსა და პროგრამის ხელმძღვანელს. პროგრამის ხელმძღვანელიც და ხარისხის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელი პირებიც სრულად აცნობიერებენ პროგრამის შეფასებისა და მიღებული შედეგების მნიშვნელოვნებას პროგრამის განვითარების პროცესს.

ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

- პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავების, შეფასების და განვითარების წესი;
- აწეს საგანმანათლებლო პროგრამების ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკა - EP-QA პოლიტიკა;
- აწეს პროფესიული განათლების ცენტრის სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი.
- ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმები;
- კითხვარების ფორმები;
- გამოკითხვის შედეგები;
- პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში ცვლილებების შეტანის დამადასტურებელი დოკუმენტი(აკადემიური საბჭოს დადგენილება);
- გასაუბრების შედეგები

შეფასება:

☒ შეესაბამება

24

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: თ. ცუცქერიძე

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ა. ბერიძე

ნ. მანუაშვილი



- ☐ მეტწილად შეესაბამება
- ☐ ნაწილობრივ შეესაბამება
- ☐ არ შეესაბამება

2.4 სასწავლო პროცესის ორგანიზება და პროფესიულ სტუდენტთა შეფასება

2.4.1 სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სასწავლო მიზნების მიღწევას

1. პროგრამა ხორციელდება სასწავლო გეგმის/გეგმების შესაბამისად;
2. პსდ უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის ორგანიზებას პროფესიულ სტუდენტთა ინტერესების გათვალისწინებით და მოქნილად რეაგირებს შემხვედრ საჭიროებებზე;
3. სასწავლო პროცესი ითვალისწინებს სწავლების თანამედროვე მეთოდებისა და დარგის შესაბამისი ტექნოლოგიების გამოყენებას;
4. პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევისას გათვალისწინებულია პროფესიულ სტუდენტთა ინდივიდუალური საჭიროებები;
5. პსდ-ს თანამშრომლობა პრაქტიკის კომპონენტის განმახორციელებელ პარტნიორთან/სასწავლო საწარმოსთან/თანაგანმახორციელებელ დაწესებულებასთან დასტურდება შესაბამისი ხელშეკრულებით/ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმით;
6. სასწავლო პროცესი მიმდინარეობს უსაფრთხო სასწავლო/სამუშაო გარემოში, პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. პროგრამა ხორციელდება სასწავლო გეგმის/გეგმების შესაბამისად

დაწესებულებას შემუშავებული და დამტკიცებული აქვს სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამისთვის “ელექტრობა” შემუშავებული და დამტკიცებულია შესაბამისი სასწავლო გეგმა. პროგრამის მოდულები იმგვარადაა აწყობილი, რომ ერთმენათთან დაკავშირებულია ლოგიკურად. სასწავლო პროცესი მიმდინარეობს პროგრამის სასწავლო გეგმის საფუძველზე შედგენილი სასწავლო ცხრილების შესაბამისად, სალექციო, პრაქტიკული და ლაბორატორიული მეცადინეობების ფორმით.

პროგრამის ფარგლებში შედგენილია სასწავლო გეგმა ქართულენოვანი და არაქართულენოვანი პროფესიული სტუდენტებისათვის. არსებული სასწავლო გეგმა უზრუნველყოფს პროგრამის თანმიმდევრულ განხორციელებას. პროგრამის შემუშავების, შეფასების და განვითარების წესის მიხედვით, თუ მოდული არის სხვა მოდულზე დაშვების წინაპირობა, სავალდებულოა ამ მოდულებს შორის სწავლება უნდა განხორციელდეს არაუმეტეს 10 დღიანი (კალენდარული დღე) ინტერვალით, რათა არ შეიქმნას განმეორებითი შეფასების ჩატარების პრობლემა. სასწავლო გეგმა სწორედ ამ პრინციპით არის აგებული და დაცულია დროის შუალედი განმეორებითი შეფასებისათვის.

25

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები



ვიზიტის ფარგლებში ექსპერტთა მიერ შესწავლილი სასწავლო გეგმა წარმოდგენილია მკაფიო, თანმიმდევრულ და ლოგიკურად გააზრებულ სტრუქტურად. დადგინდა, რომ გეგმა სრულად შეესაბამება სამუშაო სტანდარტის მოთხოვნებს და შეიცავს მის მიერ რეკომენდირებულ უმთავრეს ელემენტებს.

ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

2. კიდ უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის ორგანიზებას პროფესიულ სტუდენტთა ინტერესების გათვალისწინებით და მოქნილად რეაგირებს შემხვედრ საჭიროებებზე

დაწესებულება უზრუნველყოფს ეფექტიანი სასწავლო გარემოს შექმნას პროფესიულ სტუდენტთა ინტერესების გათვალისწინებით. დაწესებულებაში ხორციელდება სასწავლო პროცესის მუდმივი მონიტორინგი და პროფესიულ სტუდენტებთან ეფექტური უკუკავშირის მეშვეობით ხდება რეაგირება მათ ინტერესებსა და საჭიროებებზე. პროფესიულ სტუდენტთა ინდივიდუალური საჭიროებები პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევისას გათვალისწინებულია, რისთვისაც დაწესებულებას აქვს აღწერილი ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შედგენის პროცედურა.

ასევე, პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე ჩარიცხვისა და სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი არეგულირებს პროფესიული სტუდენტის შემდგომი განათლებით უზრუნველყოფას, პროგრამის გაუქმების შემთხვევაში. წესის მიხედვით, სტუდენტებს აქვთ, მობილობის უფლება.

აწსუ-ს ვერიფიკაციის წესი ითვალისწინებს, მოდულების შეფასების მექანიზმებს, რომლებშიც გათვალისწინებულია სტუდენტების ობიექტური შეფასება.

პროგრამის ხელმძღვანელი და პროგრამის განმახორციელებელი პროფესიული განათლების მასწავლებლები არიან კვალიფიციური სპეციალისტები, რომლებიც კარგად იცნობენ დარგის საჭიროებებს. შესაბამისად, პერიოდულად განხორციელდება პროფესიული სტუდენტების მიერ განვლილი მოდულების ფარგლებში მიღწეული შედეგების შეფასება და საჭიროები შემთხვევაში, ცვლილებების განხორციელების შესახებ წინადადების წარედგინება ფაკულტეტის დეკანს.

უნივერსიტეტის შიდა მარეგულირებელი აქტების, ადმინისტრაციასთან და პროგრამის ხელმძღვანელთან ექსპერტთა ჯგუფის გასაუბრების შედეგების შეფასებით დასტურდება, რომ დაწესებულება სასწავლო პროცესის ორგანიზებისას ითვალისწინებს პროფესიულ სტუდენტთა ინტერესებს და მოქნილად ახორციელებს რეაგირებას შემხვედრ საჭიროებებზე.

ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

თ. ცუცქერიძე

ნ. მანუაშვილი



3. სასწავლო პროცესი ითვალისწინებს სწავლების თანამედროვე მეთოდებისა და დარგის შესაბამისი ტექნოლოგიების გამოყენებას

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „ელექტრობა“ ხორციელდება სწავლების თანამედროვე მეთოდების და დარგის საჭიროებების გათვალისწინებით. პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამის განსახორციელებლად გამოყოფილი აუდიტორია აღჭურვილია სწავლებისათვის საჭირო ტექნიკითა და რესურსით. პროგრამის განხორციელებისათვის სასწავლო სივრცეები აღჭურვილია თანამედროვე ელექტრული და ელექტრონული სტენდებით, შესაბამისი მანქანა-მოწყობილობებით. სასწავლო გარემო აღჭურვილია საჭირო, გამართული ტექნიკით, რაც საშუალებას იძლევა გამოყენებული იქნას სწავლების თანამედროვე მეთოდები და დარგის შესაბამისი ტექნოლოგიები.

პროგრამა „ელექტრობის“ შემოწმების პროცესში, დარგის ექსპერტის მხრიდან გაიცა განმავითარებელი რეკომენდაცია: *პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „ელექტრობა“ მოდულში „ელექტრული ტექნოლოგია“ მე-5 სწავლის შედეგი „სფეროში ორგანიზაციული მოწყობის ძირითადი პრინციპების აღწერა“ ფარგლებში, რეკომენდებულია სასწავლო ექსკურსიის მოწყობა ენერგობიექტში, რაც რეალურ გარემოში გამოცდილების მიღების საწინდარია.*

ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

4. პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევისას გათვალისწინებულია პროფესიულ სტუდენტთა ინდივიდუალური საჭიროებები

პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევისას გათვალისწინებულია პროფესიულ სტუდენტთა ინდივიდუალური საჭიროებები; დოკუმენტების შესწავლისას და გასაუბრების საფუძველზე დადგინდა, რომ პროგრამის განმახორციელებელი პერსონალი მზად არის შესაბამისი ქმედებისათვის.

ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

5. პსდ-ს თანამშრომლობა პრაქტიკის კომპონენტის განმახორციელებელ პარტნიორთან/სასწავლო საწარმოსთან/ თანაგანმახორციელებელ დაწესებულებასთან დასტურდება შესაბამისი ხელშეკრულებით/ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმით აღნიშნული პროგრამა ხორციელდება იმიტირებულ სასწავლო გარემოში, შესაბამისად დაწესებულებისთვის პრაქტიკის ობიექტის საჭიროება არ არის.

ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ე. ბუბია

თ. ცუცქერიძე

ნ. მანუაშვილი

[Handwritten signature]



6. სასწავლო პროცესი მიმდინარეობს უსაფრთხო სასწავლო/სამუშაო გარემოში, პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით

პროგრამა „ელექტრობა“ თავისი პრაქტიკული და ტექნიკური სპეციფიკიდან გამომდინარე დაკავშირებულია ელექტრო მოწყობილობებთან, დანადგარებთან და სამუშაო პროცესებთან, რომლებიც საჭიროებს უსაფრთხოების განსაკუთრებული ზომების დაცვას. შესაბამისად, პროგრამის განმახორციელებელმა დაწესებულებამ შექმნა უსაფრთხო სასწავლო გარემო და სრულად უზრუნველყო შრომის უსაფრთხოების ნორმების დაცვა.

დაწესებულებას გააჩნია პროგრამის განხორციელებისთვის საჭირო შესაბამისი ინფრასტრუქტურა და აღჭურვილობა. სასწავლო სივრცეში განთავსებულია უსაფრთხოების შესაბამისი მანიშნებლები, თვალსაჩინო ადგილებზე გამოკრულია უსაფრთხოების ინსტრუქციები და მოქმედების წესები, ხოლო უსაფრთხოების მოთხოვნების შესრულებაზე იდენტიფიცირებულია პასუხისმგებელი პირები. იმ შემთხვევებში, როდესაც პროგრამის განხორციელება ხდება პარტნიორი ორგანიზაციის ბაზაზე, აღნიშნული ვალდებულებები უზრუნველყოფილია შესაბამისი ხელშეკრულებებით.

გარდა ამისა, დაწესებულებაში დასაქმებულია შრომის უსაფრთხოების ორი სპეციალისტი, რომლებიც პასუხისმგებელნი არიან უსაფრთხოების სისტემის გამართულ ფუნქციონირებაზე, რისკების შეფასებასა და პრევენციული ღონისძიებების განხორციელებაზე.

ადგილზე ვიზიტისა და ინტერვიუების საფუძველზე გამოიკვეთა, რომ სასწავლო პროცესი მიმდინარეობს უსაფრთხო გარემოში, სადაც უზრუნველყოფილია შრომის უსაფრთხოების მოთხოვნების დაცვა, ხოლო სასწავლო სივრცე შეესაბამება პროგრამა „ელექტრობის“ განხორციელებისთვის აუცილებელ უსაფრთხოების სტანდარტებს.

ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

- „ელექტრობა“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა, სასწავლო გეგმა;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

Handwritten signature

თ. ცუცქერიძე

ნ. მანუაშვილი

Handwritten signature



- აწუ-ს აკად საბჭოს დადგენილება №60(25/26), 15.06.26წ.
- აწუ სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი;
- ინდ. სასწავლო გეგმების შემუშავების წესი;
- შრომის უსაფრთხოების პოლიტიკა;
- ინტერვიუს და დათვალიერების შედეგები.

შეფასება:

- ☒ შეესაბამება
- ☐ მეტწილად შეესაბამება
- ☐ ნაწილობრივ შეესაბამება
- ☐ არ შეესაბამება

2.4.2 შეფასების სისტემა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების დადასტურებას

1. პროგრამის მიზნებისთვის გამოყენებული შეფასების სისტემა არის ვალიდური, სანდო, გამჭვირვალე, სამართლიანი, ობიექტური;
2. პროფესიულ სტუდენტთა შეფასების სისტემა ითვალისწინებს ვერიფიკაციის მექანიზმს;
3. პსდ უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას შეფასების უწყისის გაფორმებიდან 3 წლის ვადით;
4. პროფესიულ სტუდენტთა შეფასების შედეგები გამოყენებულია მათი შემდგომი განვითარებისათვის.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. პროგრამის მიზნებისთვის გამოყენებული შეფასების სისტემა არის ვალიდური, სანდო, გამჭვირვალე, სამართლიანი, ობიექტური დაწესებულებას შემუშავებული და დამტკიცებული აქვს სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი, რომელშიც გაწერილია პროფესიულ სტუდენტთა სწავლის შედეგების შეფასების საკითხები. წესი მოიცავს: შეფასების ინსტრუმენტის შემუშავების პროცედურების, შეფასების ინსტრუმენტების შემუშავების, პროფესიულ სტუდენტთა ინფორმირებასთან დაკავშირებული საკითხების, აპელაციის წესის, შეფასების პროცესის ადმინისტრირების საკითხების, განმეორებითი შეფასების განხორციელების პროცედურის და წესის, მტკიცებულებების მოპოვება-შენახვის წესის შესახებ ინფორმაციებს.

29

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: თ. ცუცქერიძე

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ე. ბუბია

ნ. მანუაშვილი



შეფასების ინსტრუმენტი გადის ვალიდაციის პროცესს. პროფესიული განათლების მასწავლებელი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის მოდულის/მოდულების განხორციელებამდე არაუგვიანეს 2 კვირისა პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელს წარუდგენს კალენდარულ გეგმასა და შეფასების ინსტრუმენტებს ვალიდაციისათვის. ვალიდატორი შეიძლება იყოს შესაბამისი დარგის უნივერსიტეტის აკადემიური პესონალი, რომელიც არ მონაწილეობს მოდულის განხორციელებაში. ვალიდაციის შევსებული (ხელმოწერით დადასტურებული) ფორმები ინახება შესაბამისი პროგრამის ხელმძღვანელთან. შეფასების მიზნებისათვის, გამოიყენება მხოლოდ ვალიდური შეფასების ინსტრუმენტები.

ზემოაღნიშნული დასტურდება პროგრამის ხელმძღვანელთან და განმახორციელებლებთან ინტერვიუებით

დაწესებულებამ წარადგინა შემუშავებული შეფასების ინსტრუმენტები, მათ შორის ფორმატები, დავალებები და შესაბამისი ინსტრუქციები, რაც წარმოაჩენს შეფასების პროცესის სტრუქტურირებას და სტანდარტებთან შესაბამისობას.

ჩვენს მიერ შერჩევით შემოწმდა შეფასების ინსტრუმენტები. ინსტრუმენტები შედგენილია და შესრულებულია კანონმდებლობის და დაწესებულების რეგულაციების დაცვით.

ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

2. პროფესიულ სტუდენტთა შეფასების სისტემა ითვალისწინებს ვერიფიკაციის მექანიზმს

აწსუ პროფესიულ სტუდენტთა შეფასების სისტემა ითვალისწინებს ვერიფიკაციის მექანიზმს, რომელშიც გაწერილია შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მიდგომები, ვერიფიკაციის დაგეგმვისა და ადმინისტრირების საკითხები. შეფასების სისტემის ვერიფიკაცია ითვალისწინებს შეფასების ინსტრუმენტების, შეფასების პროცესის და შეფასების მტკიცებულებების ვერიფიკაციის პროცესს. შეფასების სისტემის ვერიფიკაციას ახორციელებს ვერიფიკაციის ჯგუფი. დოკუმენტში დარეგულირებულია ვერიფიკაციის შედეგების განხილვისა და რეაგირების მექანიზმები. ვერიფიკაციის დასკვნის პროექტის განხილვის ორგანიზებას უზრუნველყოფს ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური. ვერიფიკაციის შედეგები გამოყენებულია პროფესიული სტუდენტის შემდგომი განვითარებისათვის.

დაწესებულებამ მტკიცებულების სახით წარმოადგინა 2023–2024 და 2024–2025 სასწავლო წლების ხარისხის უზრუნველყოფის მენეჯერის ანგარიშები, რომლებშიც წარმოდგენილი იყო ექვსი მოდულის ვერიფიკაციის შედეგები. ანგარიშებს თან ერთვის შესაბამისი დასკვნები და რეკომენდაციები. დოკუმენტებში დეტალურად იყო აღწერილი ვერიფიკაციის პროცესის ეტაპები, გამოყენებული მიდგომები და მიღებული შედეგები, რაც უზრუნველყოფს განხორციელებული საქმიანობის სრულყოფილ ასახვას.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: თ. ცუცქერიძე

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ე. ბუბია

ნ. მანუაშვილი



წარმოდგენილი დოკუმენტაციისა და ადგილზე განხორციელებული შეფასების პროცესში მიღებული ინფორმაციის საფუძველზე დადასტურდა, რომ დაწესებულებას შემუშავებული და დანერგული აქვს შეფასების სისტემის შიდა ვერიფიკაციის მექანიზმი. ვერიფიკაცია ხორციელდება შეფასების სისტემის დადგენილ მოთხოვნებთან შესაბამისობის უზრუნველყოფის მიზნით და წარმოადგენს ხარისხის უზრუნველყოფის შიდა სისტემის მნიშვნელოვან კომპონენტს.

დადგინდა, რომ ვერიფიკაციის პროცესის კოორდინაციას ახორციელებს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური/პასუხისმგებელი პირი, ხოლო შინაარსობრივ ნაწილში, საჭიროების შესაბამისად, ჩართული არიან შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე პირები. ამასთან, დაწესებულება ვერიფიკაციის პროცესში უზრუნველყოფს ინტერესთა კონფლიქტის პრევენციას, კერძოდ, ვერიფიკაციას არ ახორციელებს ის პირი, რომელმაც შეიმუშავა შეფასების ინსტრუმენტი ან მონაწილეობდა მის შემუშავებაში, რაც პროცესის ობიექტურობასა და მიუკერძოებლობას უზრუნველყოფს.

ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

3. პსდ უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას შეფასების უწყისის გაფორმებიდან 3 წლის ვადით

აწსუ პროფესიული განათლების ცენტრი უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული, სტუდენტის პორტფოლიოსათვის გათვალისწინებული მტკიცებულებების, კერძოდ: წერილობითი მტკიცებულებების, პრაქტიკული დავალების, გამოკითხვის ბლანკების(ჩეკ-ლისტი) და სხვა დოკუმენტაციის სათანადო აღრიცხვასა და შენახვას შეფასების უწყისის გაფორმებიდან 3 წლის ვადით, ხოლო შეფასების უწყისები ინახება უვადოდ

.ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

4. პროფესიულ სტუდენტთა შეფასების შედეგები გამოყენებულია მათი შემდგომი განვითარებისათვის

დაწესებულებაში პროფესიულ სტუდენტთა შეფასება განხორციელდება ინდივიდუალურად და მიღებული შედეგები გამოყენებულია მათი შემდგომი განვითარებისათვის. კერძოდ,

1. ვერიფიკაციის დროს გამოვლენილი რეკომენდაციების დადგენის შემდეგ ხდება შეჯამებული პოზიციის გაცნობა პროგრამის განხორციელებაში ჩართული და დაწესებულების დაინტერესებული პირებისათვის;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

Handwritten signature in blue ink

თ. ცუცქერიძე

ნ. მანუაშვილი

Handwritten signature in blue ink



2. ვერიფიკაციის შედეგები გამოყენებული იქნება უნივერსიტეტში პროფესიული სწავლების მიმართულებით, სასწავლო პროცესის/პროგრამების გაუმჯობესების მიზნით;

3. ვერიფიკაციის შედეგები შესაძლებელია გამოყენებული იყოს პროფესიული სტუდენტის შემდგომი განვითარებისათვის. შეფასების შედეგების ანალიზის მიხედვით დაიგეგმება შესაბამისი ღონისძიებები.

ასევე, პროფესიული განათლების მასწავლებლის და პროგრამის ხელმძღვანელის მიერ პროფესიული სტუდენტი კონფიდენციალურად მიიღებს უკუკავშირს, რეკომენდაციებს სწავლის შედეგების გასაუმჯობესებლად. დაწესებულების ხარისხის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელი პირი სასწავლო პროცესის თანამშრომლებთან ერთად პერიოდულად განახორციელებს პროფესიული სტუდენტების სწავლის შედეგების შეფასების მონიტორინგს. პროფესიულ სტუდენტთა შეფასების მონიტორინგის შედეგები გათვალისწინებულ იქნება პროგრამის განვითარების კუთხითაც, რამეთუ მონიტორინგის შედეგად მიღებული ინფორმაცია გამოყენებულია საგანმანათლებლო პროგრამების გაუმჯობესების კუთხით - მაგ. შეფასების ინსტრუმენტების შეცვლა/გაუმჯობესება და სხვა. პროფესიულ სტუდენტთა შეფასების შედეგები გამოყენებულია მათი შემდგომი განვითარებისათვის.

ზემოაღნიშნული დასტურდება პროფესიულ მასწავლებლებთან, პროგრამის ხელმძღვანელთან და ხარისხის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელ პირებთან გასაუბრებით.

ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

- სწავლის შედეგების შეფასების სისტემის მარეგულირებელი წესი, რომელიც ხელმისაწვდომია დაინტერესებული მხარეებისთვის;
- პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე ჩარიცხვისა და სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი
- აწეს პროფესიულ სტუდენტთა შეფასების ვერიფიკაციის წესი
- მასწავლებლებთან და ადმინისტრაციასთან ინტერვიუს შედეგები.

შეფასება:

- ☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: თ. ცუცქერიძე

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ა. ბერიძე

ნ. მანუაშვილი



☐ არ შეესაბამება

ნაწილი III. ინფორმაცია პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

III. ზოგადი ინფორმაცია

პროგრამის სახელწოდება	მსუბუქი ავტომობილის სავალი ნაწილის შეკეთება
პროფესიული განათლების დონე	მესამე
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	საბაზო პროფესიული კვალიფიკაცია მსუბუქი ავტომობილის სავალი ნაწილის შეკეთებაში
სწავლის დეტალური სფეროს კოდი	0716
პროგრამის დამტკიცების აქტის რეკვიზიტები	აწსუ აკადემიური საბჭოს დადგენილება №60(25/26), 15/06/2026
პროგრამის განხორციელების ენა	ქართული
პროგრამის განხორციელების მისამართი/მისამართები	ქუთაისი, ახალგაზრდობის გამზირი N 98
პროგრამის განხორციელების ფორმა (რეალურ სამუშაო გარემოში/იმიტირებულ სამუშაო გარემოში)	იმიტირებულ სამუშაო გარემოში
რეალურ სამუშაო გარემოში სწავლების ფორმა (კოოპერაციული/დუალური)	-
პროგრამაზე მოთხოვნილი პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა სწავლების ფორმის მიხედვით	30
მოთხოვნილი სტუდენტთა ზღვრული რაოდენობიდან, პროფესიული სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა იმ სასწავლო	-

33

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: თ. ცუცქერიძე

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ე. ბუბია

ნ. მანუაშვილი



გეგმაზე, რომელიც მოიცავს ინტეგრირებულ ზოგად მოდულებს სწავლების ფორმის მიხედვით (არსებობის შემთხვევაში)	
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	-
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	54
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	-
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	69

IV. ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასაბუთება პროგრამაზე მოთხოვნილი პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის შესახებ

ექსპერტთა ჯგუფი ეთანხმება ☒

ექსპერტთა ჯგუფი არ ეთანხმება ☐

იმ შემთხვევაში, თუკი ექსპერტთა ჯგუფი არ ეთანხმება მოთხოვნილ პროფესიულ სტუდენტთა ზღვრულ რაოდენობას, მიუთითეთ ადგილების შესაძლო ზღვრული რაოდენობა ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით, მისამართების, განხორციელების ფორმისა და არსებობის შემთხვევაში, ინტეგრირებული სასწავლო გეგმის მიხედვით და შემდეგ დაასაბუთეთ თქვენი შეფასება.

პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა ადგილების შესაძლო ზღვრული რაოდენობა ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით, მისამართებისა და განხორციელების ფორმის მიხედვით	
სტუდენტთა ზღვრული რაოდენობიდან, პროფესიულ სტუდენტთა ადგილების შესაძლო ზღვრული რაოდენობა ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით იმ სასწავლო გეგმაზე, რომელიც მოიცავს ინტეგრირებულ ზოგად მოდულებს (არსებობის შემთხვევაში).	

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: თ. ცუცქერიძე

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ა. ბერიძე

ნ. მანუჩიძე



დასაბუთება

.....

.....

III. პროგრამის ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის ცხრილი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: თ. ცუცქერიძე -----

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: -----

ე. ბუბია

ნ. მანუაშვილი



სტანდარტი/კომპონენტი	საგანმანათლებლო დაწესებულების შეფასება (მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)	ექსპერტთა ჯგუფის შეფასება (მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)
2) საგანმანათლებლო პროგრამები	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
2.1) საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვა და შემუშავება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
2.2) საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების რესურსი	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
2.3) საგანმანათლებლო პროგრამების შეფასება და განვითარება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
2.4) სასწავლო პროცესის ორგანიზება და პროფესიულ სტუდენტთა შეფასება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

თ. ცუცქერიძე

ნ. მანუაშვილი

ა. ბერიძე

გ. მანუაშვილი



ნაწილი IV. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასება

2. საგანმანათლებლო პროგრამები

2.1 საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვა და შემუშავება

2.1.1 პროგრამა შემუშავებულია პსდ-ში დანერგილი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის და შემუშავების მეთოდოლოგიის შესაბამისად

1. პსდ-ს გადაწყვეტილება საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შესახებ ეფუძნება შესაბამის დასაბუთებას და შეესაბამება პსდ-ს მისიას და სტრატეგიული განვითარების გეგმას;
2. საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობები და პროცედურები უზრუნველყოფს პროგრამაზე ისეთ პირთა დაშვებას, რომელთა წინარე ცოდნა, უნარები ან/და გამოცდილება უზრუნველყოფს პროგრამის განხორციელების ვადაში პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას;
3. პსდ საგანმანათლებლო პროგრამისთვის პროფესიულ სტუდენტთა ზღვრულ ოდენობას განსაზღვრავს შესაბამისი მეთოდოლოგიის მიხედვით;
4. საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტის მიერ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას;
5. საგანმანათლებლო პროგრამის არჩევითი მოდულები, მათი არსებობის შემთხვევაში, ლოგიკურ კავშირშია მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან ან/და პროფესიული სტუდენტის მომავალ საქმიანობასთან;
6. საგანმანათლებლო პროგრამა დამტკიცებულია დაწესებულების უფლებამოსილი პირის/ორგანოს მიერ;
7. პროგრამის სახელწოდება შეესაბამება პროგრამის შინაარსს/პროგრამით გათვალისწინებულ მისაღწევ სწავლის შედეგებს და არ არის შეცდომაში შემყვანი;
8. პსდ-ს საგანმანათლებლო პროგრამა შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებასთან დაკავშირებულ, კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. პსდ-ს გადაწყვეტილება საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შესახებ ეფუძნება შესაბამის დასაბუთებას და შეესაბამება პსდ-ს მისიას და სტრატეგიული განვითარების გეგმას

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „მსუბუქი ავტომობილის სავალი ნაწილის შეკეთება“ სრულად შესაბამისობაშია პსდ-ს მისიასა და სტრატეგიულ განვითარების გეგმასთან. სსიპ აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის გადაწყვეტილება პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შესახებ ეფუძნება მიზანშეწონილობის დასაბუთებას.

პროგრამის მიზანია პროფესიული განათლების პროცესით უზრუნველყოს მაღალკვალიფიციური, საზოგადოებისა და შრომის ბაზრის საჭიროებაზე ორიენტირებული კადრების აღზრდა; გაითვალისწინოს ბაზრის მოთხოვნები პროფესიული განათლების განხორციელების

37

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:



პროცესში; დანერგოს და განავითაროს მთელი სასწავლო ციკლის განმავლობაში სწავლისა და კვალიფიკაციის ამაღლების მოქნილი სისტემა. აღნიშნული მიდგომა უზრუნველყოფს პროგრამის სტრატეგიულ მიზნებთან სრულ შესაბამისობას, სტუდენტების მომზადების ხარისხს და პროფესიული განათლების სისტემის ეფექტიანობას.

წარმოდგენილი დოკუმენტაციისა და მიღებული ინფორმაციის ანალიზი ადასტურებს, რომ „მსუბუქი ავტომობილის სავალი ნაწილის შეკეთების“ პროგრამის განხორციელების გადაწყვეტილება მიღებულია დაწესებულების შიდა პოლიტიკის, ხარისხის უზრუნველყოფის წესებისა და შესაბამისი კოლეგიური ორგანოების პროცედურების დაცვით. პროგრამა შეესაბამება მისიას, სტრატეგიულ მიზნებსა და რეგიონული განვითარების საჭიროებებს.

ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

2. საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობები და პროცედურები უზრუნველყოფს პროგრამაზე ისეთ პირთა დაშვებას, რომელთა წინარე ცოდნა, უნარები ან/და გამოცდილება უზრუნველყოფს პროგრამის განხორციელების ვადაში პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას

დაწესებულების აკადემიური საბჭოს 2025 წლის 11 დეკემბრის №01-04-90 დადგენილებით დამტკიცებულია “სსიპ აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესიული განათლების ცენტრის სასწავლო პროცესისა და ხარისხის უზრუნველყოფის მარეგულირებელი წესი“. დოკუმენტში გაწერილია პროფესიული სტუდენტის სტატუსის მოპოვების წინაპირობები, ჩარიცხვის ეტაპები, დაწესებულების მიერ ანკეტა-კითხვარის შევსების წესები, აპლიკანტთა რეგისტრაციის პირობები, აპლიკანტთა შერჩევის პროცედურები საბაზო, საშუალო და უმაღლეს პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე, ტესტირების ორგანიზების საკითხები, აპელაციის წესი, სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პირთა ჩარიცხვის პროცედურა, განსაზღვრულია არასრულწლოვანი პირის ჩარიცხვის შემთხვევაში მისი კანონიერი წარმომადგენლის არსებობისა და დადასტურების წესები.

სსიპ აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე „მსუბუქი ავტომობილის სავალი ნაწილის შეკეთება“ დაშვების წინაპირობები და პროცედურები გაწერილია პროფესიულ საგანმანათლებლო სტანდარტში - „მსუბუქი ავტომობილის სავალი ნაწილის შეკეთება“ პროგრამის წინაპირობაა საბაზო განათლება. პროგრამა შედგენილია ისე, რომ უზრუნველყოს საბაზო ცოდნის ბაზაზე, პროგრამის განხორციელების ვადაში განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევა აწს-ს მიერ აპლიკანტთა შერჩევა საავტორიზაციო პროგრამაზე ხორციელდება მოტივაციური გასაუბრებით.

ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

თ. ცუცქერიძე

ნ. მანუაშვილი



4. პსდ საგანმანათლებლო პროგრამისთვის პროფესიულ სტუდენტთა ზღვრულ ოდენობას განსაზღვრავს შესაბამისი მეთოდოლოგიის მიხედვით

სსიპ აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორის ბრძანებით №12 § 17 (24.01.2023წ.) დამტკიცებულია სსიპ აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტში პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგია, რომლის მიხედვითაც დაწესებულების პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული ოდენობის განსაზღვრისას მხედველობაში მიიღება:

- A სასწავლო გარემოში პროფესიულ სტუდენტთა სამუშაო ადგილების რაოდენობა;
- B სასწავლო გარემოში პროფესიულ სტუდენტთა სამუშაო ადგილების რაოდენობა;
- C სასწავლო გარემოში პროფესიულ სტუდენტთა სამუშაო ადგილების რაოდენობა ან სასწავლო გარემოს ფართი;
- დასაშვებია ერთ სივრცეში ორი ან მეტი ტიპის სასწავლო გარემოს კომბინირებული მოდელის შექმნა. მაგალითად ერთ სივრცეში A და B, A და C, B და C ან A, B და C გარემოს კომბინირება.
- დასაშვებია სხვადასხვა პროგრამის განხორციელების მიზნებისათვის ერთი და იმავე სივრცის გამოყენება თუ ის თავსებადია სასწავლო გარემოს და აღჭურვილობის ნორმატივების თვალსაზრისით, კვირეული დატვირთვის გათვალისწინებით, ასევე ცხრილის შედგენის შესაძლებლობა შეჭრილი ცხრილის პრინციპით.
- სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრისას მხედველობაში მიიღება პრაქტიკის ობიექტთან გაფორმებულ ხელშეკრულებაში მითითებული პრაქტიკის ობიექტის მიერ პროფესიულ სტუდენტთა/მსმენელთა ზღვრული რაოდენობის ერთდროულად მიღების შესაძლებლობა.
- პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ხანგრძლივობა;
- საწარმოო პრაქტიკის ობიექტების რესურსი;
- პროგრამის განმახორციელებელი პროფესიული საჭირო ადამიანური რესურსის რაოდენობა.

შესაძლებელია ერთმა პროფესიული განათლების მასწავლებელმა განახორციელოს რამდენიმე სხვადასხვა მოდული შრომის კოდექსით განსაზღვრული ჩასატარებელი კვირეული საათების (კვირაში მაქსიმუმ 40 საათიანი დატვირთვა) გათვალისწინებით შედგენილი სასწავლო განრიგის მიხედვით.

დაწესებულების მიერ წარმოდგენილია პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე „მსუბუქი ავტომობილის სავალი ნაწილის შეკეთება“ მოთხოვნილი პროფესიული სტუდენტების ზღვრული რაოდენობისა და განხორციელების მიზანშეწონილობის დასაბუთება. პროფესიულ სტუდენტთა ზღვრულ ოდენობასთან დაკავშირებით დოკუმენტში აღნიშნულია, რომ არსებული კვოტისათვის დაწესებულებას ყავს სათანადო კვალიფიკაციისა და გამოცდილების მქონე პროფესიული განათლების მასწავლებლები, გააჩნია ყველა საჭირო რესურსი და უზრუნველყოფს პრაქტიკის სრულყოფილ სასწავლო პროცესს.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები



აღნიშნული პროფესიული პროგრამისთვის დადგენილია საერთო კვოტა 30 პროფესიული სტუდენტის ოდენობით.

პასუხისმგებელ პირთა ინტერვიუებისა და დაწესებულების მატერიალურ-ტექნიკური ბაზის დათვალიერების, ასევე, პროგრამის ანალიზითა დასტურდება, რომ დაწესებულებამ პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული ოდენობა განსაზღვრა არსებული მეთოდოლოგიის შესაბამისად.

ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

4. საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტის მიერ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას

დაწესებულების მიერ წარმოდგენილია პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „მსუბუქი ავტომობილის სავალი ნაწილის შეკეთება“ მოდულების განხორციელებისთვის დამტკიცებული მატერიალურ-ტექნიკური აღჭურვილობისა და სასწავლო რესურსების სია. წარმოდგენილი დოკუმენტაციის მიხედვით, თითოეული მოდულისთვის განსაზღვრულია შესაბამისი სასწავლო გარემო, აღჭურვილობა, ინსტრუმენტები, დანადგარები, სახარჯი მასალები და სხვა საგანმანათლებლო რესურსები, რომლებიც აუცილებელია მოდულებით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მისაღწევად. მოდულებში მითითებული რესურსების შინაარსი და მოცულობა შესაბამისობაშია თითოეული მოდულის სწავლის შედეგებთან და დაგეგმილ სასწავლო აქტივობებთან.

ადგილზე განხორციელებული ვიზუალური დათვალიერებისას ექსპერტთა ჯგუფმა შეაფასა სასწავლო აუდიტორიები, პრაქტიკული სწავლების სივრცეები, სახელოსნო, ტექნიკური აღჭურვილობა, ხელსაწყოები, სასწავლო ინვენტარი და სხვა მატერიალური რესურსები. დათვალიერების შედეგად დადასტურდა, რომ დაწესებულებაში არსებული ინფრასტრუქტურა და მატერიალურ-ტექნიკური ბაზა შეესაბამება პროგრამის სპეციფიკას და ქმნის მოდულებით გათვალისწინებული პრაქტიკული და თეორიული სწავლების განხორციელების შესაძლებლობას.

ექსპერტთა ჯგუფმა განსაკუთრებული ყურადღება გაამახვილა რესურსების რაოდენობრივ და ხარისხობრივ საკმარისობაზე. შეფასების შედეგად დადგინდა, რომ დაწესებულებაში არსებული აღჭურვილობა, ინსტრუმენტები, სასწავლო მასალები და პრაქტიკული სწავლებისთვის საჭირო ტექნიკური რესურსები გათვლილია ერთდროულად 15 სტუდენტის სასწავლო პროცესში ეფექტიანი ჩართულობის უზრუნველსაყოფად. რესურსების რაოდენობა და განლაგება იძლევა შესაძლებლობას, სტუდენტებმა უსაფრთხო და ორგანიზებულ გარემოში ინდივიდუალურად ან მცირე ჯგუფებში შეასრულონ მოდულებით გათვალისწინებული პრაქტიკული სამუშაოები.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ა. აბოიძე

თ. ცუცქერიძე
ნ. მანუაშვილი



ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით, წარმოდგენილი მატერიალურ-ტექნიკური რესურსები, მათი ფუნქციური მდგომარეობა, ხელმისაწვდომობა და მოდულების მოთხოვნებთან შესაბამისობა უზრუნველყოფს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „მსუბუქი ავტომობილის სავალი ნაწილის შეკეთება“ ხარისხიან განხორციელებას და სტუდენტების მიერ განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას.

ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

5. საგანმანათლებლო პროგრამის არჩევითი მოდულები, მათი არსებობის შემთხვევაში, ლოგიკურ კავშირშია მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან ან/და პროფესიული სტუდენტის მომავალ საქმიანობასთან

დამტკიცებულ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამას „მსუბუქი ავტომობილის სავალი ნაწილის შეკეთება“ არ აქვს არჩევითი მოდულები.

ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

6. საგანმანათლებლო პროგრამა დამტკიცებულია დაწესებულების უფლებამოსილი პირის/ორგანოს მიერ

აწსუ-ს აკადემიური საბჭოს №60(25/26), 15.06.26წ. დადგენილებით დამტკიცებულია საქართველოს დაწესებულებაში პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავების, შეფასების და განვითარების წესი. აღნიშნული წესის მიხედვით საგანმანათლებლო პროგრამას ამტკიცებს უნივერსიტეტის აკადემიური საბჭო. შესაბამისად, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „მსუბუქი ავტომობილის სავალი ნაწილის შეკეთება“ დამტკიცებულია უფლებამოსილი პირის - სსიპ აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს მიერ 15.06.2026 წლის №60(25/26) დადგენილებით.

ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

7. პროგრამის სახელწოდება შეესაბამება პროგრამის შინაარსს/პროგრამით გათვალისწინებულ მისაღწევ სწავლის შედეგებს და არ არის შეცდომაში შემყვანი

41

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: თ. ცუცქერიძე -----

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: -----

ა. აბოიძე

ბ. მანუაშვილი



საგანმანათლებლო სტანდარტის საფუძველზე შექმნილი საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება „მსუბუქი ავტომობილის სავალი ნაწილის შეკეთება“ შეესაბამება პროგრამის შინაარსს, პროგრამით გათვალისწინებულ მისაღწევ სწავლის შედეგებს და არ არის შეცდომაში შემყვანი; ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

8. პსდ-ს საგანმანათლებლო პროგრამა შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებასთან დაკავშირებულ, კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „მსუბუქი ავტომობილის სავალი ნაწილის შეკეთება“ შემუშავებულია პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტის საფუძველზე და შესაბამისობაშია აღნიშნულ საგანმანათლებლო სტანდარტთან. პროგრამა მომზადებულია სსიპ აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავების, შეფასების და განვითარების წესის“ მიხედვით, პროცედურების სრული დაცვით. პროგრამით განსაზღვრულია პროგრამის სახელწოდება, მიზნები, მისანიჭებელი კვალიფიკაცია, პროგრამაზე დაშვების წინაპირობები, მისაღწევი სწავლის შედეგები, შეფასების მიმართულებები, პროგრამის მოცულობა, პროგრამის სავარაუდო ხანგრძლივობა, კვალიფიკაციის მინიჭების პირობები და სხვა. საგანმანათლებლო პროგრამის პაკეტი შედგება პროგრამის ძირითადი დოკუმენტის, მოდულების, სასწავლო გეგმისგან (მათ შორის ქართული ენის A2 და ქართული ენის B2 გათვალისწინებით და მის გარეშეც), პროგრამის პაკეტს თან ერთვის ინფორმაცია ადამიანური და მატერიალური რესურსების შესახებ. ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

- აწსუ-ს სტრატეგიული განვითარების გეგმა პროფესიული განათლების სფეროში;
- აწსუ საგანმანათლებლო პროგრამების ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკა - EP-QA პოლიტიკა;
- საგანმანათლებლო პროგრამა „მსუბუქი ავტომობილის სავალი ნაწილის შეკეთება“ საგანმანათლებლო პროფესიული სტანდარტი;
- აწსუ-ს რექტორის ბრძანება №12 § 17 (24.01.2023წ.)
- პროფესიული სტუდენტების ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგია.
- აწსუ-ს აკად საბჭოს დადგენილება №60(25/26), 15.06.26წ.
- პროფესიული პროგრამა „მსუბუქი ავტომობილის სავალი ნაწილის შეკეთება“ სასწავლო გეგმა,
- აწსუ აკადემიური საბჭოს დადგენილება N8(21-22)
- დაინტერესებულ მხარეებთან ინტერვიუს შედეგები.

შეფასება:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

თ. ცუცქერიძე

ა. აბოიძე

ნ. მანუაშვილი

გ. მანუაშვილი



- ☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

2.2 საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების რესურსი

2.2.1. პროგრამა უზრუნველყოფილია პროგრამის განსახორციელებლად საჭირო რესურსებით

1. პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია დაწესებულების/სასწავლო საწარმოს/პრაქტიკის ობიექტის მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით;
2. პროგრამისთვის განსაზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას;
3. პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებელს აქვს პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია;
4. საგანმანათლებლო პროგრამას ჰყავს პსდ-ს მიერ განსაზღვრული, შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი;
5. საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია ელექტრონული სახით ან დაწესებულების ბიბლიოთეკაში მატერიალური სახით და გამოიყენება სასწავლო პროცესში;
6. სსსმ პირებს წვდომა აქვთ პროგრამით გათვალისწინებულ ან ინდივიდუალური სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სასწავლო რესურსებთან, რომლებიც ადაპტირებულია სსსმ პირების საჭიროებებისა და მოთხოვნილებების შესაბამისად;
7. პსდ-ს ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობა.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია დაწესებულების/სასწავლო საწარმოს/პრაქტიკის ობიექტის მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით

პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია უნივერსიტეტის მფლობელობაში არსებული, თანამედროვე სტანდარტების შესაბამისი მატერიალურ-ტექნიკური რესურსით, რომელიც სრულად შეესაბამება პროფესიული პროგრამის სპეციფიკას და გათვლილია პროგრამაზე დაშვებული პროფესიული სტუდენტების ზღვრულ რაოდენობაზე – 30 პროფესიულ სტუდენტზე.

43

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:



აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტში პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „მსუბუქი ავტომობილის სავალი ნაწილის შეკეთება“ განხორციელებისთვის გამოყოფილია სასწავლო სივრცეები, რომლებიც მდებარეობს უნივერსიტეტის მე-11 კორპუსის ქუთაისი, ახალგაზრდობის გამზირი N 98 პირველ სართულზე. პროგრამის განხორციელებისთვის გამოიყენება A/C და B სასწავლო გარემოები, რომლებიც მოწყობილია პროფესიული განათლების სტანდარტების, შრომის უსაფრთხოების მოთხოვნებისა და სასწავლო პროცესის ორგანიზების პრინციპების შესაბამისად.

სასწავლო სივრცეები უზრუნველყოფილია შესაბამისი ფართობით, ბუნებრივი და ხელოვნური განათებით, ვენტილაციის სისტემით, გათბობა-გაგრილების საშუალებებით, ელექტროენერგიის უსაფრთხო მიწოდებით, ინტერნეტზე ხელმისაწვდომობით, სახანძრო უსაფრთხოების საშუალებებითა და შრომის უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისი ინფრასტრუქტურით. აღნიშნული გარემო ქმნის უსაფრთხო, ფუნქციურ და ეფექტიან პირობებს როგორც თეორიული, ისე პრაქტიკული სწავლების განხორციელებისთვის.

პროგრამის ფარგლებში პრაქტიკული კომპონენტის სრულფასოვნად განხორციელების მიზნით სასწავლო გარემოები აღჭურვილია იმ ტექნიკური მოწყობილობებით, ინსტრუმენტებით, საჭირო მასალებითა და დამხმარე ინვენტარით, რომლებიც აუცილებელია პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მისაღწევად. აღჭურვილობა შეირჩა პროფესიული სტანდარტის მოთხოვნების შესაბამისად და უზრუნველყოფს სტუდენტების მიერ უსაფრთხო მუშაობის პრაქტიკული უნარების განვითარებას.

პროგრამაში დანართის სახით წარმოდგენილია A, B და C სასწავლო გარემოების დეტალური ჩამონათვალი, რომელშიც აღწერილია თითოეული სასწავლო სივრცის აღჭურვილობა, მატერიალურ-ტექნიკური რესურსი, ინსტრუმენტები, მოწყობილობები და სხვა საჭირო ინვენტარი. აღნიშნული რესურსის არსებობა უნივერსიტეტის მიერ დადასტურებულია შესაბამისი ფლობის დამადასტურებელი დოკუმენტაციით, ინვენტარიზაციის მასალებითა და ადგილზე დათვალიერების შესაძლებლობით.

არსებული მატერიალური რესურსი რაოდენობრივად და ხარისხობრივად შეესაბამება პროგრამაზე განსაზღვრულ 30 პროფესიულ სტუდენტს. სასწავლო პროცესის ორგანიზებისას უზრუნველყოფილია სტუდენტების ეფექტიანი ჩართულობა პრაქტიკულ სამუშაოებში, ინდივიდუალური და ჯგუფური დავალებების შესრულების შესაძლებლობა, თითოეული სტუდენტისათვის საჭირო აღჭურვილობასა და სამუშაო სივრცეზე ხელმისაწვდომობა, რაც მნიშვნელოვნად უწყობს ხელს პროფესიული კომპეტენციების განვითარებას.

პროგრამის განხორციელებისას გამოყენებული მატერიალური რესურსი ექვემდებარება მუდმივ მონიტორინგს, განახლებასა და საჭიროების შემთხვევაში შევსებას, რათა სრულად იყოს დაცული პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის მოთხოვნები, ტექნოლოგიური განვითარების ტენდენციები და დამსაქმებელთა მოთხოვნები.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

თ. ცუცქერიძე

ე. ბუბია

ნ. მანუაშვილი



ამდენად, უნივერსიტეტის მფლობელობაში არსებული სასწავლო ინფრასტრუქტურა, მატერიალურ-ტექნიკური ბაზა და პრაქტიკული სწავლებისათვის განკუთვნილი რესურსები სრულად უზრუნველყოფს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამით „მსუბუქი ავტომობილის სავალი ნაწილის შეკეთება“ განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას და შეესაბამება პროგრამაზე დაშვებული პროფესიული სტუდენტების ზღვრულ რაოდენობას.

ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

2. პროგრამისთვის განსაზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას

პროგრამის 16 მოდულის განხორციელებაში ჩართულია 18 კვალიფიციური პროფესიული მასწავლებელი, რომელთა საშუალო დატვირთვა შეადგენს 100 – 200 საათს. პროგრამას მოდულების მიხედვით ჰყავს 2 განმახორციელებელი მასწავლებლები, რომლებსაც შეუძლიათ საჭიროების შემთხვევაში პროგრამის განხორციელების პროცესში ერთმანეთის ჩანაცვლება. მოდულების ათვისება და შედეგების დადასტურება პროგრამის სასწავლო გეგმით ისეა გაწერილი, რომ ერთი პროფესიული მოდულის დასრულებამდე მომდევნო მოდულის დაწყება არ იგეგმება, რაც პროგრამის მდგრადად განხორციელების კარგი პირობაა.

პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობის შეფარდება სტუდენტების ზღვრულ რაოდენობასთან სრულად უზრუნველყოფს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას.

ვიზიტის ფარგლებში შესწავლილ იქნა პერსონალის პირადი საქმეები. დაწესებულებას შემუშავებული და დამტკიცებული აქვს პროფესიული განათლების მასწავლებელთა დატვირთვის მეთოდოლოგია, რომლის გათვალისწინებით ყოველი სასწავლო წლის დაწყების წინ დაგეგმილია პროფესიული განათლების მასწავლებელთა საათობრივი დატვირთვის სქემების შედგენა, რათა პერსონალის დატვირთვა არ აცდეს საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრულ მოთხოვნებს.

წარმოდგენილი მასალებითა და გასაუბრებით დგინდება, რომ დაწესებულებას რიგ მოდულებზე ჰყავს არანაკლებ ორი განმახორციელებელი პერსონალი. ვიზიტის მიმდინარეობისას ექსპერტები გაესაუბრნენ, განმახორციელებელ პირებს. პერსონალთან გაფორმებულია შრომითი ხელშეკრულებები.

ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით, „მსუბუქი ავტომობილის სავალი ნაწილის შეკეთება“ პროგრამისათვის წარმოდგენილი განმახორციელებელი პერსონალის რაოდენობა და დატვირთვის განაწილება საკმარისია, რეალისტურია და უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის მდგრად, უწყვეტ და ხარისხიან განხორციელებას.

ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

თ. ცუცქერიძე

ნ. მანუაშვილი



3. პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებელს აქვს პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია

პროგრამით დასახული სწავლის შედეგებით გამომუშავების და კომპეტენტური შეფასების მიზნით პროფესიულ მასწავლებლებად ძირითადად მოწვეული არიან აწსუ-ს მშენებლობის და ტრანსპორტის დეპარტამენტის აკადემიური პერსონალი, რომელთაც გააჩნიათ, როგორც პროფესიული, ასევე აკადემიური სწავლების სტუდენტებთან ტრანსპორტის სერვისული მომსახურების კუთხით მუშაობის მრავალწლიანი გამოცდილება.

პროფესიული განათლების მასწავლებლების პირად საქმეებში დაცულია პერსონალის კვალიფიკაციის დამადასტურებელი დიპლომები და სერტიფიკატები, რომელთა საფუძველზეც, პროფესიული განათლების მასწავლებელთა კვალიფიკაცია იძლევა მოდულების სწავლის შედეგები მიღწევის შესაძლებლობას. მათი კვალიფიკაცია შეესაბამება დაწესებულების მიერ დადგენილ საკვალიფიკაციო მოთხოვნებს.

ვიზიტის პერიოდში განხორციელდა მოდულების განმახორციელებელ პირებთან ინტერვიუ. გამოიკვეთა, რომ პროგრამის განმახორციელებლებს ხშირად უტარდებათ სხვადასხვა ტიპის კვალიფიკაციის ასამაღლებელი კურსები თუ ტრენინგები როგორც დარგობრივ კომპეტენციაში, ასევე, სწავლებისა და შეფასების მიმართულებით.

ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით, პროგრამის განმახორციელებელ პროფესიული განათლების მასწავლებელთა კვალიფიკაცია, პრაქტიკული გამოცდილება, პროფესიული განვითარების ისტორია და სამუშაო დატვირთვის რაციონალური განაწილება სრულად უზრუნველყოფს „მსუბუქი ავტომობილის სავალი ნაწილის შეკეთება“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ხარისხიან, უწყვეტ და მდგრად განხორციელებას. მასწავლებელთა კომპეტენციები პირდაპირ უწყობს ხელს პროფესიული სტუდენტების მიერ პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების ეფექტიან მიღწევას.

ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

4. საგანმანათლებლო პროგრამას ჰყავს პსდ-ს მიერ განსაზღვრული, შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი

საგანმანათლებლო პროგრამას „მსუბუქი ავტომობილის სავალი ნაწილის შეკეთება“ ჰყავს პსდ-ს მიერ განსაზღვრული შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი.

ვიზიტის დროს გადამოწმდა პროგრამის ხელმძღვანელის პირადი საქმე და მოხდა მასთან გასაუბრება. ექსპერტთა შეფასებით, პროგრამას ჰყავს დაწესებულების მიერ განსაზღვრული, შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი, რომლის ხელმძღვანელობა განსაზღვრულია პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამტკიცების აქტით, ხოლო ფუნქცია-მოვალეობები სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესით.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: თ. ცუცქერიძე

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ე. ბუბია

ნ. მანუაშვილი



ექსპერტთა ჯგუფმა განახორციელა ინტერვიუება პროგრამის ხელმძღვანელთან. ინტერვიუების პროცესში ნათლად გამოჩნდა, რომ პროგრამის ხელმძღვანელი იცნობს საკუთარ ფუნქცია-მოვალეობებს და მუშაობს პროგრამის განვითარების მიმართულებით. მონაწილეობა აქვს მიღებული საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებაში, პარტნიორი ორგანიზაციების მოძიებაში, პროფესიული განათლების მასწავლებლების შერჩევასა და მატერიალური რესურსების მობილიზებაში, პროფესიულ სტუდენტთა შეფასების ინსტრუმენტების ვალიდაციის პროცესში.

ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

5. საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია ელექტრონული სახით ან დაწესებულების ბიბლიოთეკაში მატერიალური სახით და გამოიყენება სასწავლო პროცესში

„მსუბუქი ავტომობილის სავალი ნაწილის შეკეთება“ საგანმანათლებლო პროგრამაში - (მოდულებში) მითითებული საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია ნაწილი ბეჭდური და ნაწილი ელექტრონული სახით დაწესებულების ბიბლიოთეკაში.

საბიბლიოთეკო რესურსები დამუშავებულია სათანადო წესით და მათ მითითებული აქვს კეტერები.

ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

6. სსსმ პირებს წვდომა აქვთ პროგრამით გათვალისწინებულ ან ინდივიდუალური სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სასწავლო რესურსებთან, რომლებიც ადაპტირებულია სსსმ პირების საჭიროებებისა და მოთხოვნილებების შესაბამისად

დაწესებულებას შემუშავებული და დამტკიცებული აქვს ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავების მეთოდოლოგია, ასევე ჰყავს ინკლუზიური პროფესიული განათლების სპეციალისტი, რომელიც მეთოდოლოგიის და სსსმ პირების საჭიროებების საფუძველზე უზრუნველყოფენ პროგრამით ან ინდივიდუალური სასწავლო გეგმით გათვალისწინებული სასწავლო რესურსების ადაპტირდება სსსმ პირების საჭიროებებისა და მოთხოვნილებების შესაბამისად.

ავტორიზაციის ვიზიტის ფარგლებში ექსპერტთა ჯგუფმა შეისწავლა დაწესებულების სასწავლო პირობები, რომლებიც გამოიყენება „მსუბუქი ავტომობილის სავალი ნაწილის შეკეთება“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებისთვის. სასწავლო სივრცეების დათვალიერებისა და პროგრამის განმახორციელებელ პერსონალთან ჩატარებული ინტერვიუების საფუძველზე დადგინდა,

47

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: თ. ცუცქერიძე

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ე. ბუბია

ნ. მანუაშვილი



რომ პროგრამის სასწავლო გარემოები უზრუნველყოფს პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევისთვის აუცილებელ ინფრასტრუქტურულ პირობებს, მათ შორის ინკლუზიური სასწავლო გარემოს შექმნას.

დაწესებულების იმ სასწავლო კორპუსში, სადაც განთავსებულია პროგრამის სასწავლო სივრცეები, უზრუნველყოფილია მოქმედ სტანდარტებთან შესაბამისი ხელმისაწვდომობა. კერძოდ, A და C სივრცეები განთავსებულია XI კორპუსის პირველ სართულზე და ადაპტირებულია სსსმ პირებისათვის. ბიბლიოთეკისა და საინფორმაციო რესურსების გამოყენება ხელმისაწვდომია სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე სტუდენტებისთვისაც. ელ-ბიბლიოთეკის ვებ-გვერდი ადაპტირებულია სსსმ სტუდენტებისათვის. მაგალითად: ვებ-გვერდს გააჩნია აუდიო წამკითხველი, აქვს კონტრასტის მართვის და შრიფტის გაზრდის ფუნქცია.

ექსპერტთა შეფასებით, დაწესებულების მიერ უზრუნველყოფილი ინფრასტრუქტურა და სასწავლო სივრცეების ადაპტირება სრულ თანხვედრაშია პროფესიული განათლების სტანდარტის მოთხოვნებთან.

ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

7. პსდ-ს ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობა.

დაწესებულების მიერ წარმოდგენილ იქნა პროგრამის საპროგნოზო ბიუჯეტი, რომლის მიხედვითაც განსაზღვრულია ძირითადი შემოსავლები და ხარჯები. ბიუჯეტის მიხედვით ირკვევა, რომ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „მსუბუქი ავტომობილის სავალი ნაწილის შეკეთება“ ფინანსურად მდგრადია, განსაზღვრულია რენტაბელობის ზღვარი (11 პროფესიული სტუდენტი) დაწესებულების ბიუჯეტი შედგება შემოსავლებისა და ხარჯების ნაწილისაგან, მისი მთავარი შემოსავლების წყაროა ვაუჩერული დაფინანსება, რომელიც სრულად აკმაყოფილებს პროგრამის შეუფერხებლად განხორციელების საჭიროებებს.

ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

- პსდ-ს მიერ შევსებული ფორმა პროგრამის განხორციელებისთვის საჭირო ადამიანური რესურსის შესახებ, პერსონალის პირადი საქმეები;
- პსდ-ს მიერ შევსებული ფორმა პროგრამის განხორციელებისთვის საჭირო მატერიალური რესურსის შესახებ, მატერიალური რესურსების ფლობის დოკუმენტაცია;
- ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავების წესი;
- პროფესიული განათლების მასწავლებლების სამსახურში აყვანის წესი;
- პროფესიული განათლების მასწავლებლების დატვირთვის გაანგარიშების წესი;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

Handwritten signature

თ. ცუცქერიძე

ნ. მანუაშვილი

Handwritten signature



- ბიბლიოთეკით სარგებლობის წესი;
- პარტნიორ ორგანიზაციებთან გაფორმებული თანამშრომლობის მემორანდუმები;
- დაწესებულების/ პრაქტიკის ობიექტის პროგრამის განსახორციელებლად საჭირო მატერიალური რესურსების შეფასების შედეგები;
- ბიბლიოთეკაში არსებული სასწავლო რესურსი დამუშავებული საბიბლიოთეკო წესის შესაბამისად;
- პროგრამის საპროგნოზო ბიუჯეტი;
- წინასწარი ხელშეკრულებები პროფესიულ მასწავლებლებთან;
- ინტერვიუს და დათვალიერების შედეგები.

შეფასება:

- ☒ შეესაბამება
- ☐ მეტწილად შეესაბამება
- ☐ ნაწილობრივ შეესაბამება
- ☐ არ შეესაბამება

2.3 საგანმანათლებლო პროგრამების შეფასება და განვითარება

2.3.1 პროგრამის განვითარება უზრუნველყოფილია პროგრამების შეფასებისა და განვითარების პსდ-ში მოქმედი მექანიზმით

1. პროგრამის შეფასების მექანიზმი ითვალისწინებს შრომის ბაზრის მოთხოვნებს, უკუკავშირს დაინტერესებული მხარეებისგან, საუკეთესო ადგილობრივ ან/და საერთაშორისო პრაქტიკას და სხვ.;
2. პსდ ანალიზებს პროგრამის განხორციელების ხარისხის შეფასების შედეგებს და საჭიროების შემთხვევაში ახორციელებს ცვლილებებს საგანმანათლებლო პროგრამაში/მოდულებში მის მიერ განსაზღვრული წესებისა და პროცედურების შესაბამისად.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. პროგრამის შეფასების მექანიზმი ითვალისწინებს შრომის ბაზრის მოთხოვნებს, უკუკავშირს დაინტერესებული მხარეებისგან, საუკეთესო ადგილობრივ ან/და საერთაშორისო პრაქტიკას და სხვა

„პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის, განხორციელებისა და შეფასების წესის“ მიხედვით, აწსუ-ში შემუშავებულია პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შეფასების სისტემა, რომელიც გამოიყენება სასწავლო პროცესის ხარისხის

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: თ. ცუცქერიძე

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ე. ბუბია

ნ. მანუაშვილი



გასაუმჯობესებლად. აკადემიური საბჭოს 2021 წლის 9 ნოემბრის N8 (21/22) დადგენილებით დამტკიცებულია პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ინიცირების, შემუშავების, შეფასების, განვითარების, მასში ცვლილების შეტანის და გაუქმების წესი, რომლის თანახმად საგანმანათლებლო პროგრამის შეფასება მოიცავს ისეთ პროცესებს, როგორიცაა: პროგრამების შინაარსობრივი ასპექტების შეფასება; სწავლა-სწავლების პროცესის მიმდინარეობის ადეკვატურობის დადგენა; მოდულის განმახორციელებელი პირების საქმიანობის შეფასება; მატერიალურ-ტექნიკური რესურსის, მასალა-ნედლეულის საკმარისობის და ავთენტურობის შეფასება; ვერიფიკაცია.

პროფესიული საგანმანათლო პროგრამის თითოეული სტანდარტი მიზნად ისახავს ბაზრის მოთხოვნებზე ორიენტირებულ პროფესიული პროგრამების შეთავაზების გზით, საქართველოში პროფესიული განათლების გაუმჯობესება-განვითარებას და მაღალი საერთაშორისო სტანდარტის დაწესებას.

დადგენილი წესების შესაბამისად, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შეფასება ეფუძნება რამდენიმე ურთიერთდაკავშირებულ კომპონენტს, მათ შორის: შრომის ბაზრის კვლევის შედეგების რეგულარულ ანალიზს; დაინტერესებული მხარეების — პროფესიული სტუდენტების, პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის, დამსაქმებლებისა და პარტნიორი ორგანიზაციების უკუკავშირს; ადგილობრივი და საერთაშორისო პრაქტიკის გათვალისწინებას; ასევე პროგრამის შინაარსისა და მისაღწევი შედეგების პერიოდულ გადახედვას. აღნიშნული მიდგომა უზრუნველყოფს პროგრამების აქტუალობისა და შესაბამისობის სისტემურ შემოწმებას როგორც შიდა, ისე გარე მოთხოვნებთან მიმართებით.

ამასთან, დაწესებულებაში მოქმედი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის, შემუშავების, განხორციელებისა და შეფასების მეთოდოლოგია დეტალურად განსაზღვრავს პროგრამების შიდა შეფასების პროცედურებს, შეფასების განხორციელების პერიოდულობას, ცვლილებების შეტანის წესებსა და საფუძვლებს, ასევე პროცესში ჩართული პასუხისმგებელი პირების ფუნქციებს. მეთოდოლოგიაში მკაფიოდ არის გამოკვეთილი ხარისხის უზრუნველყოფის ციკლის სრული ლოგიკა, რაც უზრუნველყოფს პროგრამების უწყვეტ მონიტორინგს და დაგეგმილი შედეგების მიღწევის კონტროლს.

ჩატარებული გასაუბრებების საფუძველზე დადგინდა, რომ კოლეჯის პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური სისტემურად ახორციელებს ხარისხის მართვის ფუნქციებს. სამსახური ატარებს პერიოდულ კვლევებს, იყენებს წინასწარ შემუშავებულ და დამტკიცებულ კითხვარებს, აანალიზებს პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის, პროფესიული სტუდენტებისა და დამსაქმებლების შეფასებებს და ამზადებს რეკომენდაციებს პროგრამების გაუმჯობესების მიზნით. კვლევების შედეგები გამოიყენება როგორც მიმდინარე სასწავლო პროცესის დახვეწისა და ოპტიმიზაციისთვის, ისე პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შემდგომი განვითარების დაგეგმვისას.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:



ექსპერტთა შეფასებით, დაწესებულებაში არსებული ხარისხის უზრუნველყოფის რეგულაციები და პრაქტიკა ქმნის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, განხორციელებისა და განვითარების ეფექტიან და მდგრად სისტემას, რაც ხელს უწყობს პროგრამების ხარისხის შენარჩუნებასა და გაუმჯობესებას.

ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

2.3სდ აანალიზებს პროგრამის განხორციელების ხარისხის შეფასების შედეგებს და საჭიროების შემთხვევაში ახორციელებს ცვლილებებს საგანმანათლებლო პროგრამაში/მოდულებში მის მიერ განსაზღვრული წესებისა და პროცედურების შესაბამისად

დაწესებულებას შემუშავებული აქვს „პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის, განხორციელებისა და შეფასების მეთოდოლოგია“, რომელიც განსაზღვრავს ჩარჩო დოკუმენტის/პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტის საფუძველზე შექმნილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავების, დამტკიცებისა, ცვლილებების შეტანისა და განვითარების პროცედურებს. პროგრამაში ცვლილების შეტანა ხორციელდება წინამდებარე წესით დადგენილი პროცედურებით. დაწესებულება აანალიზებს პროგრამის განხორციელების ხარისხის შეფასების შედეგებს და საჭიროების შემთხვევაში, ახორციელებს ცვლილებებს საგანმანათლებლო პროგრამაში/მოდულებში. პროგრამაში ცვლილებები(პროფესიულ საგანმანათლებლო სტანდარტთან შესაბამისობაში მოყვანა) განხორციელებულია აღნიშნული წესის დაცვით,რაც დასტურდება შესაბამისი მტკიცებულებებით. ასევე, უნივერსიტეტში შემუშავებულია ხარისხის შიდა უზრუნველყოფისა და ვერიფიკაციის მექანიზმები, რომლის მიზანია პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განვითარება, სწავლებისა და შეფასების თანამედროვე მეთოდების დანერგვის ხელშეწყობა, სასწავლო პროცესის ხარისხის ამაღლება. წესების საფუძველზე პროგრამაში ცვლილებების შეტანა შესაძლებელია პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შეფასების მოქმედი სისტემით გათვალისწინებული ღონისძიებების შედეგების ანალიზის, პროფესიულ საგანმანათლებლო სტანდარტში შეტანილი ცვლილებების, შრომის ბაზრის მოთხოვნის (არჩევითი მოდულის შემთხვევაში) ან სხვა გარემოებების საფუძველზე. პროგრამაში ცვლილების ინიცირება შეუძლია აწესს-ს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსს, პროგრამის ხელმძღვანელს და პროგრამის განმახორციელებელი პროფესიული განათლების მასწავლებელს. პროგრამაში ცვლილების შეტანა ხორციელდება წინამდებარე წესით დადგენილი პროცედურებით. აწესს გაანალიზებს პროგრამის განხორციელების ხარისხის შეფასების შედეგებს და საჭიროების შემთხვევაში განახორციელებს ცვლილებებს საგანმანათლებლო პროგრამაში/მოდულებში მის მიერ განსაზღვრული წესებისა და პროცედურების შესაბამისად. გარდა ამისა, პროგრამის ხელმძღვანელის ვალდებულებად მიჩნეულია ზრუნვა პროგრამის განვითარებაზე, პროგრამის ადეკვატურ განხორციელებაზე, პრაქტიკისა და თეორიის კომპონენტის შეთავსებაზე, პროგრამის განსახორციელებლად საჭირო მატერიალური და ადამიანური რესურსების განვითარებაზე.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:



ზემოაღნიშნული ინფორმაციის დადასტურების მიზნით, ექსპერტთა ჯგუფი გაესაუბრა ხარისხის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელ პირებსა და პროგრამის ხელმძღვანელს. პროგრამის ხელმძღვანელიც და ხარისხის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელი პირებიც სრულად აცნობიერებენ პროგრამის შეფასებისა და მიღებული შედეგების მნიშვნელოვნებას პროგრამის განვითარების პროცესს.

ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

- პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავების, შეფასების და განვითარების წესი;
- აწეს საგანმანათლებლო პროგრამების ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკა - EP-QA პოლიტიკა;
- აწეს პროფესიული განათლების ცენტრის სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი.
- ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმები;
- კითხვარების ფორმები;
- გამოკითხვის შედეგები;
- პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში ცვლილებების შეტანის დამადასტურებელი დოკუმენტი(აკადემიური საბჭოს დადგენილება);
- გასაუბრების შედეგები

შეფასება:

- ☒ შეესაბამება
- ☐ მეტწილად შეესაბამება
- ☐ ნაწილობრივ შეესაბამება
- ☐ არ შეესაბამება

2.4 სასწავლო პროცესის ორგანიზება და პროფესიულ სტუდენტთა შეფასება

2.4.1 სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სასწავლო მიზნების მიღწევას

1. პროგრამა ხორციელდება სასწავლო გეგმის/გეგმების შესაბამისად;
2. პსდ უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის ორგანიზებას პროფესიულ სტუდენტთა ინტერესების გათვალისწინებით და მოქნილად რეაგირებს შემხვედრ საჭიროებებზე;

52

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: თ. ცუცქერიძე

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ა. ბერიძე

ნ. მანუაშვილი



3. სასწავლო პროცესი ითვალისწინებს სწავლების თანამედროვე მეთოდებისა და დარგის შესაბამისი ტექნოლოგიების გამოყენებას;
4. პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევისას გათვალისწინებულია პროფესიულ სტუდენტთა ინდივიდუალური საჭიროებები;
5. პსდ-ს თანამშრომლობა პრაქტიკის კომპონენტის განმახორციელებელ პარტნიორთან/სასწავლო საწარმოსთან/თანაგანმახორციელებელ დაწესებულებასთან დასტურდება შესაბამისი ხელშეკრულებით/ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმით;
6. სასწავლო პროცესი მიმდინარეობს უსაფრთხო სასწავლო/სამუშაო გარემოში, პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. პროგრამა ხორციელდება სასწავლო გეგმის/გეგმების შესაბამისად

დაწესებულებას შემუშავებული და დამტკიცებული აქვს სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამისთვის „მსუბუქი ავტომობილის სავალი ნაწილის შეკეთება“ შემუშავებული და დამტკიცებულია შესაბამისი სასწავლო გეგმა. პროგრამის მოდულები იმგვარადაა აწყობილი, რომ ერთმენათთან დაკავშირებულია ლოგიკურად. სასწავლო პროცესი მიმდინარეობს პროგრამის სასწავლო გეგმის საფუძველზე შედგენილი სასწავლო ცხრილების შესაბამისად, სალექციო, პრაქტიკული და ლაბორატორიული მეცადინეობების ფორმით.

პროგრამის ფარგლებში შედგენილია სასწავლო გეგმა ქართულენოვანი და არაქართულენოვანი პროფესიული სტუდენტებისათვის. არსებული სასწავლო გეგმა უზრუნველყოფს პროგრამის თანმიმდევრულ განხორციელებას. პროგრამის შემუშავების, შეფასების და განვითარების წესის მიხედვით, თუ მოდული არის სხვა მოდულზე დაშვების წინაპირობა, სავალდებულოა ამ მოდულებს შორის სწავლება უნდა განხორციელდეს არაუმეტეს 10 დღიანი (კალენდარული დღე) ინტერვალით, რათა არ შეიქმნას განმეორებითი შეფასების ჩატარების პრობლემა. სასწავლო გეგმა სწორედ ამ პრინციპით არის აგებული და დაცულია დროის შუალედი განმეორებითი შეფასებისათვის. ვიზიტის ფარგლებში ექსპერტთა მიერ შესწავლილი სასწავლო გეგმა წარმოდგენილია მკაფიო, თანმიმდევრულ და ლოგიკურად გააზრებულ სტრუქტურად. დადგინდა, რომ გეგმა სრულად შეესაბამება სამუშაო სტანდარტის მოთხოვნებს და შეიცავს მის მიერ რეკომენდირებულ უმთავრეს ელემენტებს. ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

2. პსდ უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის ორგანიზებას პროფესიულ სტუდენტთა ინტერესების გათვალისწინებით და მოქნილად რეაგირებს შემხვედრ საჭიროებებზე

53

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

Handwritten signature

Handwritten signature



დაწესებულება უზრუნველყოფს ეფექტიანი სასწავლო გარემოს შექმნას პროფესიულ სტუდენტთა ინტერესების გათვალისწინებით. დაწესებულებაში ხორციელდება სასწავლო პროცესის მუდმივი მონიტორინგი და პროფესიულ სტუდენტებთან ეფექტური უკუკავშირის მეშვეობით ხდება რეაგირება მათ ინტერესებსა და საჭიროებებზე. პროფესიულ სტუდენტთა ინდივიდუალური საჭიროებები პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევისას გათვალისწინებულია, რისთვისაც დაწესებულებას აქვს აღწერილი ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შედგენის პროცედურა.

ასევე, პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე ჩარიცხვისა და სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი არეგულირებს პროფესიული სტუდენტის შემდგომი განათლებით უზრუნველყოფას, პროგრამის გაუქმების შემთხვევაში. წესის მიხედვით, სტუდენტებს აქვთ, მობილობის უფლება. აწსუ-ს ვერიფიკაციის წესი ითვალისწინებს, მოდულების შეფასების მექანიზმებს, რომლებშიც გათვალისწინებულია სტუდენტების ობიექტური შეფასება.

პროგრამის ხელმძღვანელი და პროგრამის განმახორციელებელი პროფესიული განათლების მასწავლებლები არიან კვალიფიციური სპეციალისტები, რომლებიც კარგად იცნობენ დარგის საჭიროებებს. შესაბამისად, პერიოდულად განხორციელდება პროფესიული სტუდენტების მიერ განვლილი მოდულების ფარგლებში მიღწეული შედეგების შეფასება და საჭიროები შემთხვევაში, ცვლილებების განხორციელების შესახებ წინადადების წარედგინება ფაკულტეტის დეკანს.

უნივერსიტეტის შიდა მარეგულირებელი აქტების, ადმინისტრაციასთან და პროგრამის ხელმძღვანელთან ექსპერტთა ჯგუფის გასაუბრების შედეგების შეფასებით დასტურდება, რომ დაწესებულება სასწავლო პროცესის ორგანიზებისას ითვალისწინებს პროფესიულ სტუდენტთა ინტერესებს და მოქნილად ახორციელებს რეაგირებას შემხვედრ საჭიროებებზე. ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

3. სასწავლო პროცესი ითვალისწინებს სწავლების თანამედროვე მეთოდებისა და დარგის შესაბამისი ტექნოლოგიების გამოყენებას

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „მსუბუქი ავტომობილის სავალი ნაწილის შეკეთება“ ხორციელდება სწავლების თანამედროვე მეთოდების და დარგის საჭიროებების გათვალისწინებით. პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამის განსახორციელებლად გამოყოფილი აუდიტორია აღჭურვილია სწავლებისათვის საჭირო ტექნიკითა და რესურსით. პროგრამა ითვალისწინებს დარგში რეალურად მოქმედი სპეციალური პროგრამული უზრუნველყოფის ან მათი დემოვერსიების არსებობას, რომლის საშუალებითაც სტუდენტები პრაქტიკულად გაეცნობიან დარგის შესაბამის თანამედროვე ტექნოლოგიებს.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: თ. ცუცქერიძე

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ა. აბოიძე

ნ. მანუაშვილი



ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

4. პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევისას გათვალისწინებულია პროფესიულ სტუდენტთა ინდივიდუალური საჭიროებები პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევისას გათვალისწინებულია პროფესიულ სტუდენტთა ინდივიდუალური საჭიროებები; დოკუმენტების შესწავლისას და გასაუბრების საფუძველზე დადგინდა, რომ პროგრამის განმახორციელებელი პერსონალი მზად არის შესაბამისი ქმედებისათვის.

ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

5. პსდ-ს თანამშრომლობა პრაქტიკის კომპონენტის განმახორციელებელ პარტნიორთან/სასწავლო საწარმოსთან/ თანაგანმახორციელებელ დაწესებულებასთან დასტურდება შესაბამისი ხელშეკრულებით/ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმით აღნიშნული პროგრამა ხორციელდება იმიტირებულ სასწავლო გარემოში, შესაბამისად დაწესებულებისთვის პრაქტიკის ობიექტის საჭიროება არ არის.

ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

6. სასწავლო პროცესი მიმდინარეობს უსაფრთხო სასწავლო/სამუშაო გარემოში, პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „მსუბუქი ავტომობილის სავალი ნაწილის შეკეთება“ თავისი პრაქტიკული და ტექნიკური სპეციფიკიდან გამომდინარე დაკავშირებულია ავტომობილის სავალი ნაწილის კომპონენტებთან, მექანიზმებთან, სპეციალურ ხელსაწყოებთან, ამწე მოწყობილობებთან და სხვადასხვა ტექნოლოგიურ პროცესებთან, რომელთა გამოყენება საჭიროებს შრომის უსაფრთხოების განსაკუთრებული მოთხოვნების დაცვას.

პროგრამის განმახორციელებელმა დაწესებულებამ უზრუნველყო უსაფრთხო სასწავლო გარემოს შექმნა, რომელიც შეესაბამება პროფესიული განათლების სფეროში მოქმედ უსაფრთხოების სტანდარტებსა და შრომის უსაფრთხოების ნორმებს. სასწავლო სახელოსნო აღჭურვილია პროგრამის განხორციელებისთვის საჭირო მატერიალურ-ტექნიკური რესურსით, მათ შორის ავტომობილის სავალი ნაწილის შეკეთებისთვის აუცილებელი ხელსაწყოებით, მოწყობილობებითა და სამუშაო ინვენტარით.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: თ. ცუცქერიძე
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ე. ბუბია

ნ. მანუაშვილი



სასწავლო სივრცეში განთავსებულია უსაფრთხოების შესაბამისი ნიშნები და გამაფრთხილებელი მანიშნებლები, თვალსაჩინო ადგილებზე გამოკრულია სამუშაო პროცესებთან დაკავშირებული უსაფრთხოების ინსტრუქციები, მოწყობილობების გამოყენების წესები და საგანგებო სიტუაციებში მოქმედების პროცედურები. პრაქტიკული მეცადინეობების დაწყებამდე პროფესიული სტუდენტები იღებენ ინფორმაციას სამუშაო პროცესში არსებული რისკების შესახებ და გადიან შესაბამის ინსტრუქტაჟს.

სასწავლო პროცესში გათვალისწინებულია პროფესიული სტუდენტების უზრუნველყოფა ინდივიდუალური დაცვის საშუალებებით, რაც მოიცავს სამუშაო ტანსაცმელს, დამცავ ხელთათმანებს, დამცავ ფეხსაცმელსა და სამუშაოს სპეციფიკიდან გამომდინარე სხვა აუცილებელ საშუალებებს.

უსაფრთხოების მოთხოვნების შესრულებაზე პასუხისმგებელი პირები ახორციელებენ სასწავლო გარემოს პერიოდულ მონიტორინგს, აკონტროლებენ უსაფრთხოების წესების დაცვას და უზრუნველყოფენ გამოვლენილი რისკების პრევენციას. დაწესებულებაში დასაქმებულია შრომის უსაფრთხოების ორი სპეციალისტი, რომლებიც პასუხისმგებელნი არიან შრომის უსაფრთხოების სისტემის მართვაზე, რისკების შეფასებასა და უსაფრთხოების ღონისძიებების განხორციელებაზე.

იმ შემთხვევაში, თუ პროგრამის პრაქტიკული კომპონენტი ხორციელდება პარტნიორი ორგანიზაციის ბაზაზე, დაწესებულება შესაბამისი ხელშეკრულებების საფუძველზე უზრუნველყოფს, რომ პრაქტიკის ობიექტი აკმაყოფილებდეს უსაფრთხო სამუშაო გარემოსა და შრომის უსაფრთხოების მოთხოვნებს.

ადგილზე ვიზიტისა და განხორციელებული ინტერვიუების საფუძველზე დასტურდება, რომ პროგრამის სასწავლო პროცესი მიმდინარეობს უსაფრთხო გარემოში, სადაც დაცულია სამუშაო პროცესის უსაფრთხოების წესები, უზრუნველყოფილია შესაბამისი ზედამხედველობა და შექმნილია პირობები პროფესიული სტუდენტების პრაქტიკული უნარების უსაფრთხოდ განვითარებისთვის.

ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

- „მსუბუქი ავტომობილის სავალი ნაწილის შეკეთება“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა, სასწავლო გეგმა;
- აწსუ-ს აკად საბჭოს დადგენილება №60(25/26), 15.06.26წ.
- აწსუ სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი;
- ინდ. სასწავლო გეგმების შემუსავების წესი;
- შრომის უსაფრთხოების პოლიტიკა;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

Handwritten signature

თ. ცუცქერიძე

ნ. მანუაშვილი

Handwritten signature



- ინტერვიუს და დათვალიერების შედეგები.

შეფასება:

- ☒ შეესაბამება
- ☐ მეტწილად შეესაბამება
- ☐ ნაწილობრივ შეესაბამება
- ☐ არ შეესაბამება

2.4.2 შეფასების სისტემა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების დადასტურებას

1. პროგრამის მიზნებისთვის გამოყენებული შეფასების სისტემა არის ვალიდური, სანდო, გამჭვირვალე, სამართლიანი, ობიექტური;
2. პროფესიულ სტუდენტთა შეფასების სისტემა ითვალისწინებს ვერიფიკაციის მექანიზმს;
3. პსდ უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას შეფასების უწყისის გაფორმებიდან 3 წლის ვადით;
4. პროფესიულ სტუდენტთა შეფასების შედეგები გამოყენებულია მათი შემდგომი განვითარებისათვის.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. პროგრამის მიზნებისთვის გამოყენებული შეფასების სისტემა არის ვალიდური, სანდო, გამჭვირვალე, სამართლიანი, ობიექტური

დაწესებულებას შემუშავებული და დამტკიცებული აქვს სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი, რომელშიც გაწერილია პროფესიულ სტუდენტთა სწავლის შედეგების შეფასების საკითხები. წესი მოიცავს: შეფასების ინსტრუმენტის შემუშავების პროცედურების, შეფასების ინსტრუმენტების შემუშავების, პროფესიულ სტუდენტთა ინფორმირებასთან დაკავშირებული საკითხების, აპელაციის წესის, შეფასების პროცესის ადმინისტრირების საკითხების, განმეორებითი შეფასების განხორციელების პროცედურის და წესის, მტკიცებულებების მოპოვება-შენახვის წესის შესახებ ინფორმაციებს.

შეფასების ინსტრუმენტი გადის ვალიდაციის პროცესს. პროფესიული განათლების მასწავლებელი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის მოდულის/მოდულების განხორციელებამდე არაუგვიანეს 2 კვირისა პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელს წარუდგენს კალენდარულ გეგმასა და შეფასების ინსტრუმენტებს ვალიდაციისათვის. ვალიდატორი შეიძლება იყოს შესაბამისი დარგის უნივერსიტეტის აკადემიური პესონალი, რომელიც არ მონაწილეობს მოდულის განხორციელებაში. ვალიდაციის

57

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: თ. ცუცქერიძე

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ე. ბუბია

ნ. მანუაშვილი



შევსებული (ხელმოწერით დადასტურებული) ფორმები ინახება შესაბამისი პროგრამის ხელმძღვანელთან. შეფასების მიზნებისათვის, გამოიყენება მხოლოდ ვალიდური შეფასების ინსტრუმენტები.

ზემოაღნიშნული დასტურდება პროგრამის ხელმძღვანელთან და განმახორციელებლებთან ინტერვიუებით

დაწესებულებამ წარადგინა შემუშავებული შეფასების ინსტრუმენტები, მათ შორის ფორმატები, დავალებები და შესაბამისი ინსტრუქციები, რაც წარმოაჩენს შეფასების პროცესის სტრუქტურირებას და სტანდარტებთან შესაბამისობას.

ჩვენს მიერ შერჩევით შემოწმდა შეფასების ინსტრუმენტები. ინსტრუმენტები შედგენილია და შესრულებულია კანონმდებლობის და დაწესებულების რეგულაციების დაცვით.

ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

2. პროფესიულ სტუდენტთა შეფასების სისტემა ითვალისწინებს ვერიფიკაციის მექანიზმს

აწსუ პროფესიულ სტუდენტთა შეფასების სისტემა ითვალისწინებს ვერიფიკაციის მექანიზმს, რომელშიც გაწერილია შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მიდგომები, ვერიფიკაციის დაგეგმვისა და ადმინისტრირების საკითხები. შეფასების სისტემის ვერიფიკაცია ითვალისწინებს შეფასების ინსტრუმენტების, შეფასების პროცესის და შეფასების მტკიცებულებების ვერიფიკაციის პროცესს. შეფასების სისტემის ვერიფიკაციას ახორციელებს ვერიფიკაციის ჯგუფი. დოკუმენტში დარეგულირებულია ვერიფიკაციის შედეგების განხილვისა და რეაგირების მექანიზმები. ვერიფიკაციის დასკვნის პროექტის განხილვის ორგანიზებას უზრუნველყოფს ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური. ვერიფიკაციის შედეგები გამოყენებულია პროფესიული სტუდენტის შემდგომი განვითარებისათვის.

დაწესებულებამ მტკიცებულების სახით წარმოადგინა 2023–2024 და 2024–2025 სასწავლო წლების ხარისხის უზრუნველყოფის მენეჯერის ანგარიშები, რომლებშიც წარმოდგენილი იყო ექვსი მოდულის ვერიფიკაციის შედეგები. ანგარიშებს თან ერთვოდა შესაბამისი დასკვნები და რეკომენდაციები. დოკუმენტებში დეტალურად იყო აღწერილი ვერიფიკაციის პროცესის ეტაპები, გამოყენებული მიდგომები და მიღებული შედეგები, რაც უზრუნველყოფს განხორციელებული საქმიანობის სრულყოფილ ასახვას.

წარმოდგენილი დოკუმენტაციისა და ადგილზე განხორციელებული შეფასების პროცესში მიღებული ინფორმაციის საფუძველზე დადასტურდა, რომ დაწესებულებას შემუშავებული და დანერგული აქვს შეფასების სისტემის შიდა ვერიფიკაციის მექანიზმი. ვერიფიკაცია ხორციელდება შეფასების სისტემის დადგენილ მოთხოვნებთან შესაბამისობის უზრუნველყოფის მიზნით და წარმოადგენს ხარისხის უზრუნველყოფის შიდა სისტემის მნიშვნელოვან კომპონენტს.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

Handwritten signature

თ. ცუცქერიძე

ნ. მანუაშვილი

Handwritten signature



დადგინდა, რომ ვერიფიკაციის პროცესის კოორდინაციას ახორციელებს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური/პასუხისმგებელი პირი, ხოლო შინაარსობრივ ნაწილში, საჭიროების შესაბამისად, ჩართული არიან შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე პირები. ამასთან, დაწესებულება ვერიფიკაციის პროცესში უზრუნველყოფს ინტერესთა კონფლიქტის პრევენციას, კერძოდ, ვერიფიკაციას არ ახორციელებს ის პირი, რომელმაც შეიმუშავა შეფასების ინსტრუმენტი ან მონაწილეობდა მის შემუშავებაში, რაც პროცესის ობიექტურობასა და მიუკერძოებლობას უზრუნველყოფს.

ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

3. კსდ უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას შეფასების უწყისის გაფორმებიდან 3 წლის ვადით

აწსუ პროფესიული განათლების ცენტრი უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული, სტუდენტის პორტფოლიოსათვის გათვალისწინებული მტკიცებულებების, კერძოდ: წერილობითი მტკიცებულებების, პრაქტიკული დავალების, გამოკითხვის ბლანკების(ჩეკ-ლისტი) და სხვა დოკუმენტაციის სათანადო აღრიცხვასა და შენახვას შეფასების უწყისის გაფორმებიდან 3 წლის ვადით, ხოლო შეფასების უწყისები ინახება უვადოდ

ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

4. პროფესიულ სტუდენტთა შეფასების შედეგები გამოყენებულია მათი შემდგომი განვითარებისათვის

დაწესებულებაში პროფესიულ სტუდენტთა შეფასება განხორციელდება ინდივიდუალურად და მიღებული შედეგები გამოყენებულია მათი შემდგომი განვითარებისათვის. კერძოდ,

1. ვერიფიკაციის დროს გამოვლენილი რეკომენდაციების დადგენის შემდეგ ხდება შეჯამებული პოზიციის გაცნობა პროგრამის განხორციელებაში ჩართული და დაწესებულების დაინტერესებული პირებისათვის;

2. ვერიფიკაციის შედეგები გამოყენებული იქნება უნივერსიტეტში პროფესიული სწავლების მიმართულებით, სასწავლო პროცესის/პროგრამების გაუმჯობესების მიზნით;

3. ვერიფიკაციის შედეგები შესაძლებელია გამოყენებული იყოს პროფესიული სტუდენტის შემდგომი განვითარებისათვის. შეფასების შედეგების ანალიზის მიხედვით დაიგეგმება შესაბამისი ღონისძიებები.

ასევე, პროფესიული განათლების მასწავლებლის და პროგრამის ხელმძღვანელის მიერ პროფესიული სტუდენტი კონფიდენციალურად მიიღებს უკუკავშირს, რეკომენდაციებს სწავლის შედეგების გასაუმჯობესებლად. დაწესებულების ხარისხის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელი პირი სასწავლო პროცესის თანამშრომლებთან ერთად პერიოდულად განახორციელებს პროფესიული სტუდენტების

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

Handwritten signature

თ. ცუცქერიძე

ნ. მანუაშვილი

Handwritten signature



სწავლის შედეგების შეფასების მონიტორინგს. პროფესიულ სტუდენტთა შეფასების მონიტორინგის შედეგები გათვალისწინებულ იქნება პროგრამის განვითარების კუთხითაც, რამეთუ მონიტორინგის შედეგად მიღებული ინფორმაცია გამოყენებულია საგანმანათლებლო პროგრამების გაუმჯობესების კუთხით - მაგ. შეფასების ინსტრუმენტების შეცვლა გაუმჯობესება და სხვა. პროფესიულ სტუდენტთა შეფასების შედეგები გამოყენებულია მათი შემდგომი განვითარებისათვის.

ზემოაღნიშნული დასტურდება პროფესიულ მასწავლებლებთან, პროგრამის ხელმძღვანელთან და ხარისხის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელ პირებთან გასაუბრებით.

ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

- სწავლის შედეგების შეფასების სისტემის მარეგულირებელი წესი, რომელიც ხელმისაწვდომია დაინტერესებული მხარეებისთვის;
- პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე ჩარიცხვისა და სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი
- აწეს პროფესიულ სტუდენტთა შეფასების ვერიფიკაციის წესი
- მასწავლებლებთან და ადმინისტრაციასთან ინტერვიუს შედეგები.

შეფასება:

- ☒ შეესაბამება
- ☐ მეტწილად შეესაბამება
- ☐ ნაწილობრივ შეესაბამება
- ☐ არ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: თ. ცუცქერიძე

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ე. ბუბია

ნ. მანუაშვილი



ნაწილი III. ინფორმაცია პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

V. ზოგადი ინფორმაცია

პროგრამის სახელწოდება	მსუბუქი ავტომობილის შიგაწვის ძრავას შეკეთება
პროფესიული განათლების დონე	მესამე
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	საბაზო პროფესიული კვალიფიკაცია მსუბუქი ავტომობილის ძრავას შეკეთებაში
სწავლის დეტალური სფეროს კოდი	0716
პროგრამის დამტკიცების აქტის რეკვიზიტები	აწსუ აკადემიური საბჭოს დადგენილება №60(25/26), 15/06/2026
პროგრამის განხორციელების ენა	ქართული
პროგრამის განხორციელების მისამართი/მისამართები	ქუთაისი, ახალგაზრდობის გამზირი N 98
პროგრამის განხორციელების ფორმა (რეალურ სამუშაო გარემოში/იმიტირებულ სამუშაო გარემოში)	იმიტირებულ სამუშაო გარემოში
რეალურ სამუშაო გარემოში სწავლების ფორმა (კოოპერაციული/დუალური)	-
პროგრამაზე მოთხოვნილი პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა სწავლების ფორმის მიხედვით	30
მოთხოვნილი სტუდენტთა ზღვრული რაოდენობიდან, პროფესიული სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა იმ სასწავლო გეგმაზე, რომელიც მოიცავს ინტეგრირებულ ზოგად მოდულებს სწავლების ფორმის მიხედვით (არსებობის შემთხვევაში)	-

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები



კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	-
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	56
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	-
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	71

VI. ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასაბუთება პროგრამაზე მოთხოვნილი პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის შესახებ

ექსპერტთა ჯგუფი ეთანხმება ☒
ექსპერტთა ჯგუფი არ ეთანხმება ☐

იმ შემთხვევაში, თუკი ექსპერტთა ჯგუფი არ ეთანხმება მოთხოვნილ პროფესიულ სტუდენტთა ზღვრულ რაოდენობას, მიუთითეთ ადგილების შესაძლო ზღვრული რაოდენობა ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით, მისამართების, განხორციელების ფორმისა და არსებობის შემთხვევაში, ინტეგრირებული სასწავლო გეგმის მიხედვით და შემდეგ დაასაბუთეთ თქვენი შეფასება.

პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა ადგილების შესაძლო ზღვრული რაოდენობა ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით, მისამართებისა და განხორციელების ფორმის მიხედვით	
სტუდენტთა ზღვრული რაოდენობიდან, პროფესიულ სტუდენტთა ადგილების შესაძლო ზღვრული რაოდენობა ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით იმ სასწავლო გეგმაზე, რომელიც მოიცავს ინტეგრირებულ ზოგად მოდულებს (არსებობის შემთხვევაში).	

დასაბუთება

.....
.....

62

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: თ. ცუცქერიძე

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ე. ბერიძე

ნ. მანუაშვილი



სტანდარტი/კომპონენტი	საგანმანათლებლო დაწესებულების შეფასება (მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)	ექსპერტთა ჯგუფის შეფასება (მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)
2) საგანმანათლებლო პროგრამები	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
2.1) საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვა და შემუშავება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
2.2) საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების რესურსი	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
2.3) საგანმანათლებლო პროგრამების შეფასება და განვითარება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
2.4) სასწავლო პროცესის ორგანიზება და პროფესიულ სტუდენტთა შეფასება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

III. პროგრამის ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის ცხრილი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

თ. ცუცქერიძე

ნ. მანუაშვილი

ა. ბერიძე

გ. მანუაშვილი



ნაწილი IV. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასება

2. საგანმანათლებლო პროგრამები

2.1 საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვა და შემუშავება

2.1.1 პროგრამა შემუშავებულია პსდ-ში დანერგილი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის და შემუშავების მეთოდოლოგიის შესაბამისად

1. პსდ-ს გადაწყვეტილება საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შესახებ ეფუძნება შესაბამის დასაბუთებას და შეესაბამება პსდ-ს მისიას და სტრატეგიული განვითარების გეგმას;
2. საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობები და პროცედურები უზრუნველყოფს პროგრამაზე ისეთ პირთა დაშვებას, რომელთა წინარე ცოდნა, უნარები ან/და გამოცდილება უზრუნველყოფს პროგრამის განხორციელების ვადაში პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას;
3. პსდ საგანმანათლებლო პროგრამისთვის პროფესიულ სტუდენტთა ზღვრულ ოდენობას განსაზღვრავს შესაბამისი მეთოდოლოგიის მიხედვით;
4. საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტის მიერ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას;
5. საგანმანათლებლო პროგრამის არჩევითი მოდულები, მათი არსებობის შემთხვევაში, ლოგიკურ კავშირშია მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან ან/და პროფესიული სტუდენტის მომავალ საქმიანობასთან;
6. საგანმანათლებლო პროგრამა დამტკიცებულია დაწესებულების უფლებამოსილი პირის/ორგანოს მიერ;
7. პროგრამის სახელწოდება შეესაბამება პროგრამის შინაარსს/პროგრამით გათვალისწინებულ მისაღწევ სწავლის შედეგებს და არ არის შეცდომაში შემყვანი;
8. პსდ-ს საგანმანათლებლო პროგრამა შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებასთან დაკავშირებულ, კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: თ. ცუცქერიძე

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ე. ბუბია

ნ. მანუაშვილი



1. პსდ-ს გადაწყვეტილება საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შესახებ ეფუძნება შესაბამის დასაბუთებას და შეესაბამება პსდ-ს მისიას და სტრატეგიული განვითარების გეგმას

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „მსუბუქი ავტომობილის შიგა წვის ძრავას შეკეთება“ სრულად შეესაბამისობაშია პსდ-ს მისიასა და სტრატეგიულ განვითარების გეგმასთან. სსიპ აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის გადაწყვეტილება პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შესახებ ეფუძნება მიზანშეწონილობის დასაბუთებას.

პროგრამის მიზანია პროფესიული განათლების პროცესით უზრუნველყოს მაღალკვალიფიციური, საზოგადოებისა და შრომის ბაზრის საჭიროებაზე ორიენტირებული კადრების აღზრდა; გაითვალისწინოს ბაზრის მოთხოვნები პროფესიული განათლების განხორციელების პროცესში; დანერგოს და განავითაროს მთელი სასწავლო ციკლის განმავლობაში სწავლისა და კვალიფიკაციის ამაღლების მოქნილი სისტემა. აღნიშნული მიდგომა უზრუნველყოფს პროგრამის სტრატეგიულ მიზნებთან სრულ შესაბამისობას, სტუდენტების მომზადების ხარისხს და პროფესიული განათლების სისტემის ეფექტიანობას.

წარმოდგენილი დოკუმენტაციისა და მიღებული ინფორმაციის ანალიზი ადასტურებს, რომ „მსუბუქი ავტომობილის შიგა წვის ძრავას შეკეთების“ პროგრამის განხორციელების გადაწყვეტილება მიღებულია დაწესებულების შიდა პოლიტიკის, ხარისხის უზრუნველყოფის წესებისა და შესაბამისი კოლეგიური ორგანოების პროცედურების დაცვით. პროგრამა შეესაბამება მისიას, სტრატეგიულ მიზნებსა და რეგიონული განვითარების საჭიროებებს.

ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

2. საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობები და პროცედურები უზრუნველყოფს პროგრამაზე ისეთ პირთა დაშვებას, რომელთა წინარე ცოდნა, უნარები ან/და გამოცდილება უზრუნველყოფს პროგრამის განხორციელების ვადაში პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას

დაწესებულების აკადემიური საბჭოს 2025 წლის 11 დეკემბრის №01-04-90 დადგენილებით დამტკიცებულია “სსიპ აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესიული განათლების ცენტრის სასწავლო პროცესისა და ხარისხის უზრუნველყოფის მარეგულირებელი წესი“. დოკუმენტში გაწერილია პროფესიული სტუდენტის სტატუსის მოპოვების წინაპირობები, ჩარიცხვის ეტაპები, დაწესებულების მიერ ანკეტა-კითხვარის შევსების წესები, აპლიკანტთა რეგისტრაციის პირობები, აპლიკანტთა შერჩევის პროცედურები საბაზო, საშუალო და უმაღლეს პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე, ტესტირების ორგანიზების საკითხები, აპელაციის წესი, სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პირთა ჩარიცხვის პროცედურა, განსაზღვრულია არასრულწლოვანი პირის ჩარიცხვის შემთხვევაში მისი კანონიერი წარმომადგენლის არსებობისა და დადასტურების წესები.

სსიპ აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე „მსუბუქი ავტომობილის შიგა წვის ძრავას შეკეთება“ დაშვების წინაპირობები და პროცედურები გაწერილია პროფესიულ საგანმანათლებლო სტანდარტში - „მსუბუქი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

Handwritten signature

თ. ცუცქერიძე

ნ. მანუაშვილი

Handwritten signature



ავტომობილის შიგა წვის ძრავას შეკეთება“ პროგრამის წინაპირობაა საბაზო განათლება. პროგრამა შედგენილია ისე, რომ უზრუნველყოს საბაზო ცოდნის ბაზაზე, პროგრამის განხორციელების ვადაში განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევა აწსუ-ს მიერ აპლიკანტთა შერჩევა საავტორიზაციო პროგრამაზე ხორციელდება მოტივაციური გასაუბრებით.

ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

3. პდ საგანმანათლებლო პროგრამისთვის პროფესიულ სტუდენტთა ზღვრულ ოდენობას განსაზღვრავს შესაბამისი მეთოდოლოგიის მიხედვით

სსიპ აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორის ბრძანებით №12 § 17 (24.01.2023წ.) დამტკიცებულია სსიპ აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტში პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგია, რომლის მიხედვითაც დაწესებულების პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული ოდენობის განსაზღვრისას მხედველობაში მიიღება:

- A სასწავლო გარემოში პროფესიულ სტუდენტთა სამუშაო ადგილების რაოდენობა;
- B სასწავლო გარემოში პროფესიულ სტუდენტთა სამუშაო ადგილების რაოდენობა;
- C სასწავლო გარემოში პროფესიულ სტუდენტთა სამუშაო ადგილების რაოდენობა ან სასწავლო გარემოს ფართი;
- დასაშვებია ერთ სივრცეში ორი ან მეტი ტიპის სასწავლო გარემოს კომბინირებული მოდელის შექმნა. მაგალითად ერთ სივრცეში A და B, A და C, B და C ან A, B და C გარემოს კომბინირება.
- დასაშვებია სხვადასხვა პროგრამის განხორციელების მიზნებისათვის ერთი და იმავე სივრცის გამოყენება თუ ის თავსებადია სასწავლო გარემოს და აღჭურვილობის ნორმატივების თვალსაზრისით, კვირეული დატვირთვის გათვალისწინებით, ასევე ცხრილის შედგენის შესაძლებლობა შეჭრილი ცხრილის პრინციპით.
- სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრისას მხედველობაში მიიღება პრაქტიკის ობიექტთან გაფორმებულ ხელშეკრულებაში მითითებული პრაქტიკის ობიექტის მიერ პროფესიულ სტუდენტთა/მსმენელთა ზღვრული რაოდენობის ერთდროულად მიღების შესაძლებლობა.
- პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ხანგრძლივობა;
- საწარმოო პრაქტიკის ობიექტების რესურსი;
- პროგრამის განმახორციელებელი პროფესიული საჭირო ადამიანური რესურსის რაოდენობა.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

თ. ცუცქერიძე

ე. ბუბია

ნ. მანუაშვილი



შესაძლებელია ერთმა პროფესიული განათლების მასწავლებელმა განახორციელოს რამდენიმე სხვადასხვა მოდული შრომის კოდექსით განსაზღვრული ჩასატარებელი კვირეული საათების (კვირაში მაქსიმუმ 40 საათიანი დატვირთვა) გათვალისწინებით შედგენილი სასწავლო განრიგის მიხედვით.

დაწესებულების მიერ წარმოდგენილია პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე „მსუბუქი ავტომობილის შიგა წვის ძრავას შეკეთება“ მოთხოვნილი პროფესიული სტუდენტების ზღვრული რაოდენობისა და განხორციელების მიზანშეწონილობის დასაბუთება. პროფესიულ სტუდენტთა ზღვრულ ოდენობასთან დაკავშირებით დოკუმენტში აღნიშნულია, რომ არსებული კვოტისათვის დაწესებულებას ყავს სათანადო კვალიფიკაციისა და გამოცდილების მქონე პროფესიული განათლების მასწავლებლები, გააჩნია ყველა საჭირო რესურსი და უზრუნველყოფს პრაქტიკის სრულყოფილ სასწავლო პროცესს.

აღნიშნული პროფესიული პროგრამისთვის დადგენილია საერთო კვოტა 30 პროფესიული სტუდენტის ოდენობით.

პასუხისმგებელ პირთა ინტერვიუებისა და დაწესებულების მატერიალურ-ტექნიკური ბაზის დათვალიერების, ასევე, პროგრამის ანალიზითა დასტურდება, რომ დაწესებულებამ პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული ოდენობა განსაზღვრა არსებული მეთოდოლოგიის შესაბამისად.

ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

4. საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტის მიერ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას

დაწესებულების მიერ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „მსუბუქი ავტომობილის შიგა წვის ძრავის შეკეთება“ მოდულების განხორციელებისთვის შემუშავებული და დამტკიცებულია შესაბამისი მატერიალურ-ტექნიკური რესურსებისა და საგანმანათლებლო აღჭურვილობის ჩამონათვალი.

პროგრამის მოდულებში განსაზღვრულია თითოეული სასწავლო ერთეულის განხორციელებისთვის საჭირო რესურსები, რომლებიც მოიცავს ავტომობილის ძრავის სისტემების შესწავლისა და შეკეთებისთვის აუცილებელ სპეციალურ ხელსაწყოებს, ძრავის კომპონენტებს, სადიაგნოსტიკო მოწყობილობებს, საზომ საშუალებებს, სამუშაო ინვენტარსა და სხვა ტექნიკურ საშუალებებს.

არსებული მატერიალური რესურსი შესაბამისობაშია მოდულების სწავლის შედეგებთან და უზრუნველყოფს სტუდენტების მიერ შიგა წვის ძრავის მოწყობილობის, მუშაობის პრინციპების, ტექნიკური მომსახურების, დიაგნოსტიკის, დაშლა-აწყობისა და შეკეთების პროცესების პრაქტიკულად ათვისებას.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

Handwritten signature

თ. ცუცქერიძე

ნ. მანუაშვილი

Handwritten signature



მოდულებში მითითებული საგანმანათლებლო რესურსები უზრუნველყოფს სწავლების პროცესის პრაქტიკულ მიმართულებას და სტუდენტებს აძლევს შესაძლებლობას, განივითარონ პროფესიული საქმიანობისთვის აუცილებელი ტექნიკური უნარები. სასწავლო პროცესში გამოყენებული მოწყობილობები და ინსტრუმენტები შეესაბამება თანამედროვე ავტომომსახურების სფეროში გამოყენებულ ტექნოლოგიურ საშუალებებს.

დაწესებულების მიერ დამტკიცებული რესურსების სია მოიცავს ყველა მოდულის განხორციელებისთვის საჭირო მატერიალურ საშუალებებს, ხოლო მათი არსებობა დადასტურებულია შესაბამისი დოკუმენტაციითა და ადგილზე შემოწმებით.

ამდენად, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „მსუბუქი ავტომობილის შიგა წვის ძრავის შეკეთება“ მოდულების განხორციელებისთვის არსებული მატერიალურ-ტექნიკური რესურსი სრულად უზრუნველყოფს მოდულებით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას და სტუდენტების მომზადებას შესაბამისი პროფესიული საქმიანობისთვის.

ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

5. საგანმანათლებლო პროგრამის არჩევითი მოდულები, მათი არსებობის შემთხვევაში, ლოგიკურ კავშირშია მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან ან/და პროფესიული სტუდენტის მომავალ საქმიანობასთან

დამტკიცებულ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამას „მსუბუქი ავტომობილის შიგა წვის ძრავის შეკეთება“ არ აქვს არჩევითი მოდულები.

ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

6. საგანმანათლებლო პროგრამა დამტკიცებულია დაწესებულების უფლებამოსილი პირის/ორგანოს მიერ

აწსუ-ს აკადემიური საბჭოს №60(25/26), 15.06.26წ. დადგენილებით დამტკიცებულია საქართველოს დაწესებულებაში პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავების, შეფასების და განვითარების წესი. აღნიშნული წესის მიხედვით საგანმანათლებლო პროგრამას ამტკიცებს უნივერსიტეტის აკადემიური საბჭო. შესაბამისად, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „მსუბუქი ავტომობილის შიგა წვის ძრავის შეკეთება“ დამტკიცებულია უფლებამოსილი პირის - სსიპ აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს მიერ 15.06.2026 წლის №60(25/26) დადგენილებით.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: თ. ცუცქერიძე

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ე. ბუბია

ნ. მანუაშვილი



ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

7. პროგრამის სახელწოდება შეესაბამება პროგრამის შინაარსს/პროგრამით გათვალისწინებულ მისაღწევ სწავლის შედეგებს და არ არის შეცდომაში შემყვანი

საგანმანათლებლო სტანდარტის საფუძველზე შექმნილი საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება „მსუბუქი ავტომობილის შიგა წვის ძრავას შეკეთება“ შეესაბამება პროგრამის შინაარსს, პროგრამით გათვალისწინებულ მისაღწევ სწავლის შედეგებს და არ არის შეცდომაში შემყვანი; ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

8. პსდ-ს საგანმანათლებლო პროგრამა შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებასთან დაკავშირებულ, კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „მსუბუქი ავტომობილის შიგა წვის ძრავას შეკეთება“ შემუშავებულია პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტის საფუძველზე და შესაბამისობაშია აღნიშნულ საგანმანათლებლო სტანდარტთან. პროგრამა მომზადებულია სსიპ აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავების, შეფასების და განვითარების წესის“ მიხედვით, პროცედურების სრული დაცვით. პროგრამით განსაზღვრულია პროგრამის სახელწოდება, მიზნები, მისანიჭებელი კვალიფიკაცია, პროგრამაზე დაშვების წინაპირობები, მისაღწევი სწავლის შედეგები, შეფასების მიმართულებები, პროგრამის მოცულობა, პროგრამის სავარაუდო ხანგრძლივობა, კვალიფიკაციის მინიჭების პირობები და სხვა. საგანმანათლებლო პროგრამის პაკეტი შედგება პროგრამის ძირითადი დოკუმენტის, მოდულების, სასწავლო გეგმისგან (მათ შორის ქართული ენის A2 და ქართული ენის B2 გათვალისწინებით და მის გარეშეც), პროგრამის პაკეტს თან ერთვის ინფორმაცია ადამიანური და მატერიალური რესურსების შესახებ. ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

- აწსუ-ს სტრატეგიული განვითარების გეგმა პროფესიული განათლების სფეროში;
- აწსუ საგანმანათლებლო პროგრამების ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკა - EP-QA პოლიტიკა;
- საგანმანათლებლო პროგრამა „მსუბუქი ავტომობილის შიგა წვის ძრავას შეკეთება“ საგანმანათლებლო პროფესიული სტანდარტი;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

Handwritten signature

Handwritten signature
Handwritten signature



- აწუ-ს რექტორის ბრძანება №12 § 17 (24.01.2023წ.)
- პროფესიული სტუდენტების ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგია.
- აწუ-ს აკად საბჭოს დადგენილება №60(25/26), 15.06.26წ.
- პროფესიული პროგრამა „მსუბუქი ავტომობილის შიგა წვის ძრავას შეკეთება“სასწავლო გეგმა,
- აწუ აკადემიური საბჭოს დადგენილება N8(21-22)
- დაინტერესებულ მხარეებთან ინტერვიუს შედეგები.

შეფასება:

- ☒ შეესაბამება
- ☐ მეტწილად შეესაბამება
- ☐ ნაწილობრივ შეესაბამება
- ☐ არ შეესაბამება

2.2 საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების რესურსი

2.2.1 პროგრამა უზრუნველყოფილია პროგრამის განსახორციელებლად საჭირო რესურსებით

1. პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია დაწესებულების/სასწავლო საწარმოს/პრაქტიკის ობიექტის მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით;
2. პროგრამისთვის განსაზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას;
3. პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებელს აქვს პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია;
4. საგანმანათლებლო პროგრამას ჰყავს პსდ-ს მიერ განსაზღვრული, შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი;
5. საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია ელექტრონული სახით ან დაწესებულების ბიბლიოთეკაში მატერიალური სახით და გამოიყენება სასწავლო პროცესში;
6. სსსმ პირებს წვდომა აქვთ პროგრამით გათვალისწინებულ ან ინდივიდუალური სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სასწავლო რესურსებთან, რომლებიც ადაპტირებულია სსსმ პირების საჭიროებებისა და მოთხოვნილებების შესაბამისად;
7. პსდ-ს ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობა.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

70

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: თ. ცუცქერიძე

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ა. ბერიძე

ნ. მანუაშვილი



1. პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია დაწესებულების/სასწავლო საწარმოს/პრაქტიკის ობიექტის მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით

პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია უნივერსიტეტის მფლობელობაში არსებული, თანამედროვე სტანდარტების შესაბამისი მატერიალურ-ტექნიკური რესურსით, რომელიც სრულად შეესაბამება პროფესიული პროგრამის სპეციფიკას და გათვლილია პროგრამაზე დაშვებული პროფესიული სტუდენტების ზღვრულ რაოდენობაზე – 30 პროფესიულ სტუდენტზე.

აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტში პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „მსუბუქი ავტომობილის შიგა წვის ძრავის შეკეთება“ განხორციელებისთვის გამოყოფილია სასწავლო სივრცეები, რომლებიც მდებარეობს უნივერსიტეტის მე-11 კორპუსის ქუთაისი, ახალგაზრდობის გამზირი N 98 პირველ სართულზე. პროგრამის განხორციელებისთვის გამოიყენება A/C და B სასწავლო გარემოები, რომლებიც მოწყობილია პროფესიული განათლების სტანდარტების, შრომის უსაფრთხოების მოთხოვნებისა და სასწავლო პროცესის ორგანიზების პრინციპების შესაბამისად.

სასწავლო სივრცეები უზრუნველყოფილია შესაბამისი ფართობით, ბუნებრივი და ხელოვნური განათებით, ვენტილაციის სისტემით, გათბობა-გაგრილების საშუალებებით, ელექტროენერგიის უსაფრთხო მიწოდებით, ინტერნეტზე ხელმისაწვდომობით, სახანძრო უსაფრთხოების საშუალებებითა და შრომის უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისი ინფრასტრუქტურით. აღნიშნული გარემო ქმნის უსაფრთხო, ფუნქციურ და ეფექტიან პირობებს როგორც თეორიული, ისე პრაქტიკული სწავლების განხორციელებისთვის.

პროგრამის ფარგლებში პრაქტიკული კომპონენტის სრულფასოვნად განხორციელების მიზნით სასწავლო გარემოები აღჭურვილია იმ ტექნიკური მოწყობილობებით, ინსტრუმენტებით, საჭირო მასალებითა და დამხმარე ინვენტარით, რომლებიც აუცილებელია პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მისაღწევად. აღჭურვილობა შეირჩა პროფესიული სტანდარტის მოთხოვნების შესაბამისად და უზრუნველყოფს სტუდენტების მიერ უსაფრთხო მუშაობის პრაქტიკული უნარების განვითარებას.

პროგრამაში დანართის სახით წარმოდგენილია A, B და C სასწავლო გარემოების დეტალური ჩამონათვალი, რომელშიც აღწერილია თითოეული სასწავლო სივრცის აღჭურვილობა, მატერიალურ-ტექნიკური რესურსი, ინსტრუმენტები, მოწყობილობები და სხვა საჭირო ინვენტარი. აღნიშნული რესურსის არსებობა უნივერსიტეტის მიერ დადასტურებულია შესაბამისი ფლობის დამადასტურებელი დოკუმენტაციით, ინვენტარიზაციის მასალებითა და ადგილზე დათვალიერების შესაძლებლობით.

არსებული მატერიალური რესურსი რაოდენობრივად და ხარისხობრივად შეესაბამება პროგრამაზე განსაზღვრულ 30 პროფესიულ სტუდენტს. სასწავლო პროცესის ორგანიზებისას უზრუნველყოფილია სტუდენტების ეფექტიანი ჩართულობა პრაქტიკულ სამუშაოებში,

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: თ. ცუცქერიძე

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ე. ბუბია

ნ. მანუაშვილი



ინდივიდუალური და ჯგუფური დავალებების შესრულების შესაძლებლობა, თითოეული სტუდენტისათვის საჭირო აღჭურვილობასა და სამუშაო სივრცეზე ხელმისაწვდომობა, რაც მნიშვნელოვნად უწყობს ხელს პროფესიული კომპეტენციების განვითარებას.

პროგრამის განხორციელებისას გამოყენებული მატერიალური რესურსი ექვემდებარება მუდმივ მონიტორინგს, განახლებასა და საჭიროების შემთხვევაში შევსებას, რათა სრულად იყოს დაცული პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის მოთხოვნები, ტექნოლოგიური განვითარების ტენდენციები და დამსაქმებელთა მოთხოვნები.

ამდენად, უნივერსიტეტის მფლობელობაში არსებული სასწავლო ინფრასტრუქტურა, მატერიალურ-ტექნიკური ბაზა და პრაქტიკული სწავლებისათვის განკუთვნილი რესურსები სრულად უზრუნველყოფს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამით “**მსუბუქი ავტომობილის შიგა წვის ძრავის შეკეთება**” განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას და შეესაბამება პროგრამაზე დაშვებული პროფესიული სტუდენტების ზღვრულ რაოდენობას.

ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

2. პროგრამისთვის განსაზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას

პროგრამის 16 მოდულის განხორციელებაში ჩართულია 13 კვალიფიციური პროფესიული მასწავლებელი, რომელთა საშუალო დატვირთვა შეადგენს 100 – 200 საათს. პროგრამას მოდულების მიხედვით ჰყავს 2 განმახორციელებელი მასწავლებლები, რომლებსაც შეუძლიათ საჭიროების შემთხვევაში პროგრამის განხორციელების პროცესში ერთმანეთის ჩანაცვლება. მოდულების ათვისება და შედეგების დადასტურება პროგრამის სასწავლო გეგმით ისეა გაწერილი, რომ ერთი პროფესიული მოდულის დასრულებამდე მომდევნო მოდულის დაწყება არ იგეგმება, რაც პროგრამის მდგრადად განხორციელების კარგი პირობაა.

პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობის შეფარდება სტუდენტების ზღვრულ რაოდენობასთან სრულად უზრუნველყოფს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას.

ვიზიტის ფარგლებში შესწავლილ იქნა პერსონალის პირადი საქმეები. დაწესებულებას შემუშავებული და დამტკიცებული აქვს პროფესიული განათლების მასწავლებელთა დატვირთვის მეთოდოლოგია, რომლის გათვალისწინებით ყოველი სასწავლო წლის დაწყების წინ დაგეგმილია პროფესიული განათლების მასწავლებელთა საათობრივი დატვირთვის სქემების შედგენა, რათა პერსონალის დატვირთვა არ აცდეს საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრულ მოთხოვნებს.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

Handwritten signature

თ. ცუცქერიძე

ნ. მანუაშვილი

Handwritten signature



წარმოდგენილი მასალებითა და გასაუბრებით დგინდება, რომ დაწესებულებას რიგ მოდულებზე ჰყავს არანაკლებ ორი განმახორციელებელი პერსონალი. ვიზიტის მიმდინარეობისას ექსპერტები გაესაუბრნენ, განმახორციელებელ პირებს. პერსონალთან გაფორმებულია შრომითი ხელშეკრულებები.

ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით, „მსუბუქი ავტომობილის შიგა წვის ძრავას შეკეთება“ პროგრამისათვის წარმოდგენილი განმახორციელებელი პერსონალის რაოდენობა და დატვირთვის განაწილება საკმარისია, რეალისტურია და უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის მდგრად, უწყვეტ და ხარისხიან განხორციელებას.

ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

3. პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებელს აქვს პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია

პროგრამით დასახული სწავლის შედეგებით გამომუშავების და კომპეტენტური შეფასების მიზნით პროფესიულ მასწავლებლებად ძირითადად მოწვეული არიან აწსუ-ს მშენებლობის და ტრანსპორტის დეპარტამენტის აკადემიური პერსონალი, რომელთაც გააჩნიათ, როგორც პროფესიული, ასევე აკადემიური სწავლების სტუდენტებთან ტრანსპორტის სერვისული მომსახურეობის კუთხით მუშაობის მრავალწლიანი გამოცდილება.

პროფესიული განათლების მასწავლებლების პირად საქმეებში დაცულია პერსონალის კვალიფიკაციის დამადასტურებელი დიპლომები და სერტიფიკატები, რომელთა საფუძველზეც, პროფესიული განათლების მასწავლებელთა კვალიფიკაცია იძლევა მოდულების სწავლის შედეგები მიღწევის შესაძლებლობას. მათი კვალიფიკაცია შეესაბამება დაწესებულების მიერ დადგენილ საკვალიფიკაციო მოთხოვნებს.

ვიზიტის პერიოდში განხორციერლდა მოდულების განმახორციელებელ პირებთან ინტერვიუ. გამოიკვეთა, რომ პროგრამის განმახორციელებლებს ხშირად უტარდებათ სხვადასხვა ტიპის კვალიფიკაციის ასამაღლებელი კურსები თუ ტრენინგები როგორც დარგობრივ კომპეტენციაში, ასევე, სწავლებისა და შეფასების მიმართულებით.

ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით, პროგრამის განმახორციელებელ პროფესიული განათლების მასწავლებელთა კვალიფიკაცია, პრაქტიკული გამოცდილება, პროფესიული განვითარების ისტორია და სამუშაო დატვირთვის რაციონალური განაწილება სრულად უზრუნველყოფს „მსუბუქი ავტომობილის შიგა წვის ძრავას შეკეთება“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ხარისხიან, უწყვეტ და მდგრად განხორციელებას. მასწავლებელთა კომპეტენციები პირდაპირ უწყობს ხელს პროფესიული სტუდენტების მიერ პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების ეფექტიან მიღწევას.

ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

თ. ცუცქერიძე

ნ. მანუაშვილი



4. საგანმანათლებლო პროგრამას ჰყავს პსდ-ს მიერ განსაზღვრული, შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი
საგანმანათლებლო პროგრამას „მსუბუქი ავტომობილის შიგა წვის ძრავას შეკეთება“ ჰყავს პსდ-ს მიერ განსაზღვრული შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი.

ვიზიტის დროს გადამოწმდა პროგრამის ხელმძღვანელის პირადი საქმე და მოხდა მასთან გასაუბრება. ექსპერტთა შეფასებით, პროგრამას ჰყავს დაწესებულების მიერ განსაზღვრული, შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი, რომლის ხელმძღვანელობა განსაზღვრულია პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამტკიცების აქტით, ხოლო ფუნქცია-მოვალეობები სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესით.

ექსპერტთა ჯგუფმა განახორციელა ინტერვიუება პროგრამის ხელმძღვანელთან. ინტერვიუების პროცესში ნათლად გამოჩნდა, რომ პროგრამის ხელმძღვანელი იცნობს საკუთარ ფუნქცია-მოვალეობებს და მუშაობს პროგრამის განვითარების მიმართულებით. მონაწილეობა აქვს მიღებული საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებაში, პარტნიორი ორგანიზაციების მოძიებაში, პროფესიული განათლების მასწავლებლების შერჩევასა და მატერიალური რესურსების მობილიზებაში, პროფესიულ სტუდენტთა შეფასების ინსტრუმენტების ვალიდაციის პროცესში.

ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

5. საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია ელექტრონული სახით ან დაწესებულების ბიბლიოთეკაში მატერიალური სახით და გამოიყენება სასწავლო პროცესში

„მსუბუქი ავტომობილის შიგა წვის ძრავას შეკეთება“ საგანმანათლებლო პროგრამაში - (მოდულებში) მითითებული საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია ნაწილი ბეჭდური და ნაწილი ელექტრონული სახით დაწესებულების ბიბლიოთეკაში. საბიბლიოთეკო რესურსები დამუშავებულია სათანადო წესით და მათ მითითებული აქვს კეტერები.

ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

6. სსსმ პირებს წვდომა აქვთ პროგრამით გათვალისწინებულ ან ინდივიდუალური სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სასწავლო რესურსებთან, რომლებიც ადაპტირებულია სსსმ პირების საჭიროებებისა და მოთხოვნილებების შესაბამისად

74

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: თ. ცუცქერიძე -----

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: -----

ე. ბუბია

ნ. მანუაშვილი



დაწესებულებას შემუშავებული და დამტკიცებული აქვს ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავების მეთოდოლოგია, ასევე ჰყავს ინკლუზიური პროფესიული განათლების სპეციალისტი, რომელიც მეთოდოლოგიის და სსსმ პირების საჭიროებების საფუძველზე უზრუნველყოფენ პროგრამით ან ინდივიდუალური სასწავლო გეგმით გათვალისწინებული სასწავლო რესურსების ადაპტირდება სსსმ პირების საჭიროებებისა მოთხოვნილებების შესაბამისად.

ავტორიზაციის ვიზიტის ფარგლებში ექსპერტთა ჯგუფმა შეისწავლა დაწესებულების სასწავლო პირობები, რომლებიც გამოიყენება „მსუბუქი ავტომობილის შიგა წვის ძრავას შეკეთება“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებისთვის. სასწავლო სივრცეების დათვალიერებისა და პროგრამის განმახორციელებელ პერსონალთან ჩატარებული ინტერვიუების საფუძველზე დადგინდა, რომ პროგრამის სასწავლო გარემოები უზრუნველყოფს პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევისთვის აუცილებელ ინფრასტრუქტურულ პირობებს, მათ შორის ინკლუზიური სასწავლო გარემოს შექმნას.

დაწესებულების იმ სასწავლო კორპუსში, სადაც განთავსებულია პროგრამის სასწავლო სივრცეები, უზრუნველყოფილია მოქმედ სტანდარტებთან შესაბამისი ხელმისაწვდომობა. კერძოდ, A და C სივრცეები განთავსებულია XI კორპუსის პირველ სართულზე და ადაპტირებულია სსსმ პირებისათვის. ბიბლიოთეკისა და საინფორმაციო რესურსების გამოყენება ხელმისაწვდომია სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე სტუდენტებისთვისაც. ელ-ბიბლიოთეკის ვებ-გვერდი ადაპტირებულია სსსმ სტუდენტებისათვის. მაგალითად: ვებ-გვერდს გააჩნია აუდიო წამკითხველი, აქვს კონტრასტის მართვის და შრიფტის გაზრდის ფუნქცია.

ექსპერტთა შეფასებით, დაწესებულების მიერ უზრუნველყოფილი ინფრასტრუქტურა და სასწავლო სივრცეების ადაპტირება სრულ თანხვედრაშია პროფესიული განათლების სტანდარტის მოთხოვნებთან.

ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

7. პსდ-ს ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობა.

დაწესებულების მიერ წარმოდგენილ იქნა პროგრამის საპროგნოზო ბიუჯეტი, რომლის მიხედვითაც განსაზღვრულია რომლის მიხედვითაც განსაზღვრულია რენტაბელობის ზღვარი (11 პროფესიული სტუდენტი), ძირითადი შემოსავლები და ხარჯები. ბიუჯეტის მიხედვით ირკვევა, რომ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „მსუბუქი ავტომობილის შიგა წვის ძრავას შეკეთება“ ფინანსურად მდგრადია, დაწესებულების ბიუჯეტი შედგება შემოსავლებისა და ხარჯების ნაწილისაგან, მისი მთავარი შემოსავლების წყაროა ვაუჩერული დაფინანსება, რომელიც სრულად აკმაყოფილებს პროგრამის შეუფერხებლად განხორციელების საჭიროებებს.

ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

Handwritten signature

თ. ცუცქერიძე

ნ. მანუაშვილი

Handwritten signature



დასტურდება (მტკიცებულებები):

- პსდ-ს მიერ შევსებული ფორმა პროგრამის განხორციელებისთვის საჭირო ადამიანური რესურსის შესახებ, პერსონალის პირადი საქმეები;
- პსდ-ს მიერ შევსებული ფორმა პროგრამის განხორციელებისთვის საჭირო მატერიალური რესურსის შესახებ, მატერიალური რესურსების ფლობის დოკუმენტაცია;
- ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავების წესი;
- პროფესიული განათლების მასწავლებლების სამსახურში აყვანის წესი;
- პროფესიული განათლების მასწავლებლების დატვირთვის გაანგარიშების წესი;
- ბიბლიოთეკით სარგებლობის წესი;
- პარტნიორ ორგანიზაციებთან გაფორმებული თანამშრომლობის მემორანდუმები;
- დაწესებულების/ პრაქტიკის ობიექტის პროგრამის განსახორციელებლად საჭირო მატერიალური რესურსების შეფასების შედეგები;
- ბიბლიოთეკაში არსებული სასწავლო რესურსი დამუშავებული საბიბლიოთეკო წესის შესაბამისად;
- პროგრამის საპროგნოზო ბიუჯეტი;
- წინასწარი ხელშეკრულებები პროფესიულ მასწავლებლებთან;
- ინტერვიუს და დათვალიერების შედეგები.

შეფასება:

- ☒ შეესაბამება
- ☐ მეტწილად შეესაბამება
- ☐ ნაწილობრივ შეესაბამება
- ☐ არ შეესაბამება

2.3 საგანმანათლებლო პროგრამების შეფასება და განვითარება

2.3.1 პროგრამის განვითარება უზრუნველყოფილია პროგრამების შეფასებისა და განვითარების პსდ-ში მოქმედი მექანიზმით

1. პროგრამის შეფასების მექანიზმი ითვალისწინებს შრომის ბაზრის მოთხოვნებს, უკუკავშირის დაინტერესებული მხარეებისგან, საუკეთესო ადგილობრივ ან/და საერთაშორისო პრაქტიკას და სხვ.;

76

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: თ. ცუცქერიძე

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ა. ბერიძე

ნ. მანუაშვილი



2. პსდ ანალიზებს პროგრამის განხორციელების ხარისხის შეფასების შედეგებს და საჭიროების შემთხვევაში ახორციელებს ცვლილებებს საგანმანათლებლო პროგრამაში/მოდულებში მის მიერ განსაზღვრული წესებისა და პროცედურების შესაბამისად.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. პროგრამის შეფასების მექანიზმი ითვალისწინებს შრომის ბაზრის მოთხოვნებს, უკუკავშირს დაინტერესებული მხარეებისგან, საუკეთესო ადგილობრივ ან/და საერთაშორისო პრაქტიკას და სხვა

„პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის, განხორციელებისა და შეფასების წესის” მიხედვით, აწსუ-ში შემუშავებულია პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შეფასების სისტემა, რომელიც გამოიყენება სასწავლო პროცესის ხარისხის გასაუმჯობესებლად. აკადემიური საბჭოს 2021 წლის 9 ნოემბრის N8 (21/22) დადგენილებით დამტკიცებულია პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ინიცირების, შემუშავების, შეფასების, განვითარების, მასში ცვლილების შეტანის და გაუქმების წესი, რომლის თანახმად საგანმანათლებლო პროგრამის შეფასება მოიცავს ისეთ პროცესებს, როგორიცაა: პროგრამების შინაარსობრივი ასპექტების შეფასება; სწავლა-სწავლების პროცესის მიმდინარეობის ადეკვატურობის დადგენა; მოდულის განმახორციელებელი პირების საქმიანობის შეფასება; მატერიალურ-ტექნიკური რესურსის, მასალა-ნედლეულის საკმარისობის და ავთენტურობის შეფასება; ვერიფიკაცია.

პროფესიული საგანმანათლო პროგრამის თითოეული სტანდარტი მიზნად ისახავს ბაზრის მოთხოვნებზე ორიენტირებულ პროფესიული პროგრამების შეთავაზების გზით, საქართველოში პროფესიული განათლების გაუმჯობესება-განვითარებას და მაღალი საერთაშორისო სტანდარტის დაწესებას.

დადგენილი წესების შესაბამისად, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შეფასება ეფუძნება რამდენიმე ურთიერთდაკავშირებულ კომპონენტს, მათ შორის: შრომის ბაზრის კვლევის შედეგების რეგულარულ ანალიზს; დაინტერესებული მხარეების — პროფესიული სტუდენტების, პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის, დამსაქმებლებისა და პარტნიორი ორგანიზაციების უკუკავშირს; ადგილობრივი და საერთაშორისო პრაქტიკის გათვალისწინებას; ასევე პროგრამის შინაარსისა და მისაღწევი შედეგების პერიოდულ გადახედვას. აღნიშნული მიდგომა უზრუნველყოფს პროგრამების აქტუალობისა და შესაბამისობის სისტემურ შემოწმებას როგორც შიდა, ისე გარე მოთხოვნებთან მიმართებით.

ამასთან, დაწესებულებაში მოქმედი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის, შემუშავების, განხორციელებისა და შეფასების მეთოდოლოგია დეტალურად განსაზღვრავს პროგრამების შიდა შეფასების პროცედურებს, შეფასების განხორციელების პერიოდულობას, ცვლილებების შეტანის წესებსა და საფუძვლებს, ასევე პროცესში ჩართული პასუხისმგებელი პირების ფუნქციებს.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

თ. ცუცქერიძე

ნ. მანუაშვილი



მეთოდოლოგიაში მკაფიოდ არის გამოკვეთილი ხარისხის უზრუნველყოფის ციკლის სრული ლოგიკა, რაც უზრუნველყოფს პროგრამების უწყვეტ მონიტორინგს და დაგეგმილი შედეგების მიღწევის კონტროლს.

ჩატარებული გასაუბრებების საფუძველზე დადგინდა, რომ კოლეჯის პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური სისტემურად ახორციელებს ხარისხის მართვის ფუნქციებს. სამსახური ატარებს პერიოდულ კვლევებს, იყენებს წინასწარ შემუშავებულ და დამტკიცებულ კითხვარებს, აანალიზებს პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის, პროფესიული სტუდენტებისა და დამსაქმებლების შეფასებებს და ამზადებს რეკომენდაციებს პროგრამების გაუმჯობესების მიზნით. კვლევების შედეგები გამოიყენება როგორც მიმდინარე სასწავლო პროცესის დახვეწისა და ოპტიმიზაციისთვის, ისე პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შემდგომი განვითარების დაგეგმვისას.

ექსპერტთა შეფასებით, დაწესებულებაში არსებული ხარისხის უზრუნველყოფის რეგულაციები და პრაქტიკა ქმნის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, განხორციელებისა და განვითარების ეფექტიან და მდგრად სისტემას, რაც ხელს უწყობს პროგრამების ხარისხის შენარჩუნებასა და გაუმჯობესებას.

ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

2.3სდ აანალიზებს პროგრამის განხორციელების ხარისხის შეფასების შედეგებს და საჭიროების შემთხვევაში ახორციელებს ცვლილებებს საგანმანათლებლო პროგრამაში/მოდულებში მის მიერ განსაზღვრული წესებისა და პროცედურების შესაბამისად

დაწესებულებას შემუშავებული აქვს „პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის, განხორციელებისა და შეფასების მეთოდოლოგია“, რომელიც განსაზღვრავს ჩარჩო დოკუმენტის/პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტის საფუძველზე შექმნილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავების, დამტკიცებისა, ცვლილებების შეტანისა და განვითარების პროცედურებს. პროგრამაში ცვლილების შეტანა ხორციელდება წინამდებარე წესით დადგენილი პროცედურებით. დაწესებულება აანალიზებს პროგრამის განხორციელების ხარისხის შეფასების შედეგებს და საჭიროების შემთხვევაში, ახორციელებს ცვლილებებს საგანმანათლებლო პროგრამაში/მოდულებში. პროგრამაში ცვლილებები(პროფესიულ საგანმანათლებლო სტანდარტთან შესაბამისობაში მოყვანა) განხორციელებულია აღნიშნული წესის დაცვით,რაც დასტურდება შესაბამისი მტკიცებულებებით. ასევე, უნივერსიტეტში შემუშავებულია ხარისხის შიდა უზრუნველყოფისა და ვერიფიკაციის მექანიზმები, რომლის მიზანია პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განვითარება, სწავლებისა და შეფასების თანამედროვე მეთოდების დანერგვის ხელშეწყობა, სასწავლო პროცესის ხარისხის ამაღლება. წესების საფუძველზე პროგრამაში ცვლილებების შეტანა შესაძლებელია პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შეფასების მოქმედი სისტემით გათვალისწინებული ღონისძიებების შედეგების ანალიზის, პროფესიულ საგანმანათლებლო სტანდარტში შეტანილი ცვლილებების, შრომის ბაზრის მოთხოვნის (არჩევითი მოდულის შემთხვევაში) ან სხვა გარემოებების საფუძველზე. პროგრამაში

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ა. აბოიძე

თ. ცუცქერიძე
ნ. მანუაშვილი



ცვლილების ინიცირება შეუძლია აწესს-ს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსს, პროგრამის ხელმძღვანელს და პროგრამის განმახორციელებელი პროფესიული განათლების მასწავლებელს. პროგრამაში ცვლილების შეტანა ხორციელდება წინამდებარე წესით დადგენილი პროცედურებით. აწესს გაანალიზებს პროგრამის განხორციელების ხარისხის შეფასების შედეგებს და საჭიროების შემთხვევაში განახორციელებს ცვლილებებს საგანმანათლებლო პროგრამაში/მოდულებში მის მიერ განსაზღვრული წესებისა და პროცედურების შესაბამისად. გარდა ამისა, პროგრამის ხელმძღვანელის ვალდებულებად მიჩნეულია ზრუნვა პროგრამის განვითარებაზე, პროგრამის ადეკვატურ განხორციელებაზე, პრაქტიკისა და თეორიის კომპონენტის შეთავსებაზე, პროგრამის განსახორციელებლად საჭირო მატერიალური და ადამიანური რესურსების განვითარებაზე.

ზემოაღნიშნული ინფორმაციის დადასტურების მიზნით, ექსპერტთა ჯგუფი გაესაუბრა ხარისხის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელ პირებსა და პროგრამის ხელმძღვანელს. პროგრამის ხელმძღვანელიც და ხარისხის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელი პირებიც სრულად აცნობიერებენ პროგრამის შეფასებისა და მიღებული შედეგების მნიშვნელოვნებას პროგრამის განვითარების პროცესს.

ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

- პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავების, შეფასების და განვითარების წესი;
- აწესს საგანმანათლებლო პროგრამების ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკა - EP-QA პოლიტიკა;
- აწესს პროფესიული განათლების ცენტრის სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი.
- ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმები;
- კითხვარების ფორმები;
- გამოკითხვის შედეგები;
- პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში ცვლილებების შეტანის დამადასტურებელი დოკუმენტი(აკადემიური საბჭოს დადგენილება);
- გასაუბრების შედეგები

შეფასება:

- ☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

Handwritten signature in blue ink

თ. ცუცქერიძე

ნ. მანუაშვილი

Handwritten signature in blue ink



☐ არ შეესაბამება

2.4 სასწავლო პროცესის ორგანიზება და პროფესიულ სტუდენტთა შეფასება

2.4.1 სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სასწავლო მიზნების მიღწევას

1. პროგრამა ხორციელდება სასწავლო გეგმის/გეგმების შესაბამისად;
2. პსდ უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის ორგანიზებას პროფესიულ სტუდენტთა ინტერესების გათვალისწინებით და მოქნილად რეაგირებს შემხვედრ საჭიროებებზე;
3. სასწავლო პროცესი ითვალისწინებს სწავლების თანამედროვე მეთოდებისა და დარგის შესაბამისი ტექნოლოგიების გამოყენებას;
4. პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევისას გათვალისწინებულია პროფესიულ სტუდენტთა ინდივიდუალური საჭიროებები;
5. პსდ-ს თანამშრომლობა პრაქტიკის კომპონენტის განმახორციელებელ პარტნიორთან/სასწავლო საწარმოსთან/თანაგანმახორციელებელ დაწესებულებასთან დასტურდება შესაბამისი ხელშეკრულებით/ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმით;
6. სასწავლო პროცესი მიმდინარეობს უსაფრთხო სასწავლო/სამუშაო გარემოში, პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. პროგრამა ხორციელდება სასწავლო გეგმის/გეგმების შესაბამისად

დაწესებულებას შემუშავებული და დამტკიცებული აქვს სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამისთვის „მსუბუქი ავტომობილის შიგა წვის ძრავას შეკეთება“ შემუშავებული და დამტკიცებულია შესაბამისი სასწავლო გეგმა. პროგრამის მოდულები იმგვარადაა აწყობილი, რომ ერთმენათთან დაკავშირებულია ლოგიკურად. სასწავლო პროცესი მიმდინარეობს პროგრამის სასწავლო გეგმის საფუძველზე შედგენილი სასწავლო ცხრილების შესაბამისად, სალექციო, პრაქტიკული და ლაბორატორიული მეცადინეობების ფორმით.

პროგრამის ფარგლებში შედგენილია სასწავლო გეგმა ქართულენოვანი და არაქართულენოვანი პროფესიული სტუდენტებისათვის. არსებული სასწავლო გეგმა უზრუნველყოფს პროგრამის თანმიმდევრულ განხორციელებას. პროგრამის შემუშავების, შეფასების და განვითარების წესის მიხედვით, თუ მოდული არის სხვა მოდულზე დაშვების წინაპირობა, სავალდებულოა ამ მოდულს შორის სწავლება უნდა განხორციელდეს არაუმეტეს 10 დღიანი (კალენდარული დღე) ინტერვალით, რათა არ შეიქმნას განმეორებითი შეფასების ჩატარების პრობლემა. სასწავლო გეგმა სწორედ ამ პრინციპით არის აგებული და დაცულია დროის შუალედი განმეორებითი შეფასებისათვის.

80

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:



ვიზიტის ფარგლებში ექსპერტთა მიერ შესწავლილი სასწავლო გეგმა წარმოდგენილია მკაფიო, თანმიმდევრულ და ლოგიკურად გააზრებულ სტრუქტურად. დადგინდა, რომ გეგმა სრულად შეესაბამება სამუშაო სტანდარტის მოთხოვნებს და შეიცავს მის მიერ რეკომენდირებულ უმთავრეს ელემენტებს.

ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

2. კსდ უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის ორგანიზებას პროფესიულ სტუდენტთა ინტერესების გათვალისწინებით და მოქნილად რეაგირებს შემხვედრ საჭიროებებზე

დაწესებულება უზრუნველყოფს ეფექტიანი სასწავლო გარემოს შექმნას პროფესიულ სტუდენტთა ინტერესების გათვალისწინებით. დაწესებულებაში ხორციელდება სასწავლო პროცესის მუდმივი მონიტორინგი და პროფესიულ სტუდენტებთან ეფექტური უკუკავშირის მეშვეობით ხდება რეაგირება მათ ინტერესებსა და საჭიროებებზე. პროფესიულ სტუდენტთა ინდივიდუალური საჭიროებები პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევისას გათვალისწინებულია, რისთვისაც დაწესებულებას აქვს აღწერილი ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შედგენის პროცედურა.

ასევე, პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე ჩარიცხვისა და სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი არეგულირებს პროფესიული სტუდენტის შემდგომი განათლებით უზრუნველყოფას, პროგრამის გაუქმების შემთხვევაში. წესის მიხედვით, სტუდენტებს აქვთ, მობილობის უფლება.

აწს-ს ვერიფიკაციის წესი ითვალისწინებს, მოდულების შეფასების მექანიზმებს, რომლებშიც გათვალისწინებულია სტუდენტების ობიექტური შეფასება.

პროგრამის ხელმძღვანელი და პროგრამის განმახორციელებელი პროფესიული განათლების მასწავლებლები არიან კვალიფიციური სპეციალისტები, რომლებიც კარგად იცნობენ დარგის საჭიროებებს. შესაბამისად, პერიოდულად განხორციელდება პროფესიული სტუდენტების მიერ განვლილი მოდულების ფარგლებში მიღწეული შედეგების შეფასება და საჭიროები შემთხვევაში, ცვლილებების განხორციელების შესახებ წინადადების წარედგინება ფაკულტეტის დეკანს.

უნივერსიტეტის შიდა მარეგულირებელი აქტების, ადმინისტრაციასთან და პროგრამის ხელმძღვანელთან ექსპერტთა ჯგუფის გასაუბრების შედეგების შეფასებით დასტურდება, რომ დაწესებულება სასწავლო პროცესის ორგანიზებისას ითვალისწინებს პროფესიულ სტუდენტთა ინტერესებს და მოქნილად ახორციელებს რეაგირებას შემხვედრ საჭიროებებზე.

ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები



3. სასწავლო პროცესი ითვალისწინებს სწავლების თანამედროვე მეთოდებისა და დარგის შესაბამისი ტექნოლოგიების გამოყენებას

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „მსუბუქი ავტომობილის შიგა წვის ძრავას შეკეთება“ ხორციელდება სწავლების თანამედროვე მეთოდების და დარგის საჭიროებების გათვალისწინებით. პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამის განსახორციელებლად გამოყოფილი აუდიტორია აღჭურვილია სწავლებისათვის საჭირო ტექნიკითა და რესურსით. პროგრამა ითვალისწინებს დარგში რეალურად მოქმედი სპეციალური პროგრამული უზრუნველყოფის ან მათი დემოვერსიების არსებობას, რომლის საშუალებითაც სტუდენტები პრაქტიკულად გაეცნობიან დარგის შესაბამის თანამედროვე ტექნოლოგიებს.

ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

4. პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევისას გათვალისწინებულია პროფესიულ სტუდენტთა ინდივიდუალური საჭიროებები

პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევისას გათვალისწინებულია პროფესიულ სტუდენტთა ინდივიდუალური საჭიროებები; დოკუმენტების შესწავლისას და გასაუბრების საფუძველზე დადგინდა, რომ პროგრამის განმახორციელებელი პერსონალი მზად არის შესაბამისი ქმედებისათვის.

ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

5. პსდ-ს თანამშრომლობა პრაქტიკის კომპონენტის განმახორციელებელ პარტნიორთან/სასწავლო საწარმოსთან/ თანაგანმახორციელებელ დაწესებულებასთან დასტურდება შესაბამისი ხელშეკრულებით/ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმით აღნიშნული პროგრამა ხორციელდება იმიტირებულ სასწავლო გარემოში, შესაბამისად დაწესებულებისთვის პრაქტიკის ობიექტის საჭიროება არ არის.

ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

6. სასწავლო პროცესი მიმდინარეობს უსაფრთხო სასწავლო/სამუშაო გარემოში, პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

Handwritten signature

თ. ცუცქერიძე

ნ. მანუაშვილი

Handwritten signature



პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „მსუბუქი ავტომობილის შიგა წვის ძრავის შეკეთება“ დაკავშირებულია შიგა წვის ძრავის აგებულების შესწავლასთან, ტექნიკურ მომსახურებასთან, დიაგნოსტიკასთან, დაშლა-აწყობის ოპერაციებთან და სხვადასხვა მექანიკური მოწყობილობისა და სპეციალური ინსტრუმენტების გამოყენებასთან. აღნიშნული სამუშაო პროცესები მოიცავს ტექნიკურ, მექანიკურ და უსაფრთხოების სპეციფიკურ რისკებს, რის გამოც პროგრამის განხორციელებისას განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება უსაფრთხო სასწავლო გარემოს უზრუნველყოფას.

დაწესებულებამ პროგრამის განხორციელებისთვის შექმნა შესაბამისი სასწავლო გარემო, რომელიც აღჭურვილია შიგა წვის ძრავის შეკეთებისთვის საჭირო ხელსაწყოებით, მოწყობილობებით, სადიაგნოსტიკო საშუალებებითა და დამხმარე ინვენტარით. არსებული ინფრასტრუქტურა უზრუნველყოფს როგორც თეორიული ცოდნის მიღებას, ისე პრაქტიკული სამუშაოების უსაფრთხოდ შესრულებას.

სასწავლო სახელოსნოში დაცულია შრომის უსაფრთხოების მოთხოვნები: განთავსებულია უსაფრთხოების ნიშნები, გამაფრთხილებელი წარწერები და ინსტრუქციები, რომლებიც არეგულირებს მოწყობილობებთან მუშაობის, ტექნიკური ოპერაციების შესრულებისა და საგანგებო სიტუაციებში მოქმედების წესებს. პროფესიული სტუდენტები პრაქტიკული საქმიანობის დაწყებამდე იღებენ შესაბამის ინფორმაციას უსაფრთხოების საკითხებზე და სამუშაო პროცესში მოქმედებენ დადგენილი წესების შესაბამისად.

ძრავის შეკეთების პროცესში გათვალისწინებულია შესაბამისი ინდივიდუალური დაცვის საშუალებების გამოყენება, მათ შორის დამცავი ტანსაცმელი, ხელთათმანები, სათვალეები და სხვა საჭირო აღჭურვილობა. ასევე უზრუნველყოფილია სამუშაო სივრცის მოწესრიგება, ტექნიკური მოწყობილობების უსაფრთხო ექსპლუატაცია და სამუშაო პროცესის ზედამხედველობა.

დაწესებულებაში დასაქმებული შრომის უსაფრთხოების ორი სპეციალისტი უზრუნველყოფს უსაფრთხოების სისტემის ფუნქციონირებას, ახორციელებს რისკების შეფასებას, უსაფრთხოების ღონისძიებების დაგეგმვასა და კონტროლს. პასუხისმგებელი პირები მუდმივად აკვირდებიან სასწავლო გარემოს მდგომარეობას და საჭიროების შემთხვევაში ახორციელებენ შესაბამის პრევენციულ ღონისძიებებს.

პროგრამის პრაქტიკული კომპონენტის პარტნიორი ორგანიზაციის ბაზაზე განხორციელების შემთხვევაში, დაწესებულება ხელშეკრულებით უზრუნველყოფს პრაქტიკის ობიექტის მიერ უსაფრთხოების მოთხოვნების შესრულებასა და პროფესიული სტუდენტებისთვის შესაბამისი სამუშაო პირობების შექმნას.

ადგილზე ვიზიტისა და ინტერვიუების შედეგად დადასტურდა, რომ პროგრამის განხორციელებისთვის არსებული სასწავლო გარემო აკმაყოფილებს უსაფრთხოების მოთხოვნებს, უზრუნველყოფილია შრომის უსაფრთხოების ნორმების დაცვა და შექმნილია შესაბამისი პირობები პროფესიული სტუდენტების მიერ პრაქტიკული კომპეტენციების უსაფრთხოდ შესაძენად.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

თ. ცუცქერიძე

ა. აბოიძე

ნ. მანუაშვილი

ხელმოწერა



ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

- „მსუბუქი ავტომობილის შიგა წვის ძრავას შეკეთება“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა, სასწავლო გეგმა;
- აწსუ-ს აკად საბჭოს დადგენილება №60(25/26), 15.06.26წ.
- აწსუ სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი;
- ინდ. სასწავლო გეგმების შემუსავების წესი;
- შრომის უსაფრთხოების პოლიტიკა;
- ინტერვიუს და დათვალიერების შედეგები.

შეფასება:

- ☒ შეესაბამება
- ☐ მეტწილად შეესაბამება
- ☐ ნაწილობრივ შეესაბამება
- ☐ არ შეესაბამება

2.4.2 შეფასების სისტემა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების დადასტურებას

1. პროგრამის მიზნებისთვის გამოყენებული შეფასების სისტემა არის ვალიდური, სანდო, გამჭვირვალე, სამართლიანი, ობიექტური;
2. პროფესიულ სტუდენტთა შეფასების სისტემა ითვალისწინებს ვერიფიკაციის მექანიზმს;
3. პსდ უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას შეფასების უწყისის გაფორმებიდან 3 წლის ვადით;
4. პროფესიულ სტუდენტთა შეფასების შედეგები გამოყენებულია მათი შემდგომი განვითარებისათვის.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. პროგრამის მიზნებისთვის გამოყენებული შეფასების სისტემა არის ვალიდური, სანდო, გამჭვირვალე, სამართლიანი, ობიექტური

84

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: თ. ცუცქერიძე

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ე. ბუბია

ნ. მანუაშვილი



დაწესებულებას შემუშავებული და დამტკიცებული აქვს სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი, რომელშიც გაწერილია პროფესიულ სტუდენტთა სწავლის შედეგების შეფასების საკითხები. წესი მოიცავს: შეფასების ინსტრუმენტის შემუშავების პროცედურების, შეფასების ინსტრუმენტების შემუშავების, პროფესიულ სტუდენტთა ინფორმირებასთან დაკავშირებული საკითხების, აპელაციის წესის, შეფასების პროცესის ადმინისტრირების საკითხების, განმეორებითი შეფასების განხორციელების პროცედურის და წესის, მტკიცებულებების მოპოვება-შენახვის წესის შესახებ ინფორმაციებს.

შეფასების ინსტრუმენტი გადის ვალიდაციის პროცესს. პროფესიული განათლების მასწავლებელი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის მოდულის/მოდულების განხორციელებამდე არაუგვიანეს 2 კვირისა პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელს წარუდგენს კალენდარულ გეგმასა და შეფასების ინსტრუმენტებს ვალიდაციისათვის. ვალიდატორი შეიძლება იყოს შესაბამისი დარგის უნივერსიტეტის აკადემიური პესონალი, რომელიც არ მონაწილეობს მოდულის განხორციელებაში. ვალიდაციის შევსებული (ხელმოწერით დადასტურებული) ფორმები ინახება შესაბამისი პროგრამის ხელმძღვანელთან. შეფასების მიზნებისათვის, გამოიყენება მხოლოდ ვალიდური შეფასების ინსტრუმენტები.

ზემოაღნიშნული დასტურდება პროგრამის ხელმძღვანელთან და განმახორციელებლებთან ინტერვიუებით

დაწესებულებამ წარადგინა შემუშავებული შეფასების ინსტრუმენტები, მათ შორის ფორმატები, დავალებები და შესაბამისი ინსტრუქციები, რაც წარმოაჩენს შეფასების პროცესის სტრუქტურირებას და სტანდარტებთან შესაბამისობას.

ჩვენს მიერ შერჩევით შემოწმდა შეფასების ინსტრუმენტები. ინსტრუმენტები შედგენილია და შესრულებულია კანონმდებლობის და დაწესებულების რეგულაციების დაცვით.

ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

2. პროფესიულ სტუდენტთა შეფასების სისტემა ითვალისწინებს ვერიფიკაციის მექანიზმს

აწსუ პროფესიულ სტუდენტთა შეფასების სისტემა ითვალისწინებს ვერიფიკაციის მექანიზმს, რომელშიც გაწერილია შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მიდგომები, ვერიფიკაციის დაგეგმვისა და ადმინისტრირების საკითხები. შეფასების სისტემის ვერიფიკაცია ითვალისწინებს შეფასების ინსტრუმენტების, შეფასების პროცესის და შეფასების მტკიცებულებების ვერიფიკაციის პროცესს. შეფასების სისტემის ვერიფიკაციას ახორციელებს ვერიფიკაციის ჯგუფი. დოკუმენტში დარეგულირებულია ვერიფიკაციის შედეგების განხილვისა და რეაგირების მექანიზმები. ვერიფიკაციის დასკვნის პროექტის განხილვის ორგანიზებას უზრუნველყოფს ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური. ვერიფიკაციის შედეგები გამოყენებულია პროფესიული სტუდენტის შემდგომი განვითარებისათვის.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

თ. ცუცქერიძე

ნ. მანუაშვილი



დაწესებულებამ მტკიცებულების სახით წარმოადგინა 2023–2024 და 2024–2025 სასწავლო წლების ხარისხის უზრუნველყოფის მენეჯერის ანგარიშები, რომლებშიც წარმოდგენილი იყო ექვსი მოდულის ვერიფიკაციის შედეგები. ანგარიშებს თან ერთვოდა შესაბამისი დასკვნები და რეკომენდაციები. დოკუმენტებში დეტალურად იყო აღწერილი ვერიფიკაციის პროცესის ეტაპები, გამოყენებული მიდგომები და მიღებული შედეგები, რაც უზრუნველყოფს განხორციელებული საქმიანობის სრულყოფილ ასახვას.

წარმოდგენილი დოკუმენტაციისა და ადგილზე განხორციელებული შეფასების პროცესში მიღებული ინფორმაციის საფუძველზე დადასტურდა, რომ დაწესებულებას შემუშავებული და დანერგილი აქვს შეფასების სისტემის შიდა ვერიფიკაციის მექანიზმი. ვერიფიკაცია ხორციელდება შეფასების სისტემის დადგენილ მოთხოვნებთან შესაბამისობის უზრუნველყოფის მიზნით და წარმოადგენს ხარისხის უზრუნველყოფის შიდა სისტემის მნიშვნელოვან კომპონენტს.

დადგინდა, რომ ვერიფიკაციის პროცესის კოორდინაციას ახორციელებს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური/პასუხისმგებელი პირი, ხოლო შინაარსობრივ ნაწილში, საჭიროების შესაბამისად, ჩართული არიან შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე პირები. ამასთან, დაწესებულება ვერიფიკაციის პროცესში უზრუნველყოფს ინტერესთა კონფლიქტის პრევენციას, კერძოდ, ვერიფიკაციას არ ახორციელებს ის პირი, რომელმაც შეიმუშავა შეფასების ინსტრუმენტი ან მონაწილეობდა მის შემუშავებაში, რაც პროცესის ობიექტურობასა და მიუკერძოებლობას უზრუნველყოფს.

ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

3. პსდ უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას შეფასების უწყისის გაფორმებიდან 3 წლის ვადით

აწსუ პროფესიული განათლების ცენტრი უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული, სტუდენტის პორტფოლიოსათვის გათვალისწინებული მტკიცებულებების, კერძოდ: წერილობითი მტკიცებულებების, პრაქტიკული დავალების, გამოკითხვის ბლანკების(ჩეკ-ლისტი) და სხვა დოკუმენტაციის სათანადო აღრიცხვასა და შენახვას შეფასების უწყისის გაფორმებიდან 3 წლის ვადით, ხოლო შეფასების უწყისები ინახება უვადოდ

ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

4. პროფესიულ სტუდენტთა შეფასების შედეგები გამოყენებულია მათი შემდგომი განვითარებისათვის

86

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: თ. ცუცქერიძე

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ა. ბერიძე

ნ. მანუაშვილი



დაწესებულებაში პროფესიულ სტუდენტთა შეფასება განხორციელდება ინდივიდუალურად და მიღებული შედეგები გამოყენებულია მათი შემდგომი განვითარებისათვის. კერძოდ,

1. ვერიფიკაციის დროს გამოვლენილი რეკომენდაციების დადგენის შემდეგ ხდება შეჯამებული პოზიციის გაცნობა პროგრამის განხორციელებაში ჩართული და დაწესებულების დაინტერესებული პირებისათვის;
2. ვერიფიკაციის შედეგები გამოყენებული იქნება უნივერსიტეტში პროფესიული სწავლების მიმართულებით, სასწავლო პროცესის/პროგრამების გაუმჯობესების მიზნით;
3. ვერიფიკაციის შედეგები შესაძლებელია გამოყენებული იყოს პროფესიული სტუდენტის შემდგომი განვითარებისათვის. შეფასების შედეგების ანალიზის მიხედვით დაიგეგმება შესაბამისი ღონისძიებები.

ასევე, პროფესიული განათლების მასწავლებლის და პროგრამის ხელმძღვანელის მიერ პროფესიული სტუდენტი კონფიდენციალურად მიიღებს უკუკავშირს, რეკომენდაციებს სწავლის შედეგების გასაუმჯობესებლად. დაწესებულების ხარისხის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელი პირი სასწავლო პროცესის თანამშრომლებთან ერთად პერიოდულად განახორციელებს პროფესიული სტუდენტების სწავლის შედეგების შეფასების მონიტორინგს. პროფესიულ სტუდენტთა შეფასების მონიტორინგის შედეგები გათვალისწინებულ იქნება პროგრამის განვითარების კუთხითაც, რამეთუ მონიტორინგის შედეგად მიღებული ინფორმაცია გამოყენებულია საგანმანათლებლო პროგრამების გაუმჯობესების კუთხით - მაგ. შეფასების ინსტრუმენტების შეცვლა/გაუმჯობესება და სხვა. პროფესიულ სტუდენტთა შეფასების შედეგები გამოყენებულია მათი შემდგომი განვითარებისათვის.

ზემოაღნიშნული დასტურდება პროფესიულ მასწავლებლებთან, პროგრამის ხელმძღვანელთან და ხარისხის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელ პირებთან გასაუბრებით.

ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

- სწავლის შედეგების შეფასების სისტემის მარეგულირებელი წესი, რომელიც ხელმისაწვდომია დაინტერესებული მხარეებისთვის;
- პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე ჩარიცხვისა და სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი
- აწეს პროფესიულ სტუდენტთა შეფასების ვერიფიკაციის წესი
- მასწავლებლებთან და ადმინისტრაციასთან ინტერვიუს შედეგები.

შეფასება:

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: თ. ცუცქერიძე

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ა. ბერიძე

ნ. მანუაშვილი



☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

თ. ცუცქერიძე -----

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ნ. მანუაშვილი -----

ე. ბერიძე

გ. მანუაშვილი



ნაწილი III. ინფორმაცია პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

VII. ზოგადი ინფორმაცია

პროგრამის სახელწოდება	მსუბუქი ავტომობილის ელექტრო და ელექტრონული სისტემების შეკეთება
პროფესიული განათლების დონე	მესამე
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	საბაზო პროფესიული კვალიფიკაცია მსუბუქი ავტომობილის ელექტრო და ელექტრონული სისტემების შეკეთებაში
სწავლის დეტალური სფეროს კოდი	0716
პროგრამის დამტკიცების აქტის რეკვიზიტები	აწსუ აკადემიური საბჭოს დადგენილება №60(25/26), 15/06/2026
პროგრამის განხორციელების ენა	ქართული
პროგრამის განხორციელების მისამართი/მისამართები	ქუთაისი, ახალგაზრდობის გამზირი N 98
პროგრამის განხორციელების ფორმა (რეალურ სამუშაო გარემოში/იმიტირებულ სამუშაო გარემოში)	იმიტირებულ სამუშაო გარემოში
რეალურ სამუშაო გარემოში სწავლების ფორმა (კოოპერაციული/დუალური)	-
პროგრამაზე მოთხოვნილი პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა სწავლების ფორმის მიხედვით	30
მოთხოვნილი სტუდენტთა ზღვრული რაოდენობიდან, პროფესიული სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა იმ სასწავლო	-

89

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:



გეგმაზე, რომელიც მოიცავს ინტეგრირებულ ზოგად მოდულებს სწავლების ფორმის მიხედვით (არსებობის შემთხვევაში)	
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	-
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	79
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	-
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	94

VIII. ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასაბუთება პროგრამაზე მოთხოვნილი პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის შესახებ

ექსპერტთა ჯგუფი ეთანხმება ☒

ექსპერტთა ჯგუფი არ ეთანხმება ☐

იმ შემთხვევაში, თუკი ექსპერტთა ჯგუფი არ ეთანხმება მოთხოვნილ პროფესიულ სტუდენტთა ზღვრულ რაოდენობას, მიუთითეთ ადგილების შესაძლო ზღვრული რაოდენობა ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით, მისამართების, განხორციელების ფორმისა და არსებობის შემთხვევაში, ინტეგრირებული სასწავლო გეგმის მიხედვით და შემდეგ დაასაბუთეთ თქვენი შეფასება.

პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა ადგილების შესაძლო ზღვრული რაოდენობა ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით, მისამართებისა და განხორციელების ფორმის მიხედვით	
სტუდენტთა ზღვრული რაოდენობიდან, პროფესიულ სტუდენტთა ადგილების შესაძლო ზღვრული რაოდენობა ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით იმ სასწავლო გეგმაზე, რომელიც მოიცავს ინტეგრირებულ ზოგად მოდულებს (არსებობის შემთხვევაში).	

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: თ. ცუცქერიძე

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ე. ბერიძე

ნ. მანუჩიძე



დასაბუთება

.....

.....

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: თ. ცუცქერიძე

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ე. ბუბია

ნ. მანუაშვილი



სტანდარტი/კომპონენტი	საგანმანათლებლო დაწესებულების შეფასება (მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)	ექსპერტთა ჯგუფის შეფასება (მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)
2) საგანმანათლებლო პროგრამები	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
2.1) საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვა და შემუშავება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
2.2) საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების რესურსი	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
2.3) საგანმანათლებლო პროგრამების შეფასება და განვითარება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
2.4) სასწავლო პროცესის ორგანიზება და პროფესიულ სტუდენტთა შეფასება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

III. პროგრამის ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის ცხრილი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

თ. ცუცქერიძე

ნ. მანუაშვილი

ა. ბერიძე

გ. მანუაშვილი



ნაწილი IV. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასება

2. საგანმანათლებლო პროგრამები

2.1 საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვა და შემუშავება

2.1.1 პროგრამა შემუშავებულია პსდ-ში დანერგილი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის და შემუშავების მეთოდოლოგიის შესაბამისად

1. პსდ-ს გადაწყვეტილება საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შესახებ ეფუძნება შესაბამის დასაბუთებას და შეესაბამება პსდ-ს მისიას და სტრატეგიული განვითარების გეგმას;
2. საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობები და პროცედურები უზრუნველყოფს პროგრამაზე ისეთ პირთა დაშვებას, რომელთა წინარე ცოდნა, უნარები ან/და გამოცდილება უზრუნველყოფს პროგრამის განხორციელების ვადაში პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას;
3. პსდ საგანმანათლებლო პროგრამისთვის პროფესიულ სტუდენტთა ზღვრულ ოდენობას განსაზღვრავს შესაბამისი მეთოდოლოგიის მიხედვით;
4. საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტის მიერ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას;
5. საგანმანათლებლო პროგრამის არჩევითი მოდულები, მათი არსებობის შემთხვევაში, ლოგიკურ კავშირშია მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან ან/და პროფესიული სტუდენტის მომავალ საქმიანობასთან;
6. საგანმანათლებლო პროგრამა დამტკიცებულია დაწესებულების უფლებამოსილი პირის/ორგანოს მიერ;
7. პროგრამის სახელწოდება შეესაბამება პროგრამის შინაარსს/პროგრამით გათვალისწინებულ მისაღწევ სწავლის შედეგებს და არ არის შეცდომაში შემყვანი;
8. პსდ-ს საგანმანათლებლო პროგრამა შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებასთან დაკავშირებულ, კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. პსდ-ს გადაწყვეტილება საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შესახებ ეფუძნება შესაბამის დასაბუთებას და შეესაბამება პსდ-ს მისიას და სტრატეგიული განვითარების გეგმას

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „მსუბუქი ავტომობილის ელექტრო და ელექტრონული სისტემების შეკეთება“ სრულად შესაბამისობაშია პსდ-ს მისია-სა და სტრატეგიულ განვითარების გეგმასთან. სსიპ აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის გადაწყვეტილება პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შესახებ ეფუძნება მიზანშეწონილობის დასაბუთებას.

93

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:



პროგრამის მიზანია პროფესიული განათლების პროცესით უზრუნველყოს მაღალკვალიფიციური, საზოგადოებისა და შრომის ბაზრის საჭიროებაზე ორიენტირებული კადრების აღზრდა; გაითვალისწინოს ბაზრის მოთხოვნები პროფესიული განათლების განხორციელების პროცესში; დანერგოს და განავითაროს მთელი სასწავლო ციკლის განმავლობაში სწავლისა და კვალიფიკაციის ამღლების მოქნილი სისტემა. აღნიშნული მიდგომა უზრუნველყოფს პროგრამის სტრატეგიულ მიზნებთან სრულ შესაბამისობას, სტუდენტების მომზადების ხარისხს და პროფესიული განათლების სისტემის ეფექტიანობას.

წარმოდგენილი დოკუმენტაციისა და მიღებული ინფორმაციის ანალიზი ადასტურებს, რომ „მსუბუქი ავტომობილის ელექტრო და ელექტრონული სისტემების შეკეთების“ პროგრამის განხორციელების გადაწყვეტილება მიღებულია დაწესებულების შიდა პოლიტიკის, ხარისხის უზრუნველყოფის წესებისა და შესაბამისი კოლეგიური ორგანოების პროცედურების დაცვით. პროგრამა შეესაბამება მისიას, სტრატეგიულ მიზნებსა და რეგიონული განვითარების საჭიროებებს.

ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

2. საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობები და პროცედურები უზრუნველყოფს პროგრამაზე ისეთ პირთა დაშვებას, რომელთა წინარე ცოდნა, უნარები ან/და გამოცდილება უზრუნველყოფს პროგრამის განხორციელების ვადაში პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას

დაწესებულების აკადემიური საბჭოს 2025 წლის 11 დეკემბრის №01-04-90 დადგენილებით დამტკიცებულია “სსიპ აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესიული განათლების ცენტრის სასწავლო პროცესისა და ხარისხის უზრუნველყოფის მარეგულირებელი წესი“. დოკუმენტში გაწერილია პროფესიული სტუდენტის სტატუსის მოპოვების წინაპირობები, ჩარიცხვის ეტაპები, დაწესებულების მიერ ანკეტა-კითხვარის შევსების წესები, აპლიკანტთა რეგისტრაციის პირობები, აპლიკანტთა შერჩევის პროცედურები საბაზო, საშუალო და უმაღლეს პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე, ტესტირების ორგანიზების საკითხები, აპელაციის წესი, სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პირთა ჩარიცხვის პროცედურა, განსაზღვრულია არასრულწლოვანი პირის ჩარიცხვის შემთხვევაში მისი კანონიერი წარმომადგენლის არსებობისა და დადასტურების წესები.

სსიპ აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე „მსუბუქი ავტომობილის ელექტრო და ელექტრონული სისტემების შეკეთება“ დაშვების წინაპირობები და პროცედურები გაწერილია პროფესიულ საგანმანათლებლო სტანდარტში - „მსუბუქი ავტომობილის ელექტრო და ელექტრონული სისტემების შეკეთება“ პროგრამის წინაპირობაა საბაზო განათლება. პროგრამა შედგენილია ისე, რომ უზრუნველყოს საბაზო ცოდნის ბაზაზე, პროგრამის განხორციელების ვადაში განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევა აწსუ-ს მიერ აპლიკანტთა შერჩევა საავტორიზაციო პროგრამაზე ხორციელდება მოტივაციური გასაუბრებით.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

Handwritten signature

თ. ცუცქერიძე

ნ. მანუაშვილი

Handwritten signature



ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

3. პსდ საგანმანათლებლო პროგრამისთვის პროფესიულ სტუდენტთა ზღვრულ ოდენობას განსაზღვრავს შესაბამისი მეთოდოლოგიის მიხედვით

სსიპ აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორის ბრძანებით №12 § 17 (24.01.2023წ.) დამტკიცებულია სსიპ აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტში პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგია, რომლის მიხედვითაც დაწესებულების პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული ოდენობის განსაზღვრისას მხედველობაში მიიღება:

- A სასწავლო გარემოში პროფესიულ სტუდენტთა სამუშაო ადგილების რაოდენობა;
- B სასწავლო გარემოში პროფესიულ სტუდენტთა სამუშაო ადგილების რაოდენობა;
- C სასწავლო გარემოში პროფესიულ სტუდენტთა სამუშაო ადგილების რაოდენობა ან სასწავლო გარემოს ფართი;
- დასაშვებია ერთ სივრცეში ორი ან მეტი ტიპის სასწავლო გარემოს კომბინირებული მოდელის შექმნა. მაგალითად ერთ სივრცეში A და B, A და C, B და C ან A, B და C გარემოს კომბინირება.
- დასაშვებია სხვადასხვა პროგრამის განხორციელების მიზნებისათვის ერთი და იმავე სივრცის გამოყენება თუ ის თავსებადია სასწავლო გარემოს და აღჭურვილობის ნორმატივების თვალსაზრისით, კვირეული დატვირთვის გათვალისწინებით, ასევე ცხრილის შედგენის შესაძლებლობა შეჭრილი ცხრილის პრინციპით.
- სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრისას მხედველობაში მიიღება პრაქტიკის ობიექტთან გაფორმებულ ხელშეკრულებაში მითითებული პრაქტიკის ობიექტის მიერ პროფესიულ სტუდენტთა/მსმენელთა ზღვრული რაოდენობის ერთდროულად მიღების შესაძლებლობა.
- პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ხანგრძლივობა;
- საწარმოო პრაქტიკის ობიექტების რესურსი;
- პროგრამის განმახორციელებელი პროფესიული საჭირო ადამიანური რესურსის რაოდენობა.

შესაძლებელია ერთმა პროფესიული განათლების მასწავლებელმა განახორციელოს რამდენიმე სხვადასხვა მოდული შრომის კოდექსით განსაზღვრული ჩასატარებელი კვირეული საათების (კვირაში მაქსიმუმ 40 საათიანი დატვირთვა) გათვალისწინებით შედგენილი სასწავლო განრიგის მიხედვით.

დაწესებულების მიერ წარმოდგენილია პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე „მსუბუქი ავტომობილის ელექტრო და ელექტრონული სისტემების შეკეთება“ მოთხოვნილი პროფესიული სტუდენტების ზღვრული რაოდენობისა და განხორციელების მიზანშეწონილობის დასაბუთება. პროფესიულ სტუდენტთა ზღვრულ ოდენობასთან დაკავშირებით დოკუმენტში აღნიშნულია, რომ

95

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: თ. ცუცქერიძე

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ე. ბუბია

ნ. მანუაშვილი



არსებული კვოტისათვის დაწესებულებას ყავს სათანადო კვალიფიკაციისა და გამოცდილების მქონე პროფესიული განათლების მასწავლებლები, გააჩნია ყველა საჭირო რესურსი და უზრუნველყოფს პრაქტიკის სრულყოფილ სასწავლო პროცესს.

აღნიშნული პროფესიული პროგრამისთვის დადგენილია საერთო კვოტა 30 პროფესიული სტუდენტის ოდენობით.

პასუხისმგებელ პირთა ინტერვიუებისა და დაწესებულების მატერიალურ-ტექნიკური ბაზის დათვალიერების, ასევე, პროგრამის ანალიზითა დასტურდება, რომ დაწესებულებამ პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული ოდენობა განსაზღვრა არსებული მეთოდოლოგიის შესაბამისად.

ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

4. საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტის მიერ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას

დაწესებულების მიერ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „მსუბუქი ავტომობილის ელექტრო და ელექტრონული სისტემების შეკეთება“ მოდულების განხორციელებისთვის განსაზღვრული და დამტკიცებულია შესაბამისი მატერიალურ-ტექნიკური აღჭურვილობა და საგანმანათლებლო რესურსები, რომლებიც უზრუნველყოფს პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას.

პროგრამის მოდულებში მითითებულია აუცილებელი სასწავლო რესურსები, მათ შორის ავტომობილის ელექტრული და ელექტრონული სისტემების დიაგნოსტიკის ხელსაწყოები, ელექტრული გაზომვის მოწყობილობები, სადიაგნოსტიკო სკანერები, ელექტრული სქემები, სასწავლო სტენდები, ელექტრული კომპონენტები და პრაქტიკული სამუშაოების შესასრულებლად საჭირო სხვა ინვენტარი.

აღნიშნული რესურსები შეესაბამება მოდულების შინაარსსა და სწავლის შედეგებს და უზრუნველყოფს სტუდენტების მიერ ავტომობილის ელექტრული სისტემების შემოწმების, გაუმართაობის გამოვლენის, დიაგნოსტიკის, შეკეთებისა და ტექნიკური მომსახურების უნარების განვითარებას.

დაწესებულების მიერ დამტკიცებული მატერიალური რესურსების სია მოიცავს პროგრამის ყველა მოდულის განხორციელებისთვის აუცილებელ აღჭურვილობას. აღნიშნული რესურსების არსებობა დასტურდება შესაბამისი დოკუმენტაციითა და ადგილზე დათვალიერებით.

ამრიგად, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „მსუბუქი ავტომობილის ელექტრო და ელექტრონული სისტემების შეკეთება“ მოდულების განხორციელებისთვის არსებული მატერიალურ-ტექნიკური ბაზა და საგანმანათლებლო რესურსები სრულად შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

Handwritten signature

თ. ცუცქერიძე

ნ. მანუაშვილი

Handwritten signature



მოდულების სწავლის შედეგებს და უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტების მიერ შესაბამისი პროფესიული კომპეტენციების მიღწევას.

ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

5. საგანმანათლებლო პროგრამის არჩევითი მოდულები, მათი არსებობის შემთხვევაში, ლოგიკურ კავშირშია მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან ან/და პროფესიული სტუდენტის მომავალ საქმიანობასთან

დამტკიცებულ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამას „მსუბუქი ავტომობილის ელექტრო და ელექტრონული სისტემების შეკეთება“ არ აქვს არჩევითი მოდულები.

ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

6. საგანმანათლებლო პროგრამა დამტკიცებულია დაწესებულების უფლებამოსილი პირის/ორგანოს მიერ

აწსუ-ს აკადემიური საბჭოს №60(25/26), 15.06.26წ. დადგენილებით დამტკიცებულია საქართველოს დაწესებულებაში პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავების, შეფასების და განვითარების წესი. აღნიშნული წესის მიხედვით საგანმანათლებლო პროგრამას ამტკიცებს უნივერსიტეტის აკადემიური საბჭო. შესაბამისად, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „მსუბუქი ავტომობილის ელექტრო და ელექტრონული სისტემების შეკეთება“ დამტკიცებულია უფლებამოსილი პირის - სსიპ აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს მიერ 15.06.2026 წლის №60(25/26) დადგენილებით.

ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

7. პროგრამის სახელწოდება შეესაბამება პროგრამის შინაარსს/პროგრამით გათვალისწინებულ მისაღწევ სწავლის შედეგებს და არ არის შეცდომაში შემყვანი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: თ. ცუცქერიძე

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ე. ბუბია

ნ. მანუაშვილი



საგანმანათლებლო სტანდარტის საფუძველზე შექმნილი საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება „მსუბუქი ავტომობილის ელექტრო და ელექტრონული სისტემების შეკეთება“ შეესაბამება პროგრამის შინაარსს, პროგრამით გათვალისწინებულ მისაღწევ სწავლის შედეგებს და არ არის შეცდომაში შემყვანი;

ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

8. პსდ-ს საგანმანათლებლო პროგრამა შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებასთან დაკავშირებულ, კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „მსუბუქი ავტომობილის ელექტრო და ელექტრონული სისტემების შეკეთება“ შემუშავებულია პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტის საფუძველზე და შესაბამისობაშია აღნიშნულ საგანმანათლებლო სტანდარტთან. პროგრამა მომზადებულია სსიპ აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავების, შეფასების და განვითარების წესის“ მიხედვით, პროცედურების სრული დაცვით. პროგრამით განსაზღვრულია პროგრამის სახელწოდება, მიზნები, მისანიჭებელი კვალიფიკაცია, პროგრამაზე დაშვების წინაპირობები, მისაღწევი სწავლის შედეგები, შეფასების მიმართულებები, პროგრამის მოცულობა, პროგრამის სავარაუდო ხანგრძლივობა, კვალიფიკაციის მინიჭების პირობები და სხვა. საგანმანათლებლო პროგრამის პაკეტი შედგება პროგრამის ძირითადი დოკუმენტის, მოდულების, სასწავლო გეგმისგან (მათ შორის ქართული ენის A2 და ქართული ენის B2 გათვალისწინებით და მის გარეშეც), პროგრამის პაკეტს თან ერთვის ინფორმაცია ადამიანური და მატერიალური რესურსების შესახებ.

ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

- აწსუ-ს სტრატეგიული განვითარების გეგმა პროფესიული განათლების სფეროში;
- აწსუ საგანმანათლებლო პროგრამების ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკა - EP-QA პოლიტიკა;
- საგანმანათლებლო პროგრამა „მსუბუქი ავტომობილის ელექტრო და ელექტრონული სისტემების შეკეთება“ საგანმანათლებლო პროფესიული სტანდარტი;
- აწსუ-ს რექტორის ბრძანება №12 § 17 (24.01.2023წ.)
- პროფესიული სტუდენტების ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგია.
- აწსუ-ს აკად საბჭოს დადგენილება №60(25/26), 15.06.26წ.
- პროფესიული პროგრამა „მსუბუქი ავტომობილის ელექტრო და ელექტრონული სისტემების შეკეთება“ სასწავლო გეგმა,
- აწსუ აკადემიური საბჭოს დადგენილება №8(21-22)

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები



- დაინტერესებულ მხარეებთან ინტერვიუს შედეგები.

შეფასება:

- ☒ შეესაბამება
- ☐ მეტწილად შეესაბამება
- ☐ ნაწილობრივ შეესაბამება
- ☐ არ შეესაბამება

2.2 საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების რესურსი

2.2.1 პროგრამა უზრუნველყოფილია პროგრამის განსახორციელებლად საჭირო რესურსებით

1. პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია დაწესებულების/სასწავლო საწარმოს/პრაქტიკის ობიექტის მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით;
2. პროგრამისთვის განსაზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას;
3. პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებელს აქვს პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია;
4. საგანმანათლებლო პროგრამას ჰყავს პსდ-ს მიერ განსაზღვრული, შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი;
5. საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია ელექტრონული სახით ან დაწესებულების ბიბლიოთეკაში მატერიალური სახით და გამოიყენება სასწავლო პროცესში;
6. სსსმ პირებს წვდომა აქვთ პროგრამით გათვალისწინებულ ან ინდივიდუალური სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სასწავლო რესურსებთან, რომლებიც ადაპტირებულია სსსმ პირების საჭიროებებისა და მოთხოვნილებების შესაბამისად;
7. პსდ-ს ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობა.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია დაწესებულების/სასწავლო საწარმოს/პრაქტიკის ობიექტის მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: თ. ცუცქერიძე

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ე. ბუბია

ნ. მანუაშვილი



პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია უნივერსიტეტის მფლობელობაში არსებული, თანამედროვე სტანდარტების შესაბამისი მატერიალურ-ტექნიკური რესურსით, რომელიც სრულად შეესაბამება პროფესიული პროგრამის სპეციფიკას და გათვლილია პროგრამაზე დაშვებული პროფესიული სტუდენტების ზღვრულ რაოდენობაზე – 30 პროფესიულ სტუდენტზე.

აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტში პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „მსუბუქი ავტომობილის ელექტრო და ელექტრონული სისტემის შეკეთება“ განხორციელებისთვის გამოყოფილია სასწავლო სივრცეები, რომლებიც მდებარეობს უნივერსიტეტის მე-11 კორპუსის ქუთაისი, ახალგაზრდობის გამზირი N 98 პირველ სართულზე. პროგრამის განხორციელებისთვის გამოიყენება A/C და B სასწავლო გარემოები, რომლებიც მოწყობილია პროფესიული განათლების სტანდარტების, შრომის უსაფრთხოების მოთხოვნებისა და სასწავლო პროცესის ორგანიზების პრინციპების შესაბამისად.

სასწავლო სივრცეები უზრუნველყოფილია შესაბამისი ფართობით, ბუნებრივი და ხელოვნური განათებით, ვენტილაციის სისტემით, გათბობა-გაგრილების საშუალებებით, ელექტროენერგიის უსაფრთხო მიწოდებით, ინტერნეტზე ხელმისაწვდომობით, სახანძრო უსაფრთხოების საშუალებებითა და შრომის უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისი ინფრასტრუქტურით. აღნიშნული გარემო ქმნის უსაფრთხო, ფუნქციურ და ეფექტიან პირობებს როგორც თეორიული, ისე პრაქტიკული სწავლების განხორციელებისთვის.

პროგრამის ფარგლებში პრაქტიკული კომპონენტის სრულფასოვნად განხორციელების მიზნით სასწავლო გარემოები აღჭურვილია იმ ტექნიკური მოწყობილობებით, ინსტრუმენტებით, საჭირო მასალებითა და დამხმარე ინვენტარით, რომლებიც აუცილებელია პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მისაღწევად. აღჭურვილობა შეირჩა პროფესიული სტანდარტის მოთხოვნების შესაბამისად და უზრუნველყოფს სტუდენტების მიერ უსაფრთხო მუშაობის პრაქტიკული უნარების განვითარებას.

პროგრამაში დანართის სახით წარმოდგენილია A, B და C სასწავლო გარემოების დეტალური ჩამონათვალი, რომელშიც აღწერილია თითოეული სასწავლო სივრცის აღჭურვილობა, მატერიალურ-ტექნიკური რესურსი, ინსტრუმენტები, მოწყობილობები და სხვა საჭირო ინვენტარი. აღნიშნული რესურსის არსებობა უნივერსიტეტის მიერ დადასტურებულია შესაბამისი ფლობის დამადასტურებელი დოკუმენტაციით, ინვენტარიზაციის მასალებითა და ადგილზე დათვალიერების შესაძლებლობით.

არსებული მატერიალური რესურსი რაოდენობრივად და ხარისხობრივად შეესაბამება პროგრამაზე განსაზღვრულ 30 პროფესიულ სტუდენტს. სასწავლო პროცესის ორგანიზებისას უზრუნველყოფილია სტუდენტების ეფექტიანი ჩართულობა პრაქტიკულ სამუშაოებში, ინდივიდუალური და ჯგუფური დავალებების შესრულების შესაძლებლობა, თითოეული სტუდენტისათვის საჭირო აღჭურვილობასა და სამუშაო სივრცეზე ხელმისაწვდომობა, რაც მნიშვნელოვნად უწყობს ხელს პროფესიული კომპეტენციების განვითარებას.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

თ. ცუცქერიძე

ე. ბუბია

ნ. მანუაშვილი



პროგრამის განხორციელებისას გამოყენებული მატერიალური რესურსი ექვემდებარება მუდმივ მონიტორინგს, განახლებასა და საჭიროების შემთხვევაში შევსებას, რათა სრულად იყოს დაცული პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის მოთხოვნები, ტექნოლოგიური განვითარების ტენდენციები და დამსაქმებელთა მოთხოვნები.

ამდენად, უნივერსიტეტის მფლობელობაში არსებული სასწავლო ინფრასტრუქტურა, მატერიალურ-ტექნიკური ბაზა და პრაქტიკული სწავლებისათვის განკუთვნილი რესურსები სრულად უზრუნველყოფს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამით „მსუბუქი ავტომობილის ელექტრო და ელექტრონული სისტემის შეკეთება“ განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას და შეესაბამება პროგრამაზე დაშვებული პროფესიული სტუდენტების ზღვრულ რაოდენობას.

ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

2. პროგრამისთვის განსაზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას

პროგრამის 25 მოდულის განხორციელებაში ჩართულია 19 კვალიფიციური პროფესიული მასწავლებელი, რომელთა საშუალო დატვირთვა შეადგენს 100 – 200 საათს. პროგრამას მოდულების მიხედვით ჰყავს 2 - 3 განმახორციელებელი მასწავლებლები, რომლებსაც შეუძლიათ საჭიროების შემთხვევაში პროგრამის განხორციელების პროცესში ერთმანეთის ჩანაცვლება. მოდულების ათვისება და შედეგების დადასტურება პროგრამის სასწავლო გეგმით ისეა გაწერილი, რომ ერთი პროფესიული მოდულის დასრულებამდე მომდევნო მოდულის დაწყება არ იგეგმება, რაც პროგრამის მდგრადად განხორციელების კარგი პირობაა.

პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობის შეფარდება სტუდენტების ზღვრულ რაოდენობასთან სრულად უზრუნველყოფს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას.

ვიზიტის ფარგლებში შესწავლილ იქნა პერსონალის პირადი საქმეები. დაწესებულებას შემუშავებული და დამტკიცებული აქვს პროფესიული განათლების მასწავლებელთა დატვირთვის მეთოდოლოგია, რომლის გათვალისწინებით ყოველი სასწავლო წლის დაწყების წინ დაგეგმილია პროფესიული განათლების მასწავლებელთა საათობრივი დატვირთვის სქემების შედგენა, რათა პერსონალის დატვირთვა არ აცდეს საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრულ მოთხოვნებს.

წარმოდგენილი მასალებითა და გასაუბრებით დგინდება, რომ დაწესებულებას რიგ მოდულებზე ჰყავს არანაკლებ ორი განმახორციელებელი პერსონალი. ვიზიტის მიმდინარეობისას ექსპერტები გაესაუბრნენ, განმახორციელებელ პირებს. პერსონალთან გაფორმებულია შრომითი ხელშეკრულებები.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

თ. ცუცქერიძე

ნ. მანუაშვილი



ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით, „მსუბუქი ავტომობილის ელექტრო და ელექტრონული სისტემების შეკეთება“ პროგრამისათვის წარმოდგენილი განმახორციელებელი პერსონალის რაოდენობა და დატვირთვის განაწილება საკმარისია, რეალისტურია და უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის მდგრად, უწყვეტ და ხარისხიან განხორციელებას.
ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

3. პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებელს აქვს პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია

პროგრამით დასახული სწავლის შედეგებით გამომუშავების და კომპეტენტური შეფასების მიზნით პროფესიულ მასწავლებლებად ძირითადად მოწვეული არიან აწსუ-ს მშენებლობის და ტრანსპორტის დეპარტამენტის აკადემიური პერსონალი, რომელთაც გააჩნიათ, როგორც პროფესიული, ასევე აკადემიური სწავლების სტუდენტებთან ტრანსპორტის სერვისული მომსახურეობის კუთხით მუშაობის მრავალწლიანი გამოცდილება.

პროფესიული განათლების მასწავლებლების პირად საქმეებში დაცულია პერსონალის კვალიფიკაციის დამადასტურებელი დიპლომები და სერტიფიკატები, რომელთა საფუძველზეც, პროფესიული განათლების მასწავლებელთა კვალიფიკაცია იძლევა მოდულების სწავლის შედეგები მიღწევის შესაძლებლობას. მათი კვალიფიკაცია შეესაბამება დაწესებულების მიერ დადგენილ საკვალიფიკაციო მოთხოვნებს.

ვიზიტის პერიოდში განხორციერლდა მოდულების განმახორციელებელ პირებთან ინტერვიუ. გამოიკვეთა, რომ პროგრამის განმახორციელებლებს ხშირად უტარდებათ სხვადასხვა ტიპის კვალიფიკაციის ასამაღლებელი კურსები თუ ტრენინგები როგორც დარგობრივ კომპეტენციაში, ასევე, სწავლებისა და შეფასების მიმართულებით.

ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით, პროგრამის განმახორციელებელ პროფესიული განათლების მასწავლებელთა კვალიფიკაცია, პრაქტიკული გამოცდილება, პროფესიული განვითარების ისტორია და სამუშაო დატვირთვის რაციონალური განაწილება სრულად უზრუნველყოფს „მსუბუქი ავტომობილის ელექტრო და ელექტრონული სისტემების შეკეთება“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ხარისხიან, უწყვეტ და მდგრად განხორციელებას. მასწავლებელთა კომპეტენციები პირდაპირ უწყობს ხელს პროფესიული სტუდენტების მიერ პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების ეფექტიან მიღწევას.

ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

4. საგანმანათლებლო პროგრამას ჰყავს პსდ-ს მიერ განსაზღვრული, შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი

102

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: თ. ცუცქერიძე

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ე. ბუბია

ნ. მანუაშვილი



საგანმანათლებლო პროგრამას „მსუბუქი ავტომობილის ელექტრო და ელექტრონული სისტემების შეკეთება“ ჰყავს პსდ-ს მიერ განსაზღვრული შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი.

ვიზიტის დროს გადამოწმდა პროგრამის ხელმძღვანელის პირადი საქმე და მოხდა მასთან გასაუბრება. ექსპერტთა შეფასებით, პროგრამას ჰყავს დაწესებულების მიერ განსაზღვრული, შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი, რომლის ხელმძღვანელობა განსაზღვრულია პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამტკიცების აქტით, ხოლო ფუნქცია-მოვალეობები სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესით.

ექსპერტთა ჯგუფმა განახორციელა ინტერვიუება პროგრამის ხელმძღვანელთან. ინტერვიუების პროცესში ნათლად გამოჩნდა, რომ პროგრამის ხელმძღვანელი იცნობს საკუთარ ფუნქცია-მოვალეობებს და მუშაობს პროგრამის განვითარების მიმართულებით. მონაწილეობა აქვს მიღებული საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებაში, პარტნიორი ორგანიზაციების მომიებაში, პროფესიული განათლების მასწავლებლების შერჩევასა და მატერიალური რესურსების მობილიზებაში, პროფესიულ სტუდენტთა შეფასების ინსტრუმენტების ვალიდაციის პროცესში.

ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

5. საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია ელექტრონული სახით ან დაწესებულების ბიბლიოთეკაში მატერიალური სახით და გამოიყენება სასწავლო პროცესში

„მსუბუქი ავტომობილის ელექტრო და ელექტრონული სისტემების შეკეთება“ საგანმანათლებლო პროგრამაში - (მოდულებში) მითითებული საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია ნაწილი ბეჭდური და ნაწილი ელექტრონული სახით დაწესებულების ბიბლიოთეკაში.

საბიბლიოთეკო რესურსები დამუშავებულია სათანადო წესით და მათ მითითებული აქვს კეტერები.

ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

6. სსსმ პირებს წვდომა აქვთ პროგრამით გათვალისწინებულ ან ინდივიდუალური სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სასწავლო რესურსებთან, რომლებიც ადაპტირებულია სსსმ პირების საჭიროებებისა და მოთხოვნილებების შესაბამისად

103

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: თ. ცუცქერიძე -----

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: -----

ა. აბოიძე

ნ. მანუაშვილი



დაწესებულებას შემუშავებული და დამტკიცებული აქვს ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავების მეთოდოლოგია, ასევე ჰყავს ინკლუზიური პროფესიული განათლების სპეციალისტი, რომელიც მეთოდოლოგიის და სსსმ პირების საჭიროებების საფუძველზე უზრუნველყოფენ პროგრამით ან ინდივიდუალური სასწავლო გეგმით გათვალისწინებული სასწავლო რესურსების ადაპტირდება სსსმ პირების საჭიროებებისა მოთხოვნილებების შესაბამისად.

ავტორიზაციის ვიზიტის ფარგლებში ექსპერტთა ჯგუფმა შეისწავლა დაწესებულების სასწავლო პირობები, რომლებიც გამოიყენება „მსუბუქი ავტომობილის ელექტრო და ელექტრონული სისტემების შეკეთება“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებისთვის. სასწავლო სივრცეების დათვალიერებისა და პროგრამის განმახორციელებელ პერსონალთან ჩატარებული ინტერვიუების საფუძველზე დადგინდა, რომ პროგრამის სასწავლო გარემოები უზრუნველყოფს პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევისთვის აუცილებელ ინფრასტრუქტურულ პირობებს, მათ შორის ინკლუზიური სასწავლო გარემოს შექმნას.

დაწესებულების იმ სასწავლო კორპუსში, სადაც განთავსებულია პროგრამის სასწავლო სივრცეები, უზრუნველყოფილია მოქმედ სტანდარტებთან შესაბამისი ხელმისაწვდომობა. კერძოდ, A და C სივრცეები განთავსებულია XI კორპუსის პირველ სართულზე და ადაპტირებულია სსსმ პირებისათვის. ბიბლიოთეკისა და საინფორმაციო რესურსების გამოყენება ხელმისაწვდომია სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე სტუდენტებისთვისაც. ელ-ბიბლიოთეკის ვებ-გვერდი ადაპტირებულია სსსმ სტუდენტებისათვის. მაგალითად: ვებ-გვერდს გააჩნია აუდიო წამკითხველი, აქვს კონტრასტის მართვის და შრიფტის გაზრდის ფუნქცია.

ექსპერტთა შეფასებით, დაწესებულების მიერ უზრუნველყოფილი ინფრასტრუქტურა და სასწავლო სივრცეების ადაპტირება სრულ თანხვედრაშია პროფესიული განათლების სტანდარტის მოთხოვნებთან.

ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

7. პსდ-ს ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობა.

დაწესებულების მიერ წარმოდგენილ იქნა პროგრამის საპროგნოზო ბიუჯეტი, რომლის მიხედვითაც განსაზღვრულია რომლის მიხედვითაც განსაზღვრულია რენტაბელობის ზღვარი (10 პროფესიული სტუდენტი), ძირითადი შემოსავლები და ხარჯები. ბიუჯეტის მიხედვით ირკვევა, რომ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „მსუბუქი ავტომობილის ელექტრო და ელექტრონული სისტემების შეკეთება“ ფინანსურად მდგრადია, დაწესებულების ბიუჯეტი შედგება შემოსავლებისა და ხარჯების ნაწილისაგან, მისი მთავარი შემოსავლების წყაროა ვაუჩერული დაფინანსება, რომელიც სრულად აკმაყოფილებს პროგრამის შეუფერხებლად განხორციელების საჭიროებებს.

ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

Handwritten signature

თ. ცუცქერიძე

ნ. მანუაშვილი

Handwritten signature



დასტურდება (მტკიცებულებები):

- პსდ-ს მიერ შევსებული ფორმა პროგრამის განხორციელებისთვის საჭირო ადამიანური რესურსის შესახებ, პერსონალის პირადი საქმეები;
- პსდ-ს მიერ შევსებული ფორმა პროგრამის განხორციელებისთვის საჭირო მატერიალური რესურსის შესახებ, მატერიალური რესურსების ფლობის დოკუმენტაცია;
- ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავების წესი;
- პროფესიული განათლების მასწავლებლების სამსახურში აყვანის წესი;
- პროფესიული განათლების მასწავლებლების დატვირთვის გაანგარიშების წესი;
- ბიბლიოთეკით სარგებლობის წესი;
- პარტნიორ ორგანიზაციებთან გაფორმებული თანამშრომლობის მემორანდუმები;
- დაწესებულების/ პრაქტიკის ობიექტის პროგრამის განსახორციელებლად საჭირო მატერიალური რესურსების შეფასების შედეგები;
- ბიბლიოთეკაში არსებული სასწავლო რესურსი დამუშავებული საბიბლიოთეკო წესის შესაბამისად;
- პროგრამის საპროგნოზო ბიუჯეტი;
- წინასწარი ხელშეკრულებები პროფესიულ მასწავლებლებთან;
- ინტერვიუს და დათვალიერების შედეგები.

შეფასება:

- ☒ შეესაბამება
- ☐ მეტწილად შეესაბამება
- ☐ ნაწილობრივ შეესაბამება
- ☐ არ შეესაბამება

2.3 საგანმანათლებლო პროგრამების შეფასება და განვითარება

2.3.1 პროგრამის განვითარება უზრუნველყოფილია პროგრამების შეფასებისა და განვითარების პსდ-ში მოქმედი მექანიზმით

1. პროგრამის შეფასების მექანიზმი ითვალისწინებს შრომის ბაზრის მოთხოვნებს, უკუკავშირის დაინტერესებული მხარეებისგან, საუკეთესო ადგილობრივ ან/და საერთაშორისო პრაქტიკას და სხვ.;

105

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: თ. ცუცქერიძე

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ა. ბერიძე

ნ. მანუაშვილი



2. პსდ ანალიზებს პროგრამის განხორციელების ხარისხის შეფასების შედეგებს და საჭიროების შემთხვევაში ახორციელებს ცვლილებებს საგანმანათლებლო პროგრამაში/მოდულებში მის მიერ განსაზღვრული წესებისა და პროცედურების შესაბამისად.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. პროგრამის შეფასების მექანიზმი ითვალისწინებს შრომის ბაზრის მოთხოვნებს, უკუკავშირს დაინტერესებული მხარეებისგან, საუკეთესო ადგილობრივ ან/და საერთაშორისო პრაქტიკას და სხვა

„პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის, განხორციელებისა და შეფასების წესის“ მიხედვით, აწსუ-ში შემუშავებულია პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შეფასების სისტემა, რომელიც გამოიყენება სასწავლო პროცესის ხარისხის გასაუმჯობესებლად. აკადემიური საბჭოს 2021 წლის 9 ნოემბრის N8 (21/22) დადგენილებით დამტკიცებულია პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ინიცირების, შემუშავების, შეფასების, განვითარების, მასში ცვლილების შეტანის და გაუქმების წესი, რომლის თანახმად საგანმანათლებლო პროგრამის შეფასება მოიცავს ისეთ პროცესებს, როგორიცაა: პროგრამების შინაარსობრივი ასპექტების შეფასება; სწავლა-სწავლების პროცესის მიმდინარეობის ადეკვატურობის დადგენა; მოდულის განმახორციელებელი პირების საქმიანობის შეფასება; მატერიალურ-ტექნიკური რესურსის, მასალა-წედლეულის საკმარისობის და ავთენტურობის შეფასება; ვერიფიკაცია.

პროფესიული საგანმანათლო პროგრამის თითოეული სტანდარტი მიზნად ისახავს ბაზრის მოთხოვნებზე ორიენტირებულ პროფესიული პროგრამების შეთავაზების გზით, საქართველოში პროფესიული განათლების გაუმჯობესება-განვითარებას და მაღალი საერთაშორისო სტანდარტის დაწესებას.

დადგენილი წესების შესაბამისად, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შეფასება ეფუძნება რამდენიმე ურთიერთდაკავშირებულ კომპონენტს, მათ შორის: შრომის ბაზრის კვლევის შედეგების რეგულარულ ანალიზს; დაინტერესებული მხარეების — პროფესიული სტუდენტების, პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის, დამსაქმებლებისა და პარტნიორი ორგანიზაციების უკუკავშირს; ადგილობრივი და საერთაშორისო პრაქტიკის გათვალისწინებას; ასევე პროგრამის შინაარსისა და მისაღწევი შედეგების პერიოდულ გადახედვას. აღნიშნული მიდგომა უზრუნველყოფს პროგრამების აქტუალობისა და შესაბამისობის სისტემურ შემოწმებას როგორც შიდა, ისე გარე მოთხოვნებთან მიმართებით.

ამასთან, დაწესებულებაში მოქმედი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის, შემუშავების, განხორციელებისა და შეფასების მეთოდოლოგია დეტალურად განსაზღვრავს პროგრამების შიდა შეფასების პროცედურებს, შეფასების განხორციელების პერიოდულობას, ცვლილებების შეტანის წესებსა და საფუძვლებს, ასევე პროცესში ჩართული პასუხისმგებელი პირების ფუნქციებს.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

თ. ცუცქერიძე

ნ. მანუაშვილი



მეთოდოლოგიაში მკაფიოდ არის გამოკვეთილი ხარისხის უზრუნველყოფის ციკლის სრული ლოგიკა, რაც უზრუნველყოფს პროგრამების უწყვეტ მონიტორინგს და დაგეგმილი შედეგების მიღწევის კონტროლს.

ჩატარებული გასაუბრებების საფუძველზე დადგინდა, რომ კოლეჯის პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური სისტემურად ახორციელებს ხარისხის მართვის ფუნქციებს. სამსახური ატარებს პერიოდულ კვლევებს, იყენებს წინასწარ შემუშავებულ და დამტკიცებულ კითხვარებს, აანალიზებს პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის, პროფესიული სტუდენტებისა და დამსაქმებლების შეფასებებს და ამზადებს რეკომენდაციებს პროგრამების გაუმჯობესების მიზნით. კვლევების შედეგები გამოიყენება როგორც მიმდინარე სასწავლო პროცესის დახვეწისა და ოპტიმიზაციისთვის, ისე პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შემდგომი განვითარების დაგეგმვისას.

ექსპერტთა შეფასებით, დაწესებულებაში არსებული ხარისხის უზრუნველყოფის რეგულაციები და პრაქტიკა ქმნის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, განხორციელებისა და განვითარების ეფექტიან და მდგრად სისტემას, რაც ხელს უწყობს პროგრამების ხარისხის შენარჩუნებასა და გაუმჯობესებას.

ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

2.3სდ ანალიზებს პროგრამის განხორციელების ხარისხის შეფასების შედეგებს და საჭიროების შემთხვევაში ახორციელებს ცვლილებებს საგანმანათლებლო პროგრამაში/მოდულებში მის მიერ განსაზღვრული წესებისა და პროცედურების შესაბამისად

დაწესებულებას შემუშავებული აქვს „პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის, განხორციელებისა და შეფასების მეთოდოლოგია“, რომელიც განსაზღვრავს ჩარჩო დოკუმენტის/პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტის საფუძველზე შექმნილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავების, დამტკიცებისა, ცვლილებების შეტანისა და განვითარების პროცედურებს. პროგრამაში ცვლილების შეტანა ხორციელდება წინამდებარე წესით დადგენილი პროცედურებით. დაწესებულება ანალიზებს პროგრამის განხორციელების ხარისხის შეფასების შედეგებს და საჭიროების შემთხვევაში, ახორციელებს ცვლილებებს საგანმანათლებლო პროგრამაში/მოდულებში. პროგრამაში ცვლილებები(პროფესიულ საგანმანათლებლო სტანდარტთან შესაბამისობაში მოყვანა) განხორციელებულია აღნიშნული წესის დაცვით,რაც დასტურდება შესაბამისი მტკიცებულებებით. ასევე, უნივერსიტეტში შემუშავებულია ხარისხის შიდა უზრუნველყოფისა და ვერიფიკაციის მექანიზმები, რომლის მიზანია პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განვითარება, სწავლებისა და შეფასების თანამედროვე მეთოდების დანერგვის ხელშეწყობა, სასწავლო პროცესის ხარისხის ამაღლება. წესების საფუძველზე პროგრამაში ცვლილებების შეტანა შესაძლებელია პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შეფასების მოქმედი სისტემით გათვალისწინებული ღონისძიებების შედეგების ანალიზის, პროფესიულ საგანმანათლებლო სტანდარტში შეტანილი ცვლილებების, შრომის ბაზრის მოთხოვნის (არჩევითი მოდულის შემთხვევაში) ან სხვა გარემოებების საფუძველზე. პროგრამაში ცვლილების ინიცირება შეუძლია აწესს-ს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსს, პროგრამის ხელმძღვანელს და პროგრამის

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

თ. ცუცქერიძე

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ე. ბუბია

ნ. მანუაშვილი



განმახორციელებელი პროფესიული განათლების მასწავლებელს. პროგრამაში ცვლილების შეტანა ხორციელდება წინამდებარე წესით დადგენილი პროცედურებით. აწესი გაანალიზებს პროგრამის განხორციელების ხარისხის შეფასების შედეგებს და საჭიროების შემთხვევაში განმახორციელებელს ცვლილებებს საგანმანათლებლო პროგრამაში/მოდულებში მის მიერ განსაზღვრული წესებისა და პროცედურების შესაბამისად. გარდა ამისა, პროგრამის ხელმძღვანელის ვალდებულებად მიჩნეულია ზრუნვა პროგრამის განვითარებაზე, პროგრამის ადეკვატურ განხორციელებაზე, პრაქტიკისა და თეორიის კომპონენტის შეთავსებაზე, პროგრამის განსახორციელებლად საჭირო მატერიალური და ადამიანური რესურსების განვითარებაზე.

ზემოაღნიშნული ინფორმაციის დადასტურების მიზნით, ექსპერტთა ჯგუფი გაესაუბრა ხარისხის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელ პირებსა და პროგრამის ხელმძღვანელს. პროგრამის ხელმძღვანელიც და ხარისხის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელი პირებიც სრულად აცნობიერებენ პროგრამის შეფასებისა და მიღებული შედეგების მნიშვნელოვნებას პროგრამის განვითარების პროცესს.

ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

- პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავების, შეფასების და განვითარების წესი;
- აწესი საგანმანათლებლო პროგრამების ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკა - EP-QA პოლიტიკა;
- აწესი პროფესიული განათლების ცენტრის სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი.
- ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმები;
- კითხვარების ფორმები;
- გამოკითხვის შედეგები;
- პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში ცვლილებების შეტანის დამადასტურებელი დოკუმენტი(აკადემიური საბჭოს დადგენილება);
- გასაუბრების შედეგები

შეფასება:

- ☒ შეესაბამება
- ☐ მეტწილად შეესაბამება
- ☐ ნაწილობრივ შეესაბამება
- ☐ არ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

Handwritten signature

თ. ცუცქერიძე

ნ. მანუაშვილი

Handwritten signature



2.4 სასწავლო პროცესის ორგანიზება და პროფესიულ სტუდენტთა შეფასება

2.4.1 სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სასწავლო მიზნების მიღწევას

1. პროგრამა ხორციელდება სასწავლო გეგმის/გეგმების შესაბამისად;
2. პსდ უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის ორგანიზებას პროფესიულ სტუდენტთა ინტერესების გათვალისწინებით და მოქნილად რეაგირებს შემხვედრ საჭიროებებზე;
3. სასწავლო პროცესი ითვალისწინებს სწავლების თანამედროვე მეთოდებისა და დარგის შესაბამისი ტექნოლოგიების გამოყენებას;
4. პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევისას გათვალისწინებულია პროფესიულ სტუდენტთა ინდივიდუალური საჭიროებები;
5. პსდ-ს თანამშრომლობა პრაქტიკის კომპონენტის განმახორციელებელ პარტნიორთან/სასწავლო საწარმოსთან/თანაგანმახორციელებელ დაწესებულებასთან დასტურდება შესაბამისი ხელშეკრულებით/ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმით;
6. სასწავლო პროცესი მიმდინარეობს უსაფრთხო სასწავლო/სამუშაო გარემოში, პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. პროგრამა ხორციელდება სასწავლო გეგმის/გეგმების შესაბამისად

დაწესებულებას შემუშავებული და დამტკიცებული აქვს სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამისთვის „მსუბუქი ავტომობილის ელექტრო და ელექტრონული სისტემების შეკეთება“ შემუშავებული და დამტკიცებულია შესაბამისი სასწავლო გეგმა. პროგრამის მოდულები იმგვარადაა აწყობილი, რომ ერთმენათთან დაკავშირებულია ლოგიკურად. სასწავლო პროცესი მიმდინარეობს პროგრამის სასწავლო გეგმის საფუძველზე შედგენილი სასწავლო ცხრილების შესაბამისად, სალექციო, პრაქტიკული და ლაბორატორიული მეცადინეობების ფორმით.

პროგრამის ფარგლებში შედგენილია სასწავლო გეგმა ქართულენოვანი და არაქართულენოვანი პროფესიული სტუდენტებისათვის. არსებული სასწავლო გეგმა უზრუნველყოფს პროგრამის თანმიმდევრულ განხორციელებას. პროგრამის შემუშავების, შეფასების და განვითარების წესის მიხედვით, თუ მოდული არის სხვა მოდულზე დაშვების წინაპირობა, სავალდებულოა ამ მოდულებს შორის სწავლება უნდა განხორციელდეს არაუმეტეს 10 დღიანი (კალენდარული დღე) ინტერვალით, რათა არ შეიქმნას განმეორებითი შეფასების ჩატარების პრობლემა. სასწავლო გეგმა სწორედ ამ პრინციპით არის აგებული და დაცულია დროის შუალედი განმეორებითი შეფასებისათვის.

ვიზიტის ფარგლებში ექსპერტთა მიერ შესწავლილი სასწავლო გეგმა წარმოდგენილია მკაფიო, თანმიმდევრულ და ლოგიკურად გააზრებულ სტრუქტურად. დადგინდა, რომ გეგმა სრულად შეესაბამება სამუშაო სტანდარტის მოთხოვნებს და შეიცავს მის მიერ რეკომენდირებულ უმთავრეს ელემენტებს.

ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები



2. პსდ უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის ორგანიზებას პროფესიულ სტუდენტთა ინტერესების გათვალისწინებით და მოქნილად რეაგირებს შემხვედრ საჭიროებებზე

დაწესებულება უზრუნველყოფს ეფექტიანი სასწავლო გარემოს შექმნას პროფესიულ სტუდენტთა ინტერესების გათვალისწინებით. დაწესებულებაში ხორციელდება სასწავლო პროცესის მუდმივი მონიტორინგი და პროფესიულ სტუდენტებთან ეფექტური უკუკავშირის მეშვეობით ხდება რეაგირება მათ ინტერესებსა და საჭიროებებზე. პროფესიულ სტუდენტთა ინდივიდუალური საჭიროებები პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევისას გათვალისწინებულია, რისთვისაც დაწესებულებას აქვს აღწერილი ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შედგენის პროცედურა.

ასევე, პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე ჩარიცხვისა და სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი არეგულირებს პროფესიული სტუდენტის შემდგომი განათლებით უზრუნველყოფას, პროგრამის გაუქმების შემთხვევაში. წესის მიხედვით, სტუდენტებს აქვთ, მობილობის უფლება.

აწს-ს ვერიფიკაციის წესი ითვალისწინებს, მოდულების შეფასების მექანიზმებს, რომლებშიც გათვალისწინებულია სტუდენტების ობიექტური შეფასება.

პროგრამის ხელმძღვანელი და პროგრამის განმახორციელებელი პროფესიული განათლების მასწავლებლები არიან კვალიფიციური სპეციალისტები, რომლებიც კარგად იცნობენ დარგის საჭიროებებს. შესაბამისად, პერიოდულად განხორციელდება პროფესიული სტუდენტების მიერ განვლილი მოდულების ფარგლებში მიღწეული შედეგების შეფასება და საჭიროები შემთხვევაში, ცვლილებების განხორციელების შესახებ წინადადების წარედგინება ფაკულტეტის დეკანს.

უნივერსიტეტის შიდა მარეგულირებელი აქტების, ადმინისტრაციასთან და პროგრამის ხელმძღვანელთან ექსპერტთა ჯგუფის გასაუბრების შედეგების შეფასებით დასტურდება, რომ დაწესებულება სასწავლო პროცესის ორგანიზებისას ითვალისწინებს პროფესიულ სტუდენტთა ინტერესებს და მოქნილად ახორციელებს რეაგირებას შემხვედრ საჭიროებებზე.

ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

3. სასწავლო პროცესი ითვალისწინებს სწავლების თანამედროვე მეთოდებისა და დარგის შესაბამისი ტექნოლოგიების გამოყენებას

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „მსუბუქი ავტომობილის ელექტრო და ელექტრონული სისტემების შეკეთება“ ხორციელდება სწავლების თანამედროვე მეთოდებისა და დარგის საჭიროებების გათვალისწინებით. პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამის

110

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: თ. ცუცქერიძე

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ე. ბუბია

ნ. მანუაშვილი



განსახორციელებლად გამოყოფილი აუდიტორია აღჭურვილია სწავლებისათვის საჭირო ტექნიკითა და რესურსით. პროგრამის განხორციელებისათვის სასწავლო სივრცეები აღჭურვილია თანამედროვე ელექტრული და ელექტრონული სტენდებით, შესაბამისი მანქანა-მოწყობილობებით. სასწავლო გარემო აღჭურვილია საჭირო, გამართული ტექნიკით, რაც საშუალებას იძლევა გამოყენებული იქნას სწავლების თანამედროვე მეთოდები და დარგის შესაბამისი ტექნოლოგიები.

ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

4. პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევისას გათვალისწინებულია პროფესიულ სტუდენტთა ინდივიდუალური საჭიროებები

პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევისას გათვალისწინებულია პროფესიულ სტუდენტთა ინდივიდუალური საჭიროებები; დოკუმენტების შესწავლისას და გასაუბრების საფუძველზე დადგინდა, რომ პროგრამის განმახორციელებელი პერსონალი მზად არის შესაბამისი ქმედებისათვის.

ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

5. პსდ-ს თანამშრომლობა პრაქტიკის კომპონენტის განმახორციელებელ პარტნიორთან/სასწავლო საწარმოსთან/ თანაგანმახორციელებელ დაწესებულებასთან დასტურდება შესაბამისი ხელშეკრულებით/ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმით აღნიშნული პროგრამა ხორციელდება იმიტირებულ სასწავლო გარემოში, შესაბამისად დაწესებულებისთვის პრაქტიკის ობიექტის საჭიროება არ არის.

ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

6. სასწავლო პროცესი მიმდინარეობს უსაფრთხო სასწავლო/სამუშაო გარემოში, პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „მსუბუქი ავტომობილის ელექტრო და ელექტრონული სისტემების შეკეთება“ თავისი სპეციფიკიდან გამომდინარე დაკავშირებულია ავტომობილის ელექტრულ და ელექტრონულ სისტემებთან, სადიაგნოსტიკო მოწყობილობებთან, ელექტრულ წრედებთან, აკუმულატორებთან და სხვა ტექნიკურ საშუალებებთან, რომელთა გამოყენებისას აუცილებელია ელექტრო უსაფრთხოების წესების მკაცრი დაცვა.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: თ. ცუცქერიძე

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ე. ბუბია

ნ. მანუაშვილი



პროგრამის განმახორციელებელმა დაწესებულებამ უზრუნველყო შესაბამისი უსაფრთხო სასწავლო გარემოს შექმნა, რომელიც აღჭურვილია ავტომობილის ელექტრო და ელექტრონული სისტემების შესწავლისა და შეკეთებისთვის საჭირო ტექნიკური საშუალებებით, სადიაგნოსტიკო აპარატურით, ხელსაწყოებითა და სასწავლო რესურსებით.

სასწავლო სივრცეებში დაცულია ელექტრო უსაფრთხოების მოთხოვნები, განთავსებულია შესაბამისი გამაფრთხილებელი ნიშნები, უსაფრთხოების მანიშნებლები და ინსტრუქციები ელექტრულ მოწყობილობებთან მუშაობის წესების შესახებ. პროფესიულ სტუდენტებს პრაქტიკული სამუშაოების დაწყებამდე მიეწოდებათ ინფორმაცია ელექტროენერგიასთან დაკავშირებული საფრთხეების, უსაფრთხო მუშაობის წესებისა და პრევენციული ღონისძიებების შესახებ.

სასწავლო პროცესის ფარგლებში გათვალისწინებულია ინდივიდუალური დაცვის საშუალებების გამოყენება და უსაფრთხო სამუშაო პირობების უზრუნველყოფა. სტუდენტები პრაქტიკულ დავალებებს ასრულებენ შესაბამისი ზედამხედველობის პირობებში, რაც ამცირებს შესაძლო რისკებს და ხელს უწყობს უსაფრთხო სამუშაო ჩვევების ჩამოყალიბებას.

პროგრამის განხორციელების უსაფრთხოების უზრუნველყოფაში ჩართული არიან პასუხისმგებელი პირები და დაწესებულების შრომის უსაფრთხოების ორი სპეციალისტი, რომლებიც ახორციელებენ რისკების შეფასებას, უსაფრთხოების წესების შესრულების მონიტორინგს და შესაბამისი პრევენციული ღონისძიებების დაგეგმვას.

თუ პროგრამის ცალკეული პრაქტიკული კომპონენტი ხორციელდება პარტნიორი ორგანიზაციის ბაზაზე, დაწესებულება შესაბამისი ხელშეკრულებებით უზრუნველყოფს პრაქტიკის ობიექტის მიერ შრომის უსაფრთხოების მოთხოვნების დაცვას და პროფესიული სტუდენტებისთვის უსაფრთხო სამუშაო პირობების შექმნას.

ადგილზე ვიზიტისა და ინტერვიუების საფუძველზე გამოიკვეთა, რომ პროგრამის განხორციელებისთვის შექმნილი სასწავლო გარემო შეესაბამება უსაფრთხოების დადგენილ მოთხოვნებს, პრაქტიკული სამუშაოები მიმდინარეობს შესაბამისი კონტროლის პირობებში და უზრუნველყოფილია პროფესიული სტუდენტების უსაფრთხო სწავლა და პრაქტიკული კომპეტენციების განვითარება.

ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:



- „მსუბუქი ავტომობილის ელექტრო და ელექტრონული სისტემების შეკეთება“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა, სასწავლო გეგმა;
- აწსუ-ს აკად საბჭოს დადგენილება №60(25/26), 15.06.26წ.
- აწსუ სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი;
- ინდ. სასწავლო გეგმების შემუსავების წესი;
- შრომის უსაფრთხოების პოლიტიკა;
- ინტერვიუს და დათვალიერების შედეგები.

შეფასება:

- ☒ შეესაბამება
- ☐ მეტწილად შეესაბამება
- ☐ ნაწილობრივ შეესაბამება
- ☐ არ შეესაბამება

2.4.2 შეფასების სისტემა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების დადასტურებას

1. პროგრამის მიზნებისთვის გამოყენებული შეფასების სისტემა არის ვალიდური, სანდო, გამჭვირვალე, სამართლიანი, ობიექტური;
2. პროფესიულ სტუდენტთა შეფასების სისტემა ითვალისწინებს ვერიფიკაციის მექანიზმს;
3. პსდ უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას შეფასების უწყისის გაფორმებიდან 3 წლის ვადით;
4. პროფესიულ სტუდენტთა შეფასების შედეგები გამოყენებულია მათი შემდგომი განვითარებისათვის.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. პროგრამის მიზნებისთვის გამოყენებული შეფასების სისტემა არის ვალიდური, სანდო, გამჭვირვალე, სამართლიანი, ობიექტური

დაწესებულებას შემუშავებული და დამტკიცებული აქვს სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი, რომელშიც გაწერილია პროფესიულ სტუდენტთა სწავლის შედეგების შეფასების საკითხები. წესი მოიცავს: შეფასების ინსტრუმენტის შემუშავების პროცედურების, შეფასების ინსტრუმენტების შემუშავების, პროფესიულ სტუდენტთა ინფორმირებასთან დაკავშირებული საკითხების, აპელაციის წესის, შეფასების

113

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: თ. ცუცქერიძე

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ა. ბერიძე

ნ. მანუაშვილი



პროცესის ადმინისტრირების საკითხების, განმეორებითი შეფასების განხორციელების პროცედურის და წესის, მტკიცებულებების მოპოვება-შენახვის წესის შესახებ ინფორმაციებს.

შეფასების ინსტრუმენტი გადის ვალიდაციის პროცესს. პროფესიული განათლების მასწავლებელი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის მოდულის/მოდულების განხორციელებამდე არაუგვიანეს 2 კვირისა პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელს წარუდგენს კალენდარულ გეგმასა და შეფასების ინსტრუმენტებს ვალიდაციისათვის. ვალიდატორი შეიძლება იყოს შესაბამისი დარგის უნივერსიტეტის აკადემიური პესონალი, რომელიც არ მონაწილეობს მოდულის განხორციელებაში. ვალიდაციის შევსებული (ხელმოწერით დადასტურებული) ფორმები ინახება შესაბამისი პროგრამის ხელმძღვანელთან. შეფასების მიზნებისათვის, გამოიყენება მხოლოდ ვალიდური შეფასების ინსტრუმენტები.

ზემოაღნიშნული დასტურდება პროგრამის ხელმძღვანელთან და განმახორციელებლებთან ინტერვიუებით

დაწესებულებამ წარადგინა შემუშავებული შეფასების ინსტრუმენტები, მათ შორის ფორმატები, დავალებები და შესაბამისი ინსტრუქციები, რაც წარმოაჩენს შეფასების პროცესის სტრუქტურირებას და სტანდარტებთან შესაბამისობას.

ჩვენს მიერ შერჩევით შემოწმდა შეფასების ინსტრუმენტები. ინსტრუმენტები შედგენილია და შესრულებულია კანონმდებლობის და დაწესებულების რეგულაციების დაცვით.

ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

2. პროფესიულ სტუდენტთა შეფასების სისტემა ითვალისწინებს ვერიფიკაციის მექანიზმს

აწსუ პროფესიულ სტუდენტთა შეფასების სისტემა ითვალისწინებს ვერიფიკაციის მექანიზმს, რომელშიც გაწერილია შეფასების სიტემის ვერიფიკაციის მიდგომები, ვერიფიკაციის დაგეგმვისა და ადმინისტრირების საკითხები. შეფასების სისტემის ვერიფიკაცია ითვალისწინებს შეფასების ინსტრუმენტების, შეფასების პროცესის და შეფასების მტკიცებულებების ვერიფიკაციის პროცესს. შეფასების სისტემის ვერიფიკაციას ახორციელებს ვერიფიკაციის ჯგუფი. დოკუმენტში დარეგულირებულია ვერიფიკაციის შედეგების განხილვისა და რეაგირების მექანიზმები. ვერიფიკაციის დასკვნის პროექტის განხილვის ორგანიზებას უზრუნველყოფს ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური. ვერიფიკაციის შედეგები გამოყენებულია პროფესიული სტუდენტის შემდგომი განვითარებისათვის.

დაწესებულებამ მტკიცებულების სახით წარმოადგინა 2023–2024 და 2024–2025 სასწავლო წლების ხარისხის უზრუნველყოფის მენეჯერის ანგარიშები, რომლებშიც წარმოდგენილი იყო ექვსი მოდულის ვერიფიკაციის შედეგები. ანგარიშებს თან ერთვის შესაბამისი დასკვნები

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

თ. ცუცქერიძე

ნ. მანუაშვილი



და რეკომენდაციები. დოკუმენტებში დეტალურად იყო აღწერილი ვერიფიკაციის პროცესის ეტაპები, გამოყენებული მიდგომები და მიღებული შედეგები, რაც უზრუნველყოფს განხორციელებული საქმიანობის სრულყოფილ ასახვას.

წარმოდგენილი დოკუმენტაციისა და ადგილზე განხორციელებული შეფასების პროცესში მიღებული ინფორმაციის საფუძველზე დადასტურდა, რომ დაწესებულებას შემუშავებული და დანერგილი აქვს შეფასების სისტემის შიდა ვერიფიკაციის მექანიზმი. ვერიფიკაცია ხორციელდება შეფასების სისტემის დადგენილ მოთხოვნებთან შესაბამისობის უზრუნველყოფის მიზნით და წარმოადგენს ხარისხის უზრუნველყოფის შიდა სისტემის მნიშვნელოვან კომპონენტს.

დადგინდა, რომ ვერიფიკაციის პროცესის კოორდინაციას ახორციელებს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური/პასუხისმგებელი პირი, ხოლო შინაარსობრივ ნაწილში, საჭიროების შესაბამისად, ჩართული არიან შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე პირები. ამასთან, დაწესებულება ვერიფიკაციის პროცესში უზრუნველყოფს ინტერესთა კონფლიქტის პრევენციას, კერძოდ, ვერიფიკაციას არ ახორციელებს ის პირი, რომელმაც შეიმუშავა შეფასების ინსტრუმენტი ან მონაწილეობდა მის შემუშავებაში, რაც პროცესის ობიექტურობასა და მიუკერძოებლობას უზრუნველყოფს.

ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

3. პსდ უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას შეფასების უწყისის გაფორმებიდან 3 წლის ვადით

აწსუ პროფესიული განათლების ცენტრი უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული, სტუდენტის პორტფოლიოსათვის გათვალისწინებული მტკიცებულებების, კერძოდ: წერილობითი მტკიცებულებების, პრაქტიკული დავალების, გამოკითხვის ბლანკების(ჩეკ-ლისტი) და სხვა დოკუმენტაციის სათანადო აღრიცხვასა და შენახვას შეფასების უწყისის გაფორმებიდან 3 წლის ვადით, ხოლო შეფასების უწყისები ინახება უვადოდ

.ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

4. პროფესიულ სტუდენტთა შეფასების შედეგები გამოყენებულია მათი შემდგომი განვითარებისათვის

დაწესებულებაში პროფესიულ სტუდენტთა შეფასება განხორციელდება ინდივიდუალურად და მიღებული შედეგები გამოყენებულია მათი შემდგომი განვითარებისათვის. კერძოდ,

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

თ. ცუცქერიძე

ნ. მანუაშვილი



1. ვერიფიკაციის დროს გამოვლენილი რეკომენდაციების დადგენის შემდეგ ხდება შეჯამებული პოზიციის გაცნობა პროგრამის განხორციელებაში ჩართული და დაწესებულების დაინტერესებული პირებისათვის;
2. ვერიფიკაციის შედეგები გამოყენებული იქნება უნივერსიტეტში პროფესიული სწავლების მიმართულებით, სასწავლო პროცესის/პროგრამების გაუმჯობესების მიზნით;
3. ვერიფიკაციის შედეგები შესაძლებელია გამოყენებული იყოს პროფესიული სტუდენტის შემდგომი განვითარებისათვის. შეფასების შედეგების ანალიზის მიხედვით დაიგეგმება შესაბამისი ღონისძიებები.

ასევე, პროფესიული განათლების მასწავლებლის და პროგრამის ხელმძღვანელის მიერ პროფესიული სტუდენტი კონფიდენციალურად მიიღებს უკუკავშირს, რეკომენდაციებს სწავლის შედეგების გასაუმჯობესებლად. დაწესებულების ხარისხის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელი პირი სასწავლო პროცესის თანამშრომლებთან ერთად პერიოდულად განახორციელებს პროფესიული სტუდენტების სწავლის შედეგების შეფასების მონიტორინგს. პროფესიულ სტუდენტთა შეფასების მონიტორინგის შედეგები გათვალისწინებულ იქნება პროგრამის განვითარების კუთხითაც, რამეთუ მონიტორინგის შედეგად მიღებული ინფორმაცია გამოყენებულია საგანმანათლებლო პროგრამების გაუმჯობესების კუთხით - მაგ. შეფასების ინსტრუმენტების შეცვლა გაუმჯობესება და სხვა. პროფესიულ სტუდენტთა შეფასების შედეგები გამოყენებულია მათი შემდგომი განვითარებისათვის.

ზემოაღნიშნული დასტურდება პროფესიულ მასწავლებლებთან, პროგრამის ხელმძღვანელთან და ხარისხის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელ პირებთან გასაუბრებით.

ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

- სწავლის შედეგების შეფასების სისტემის მარეგულირებელი წესი, რომელიც ხელმისაწვდომია დაინტერესებული მხარეებისთვის;
- პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე ჩარიცხვისა და სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი
- აწეს პროფესიულ სტუდენტთა შეფასების ვერიფიკაციის წესი
- მასწავლებლებთან და ადმინისტრაციასთან ინტერვიუს შედეგები.

შეფასება:

- ☒ შეესაბამება
- ☐ მეტწილად შეესაბამება
- ☐ ნაწილობრივ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

თ. ცუცქერიძე

ნ. მანუაშვილი



☐ არ შეესაბამება

5. მატერიალური, საინფორმაციო და ფინანსური რესურსები

5.1 მატერიალური რესურსები და ინფრასტრუქტურა

5.1.1 პსდ-ს მატერიალური რესურსი და ინფრასტრუქტურა ხელს უწყობს მისი ძირითადი საქმიანობის განხორციელებას

1. დაწესებულების საქმიანობა უზრუნველყოფილია შესაბამისი ინფრასტრუქტურითა და მატერიალური რესურსით მინიმუმ ავტორიზაციის ვადით;
2. დაწესებულების ინფრასტრუქტურა, მათ შორის საერთო სარგებლობის სივრცეები და მატერიალური რესურსი დაწესებულების მიერ დადგენილი წესით ხელმისაწვდომია პროფესიული სტუდენტებისთვის;
3. დაწესებულების მართლზომიერ მფლობელობაში არსებული ყველა სივრცეში დაცულია სანიტარულ-ჰიგიენური ნორმები;
4. შენობა-ნაგებობა უზრუნველყოფილია ცენტრალური გათბობის სისტემით;
5. დაწესებულებაში მოქმედებს კანონმდებლობით დადგენილი შრომის უსაფრთხოების უზრუნველყოფის მექანიზმები;
6. დაწესებულებაში მოქმედებს სასწავლო პროცესის საჭირო მასალებითა და ნედლეულით შეუფერხებელი უზრუნველყოფის მექანიზმები;
7. ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმი ითვალისწინებს დაწესებულების რესურსების რეგულარულ შეფასებასა და განვითარებას;
8. პსდ-ს შენობა-ნაგებობაში მოწყობილია გამიჯნული სანიტარული კვანძები, რომლებიც მუდმივად მარაგდება წყლით, აქვს უწყვეტი განათება და ვენტილაცია, სათანადოდ მოწყობილია, უზრუნველყოფს პირადი ჰიგიენის დაცვის შესაძლებლობას და ხელმისაწვდომია ყველა პროფესიული სტუდენტისთვის, მათ შორის შშმ სტუდენტებისთვის;
9. ყველა სასწავლო ფართს და ბიბლიოთეკის სამკითხველო დარბაზს აქვს როგორც ბუნებრივი (გარდა სპეციფიური მიზნებისთვის გამოყენებული აუდიტორიებისა), ისე ხელოვნური განათების შესაძლებლობა;
10. სათავსოებისა და სივრცეების განლაგება ხელს უწყობს საგანმანათლებლო და ადმინისტრაციული პროცესის წარმართვას;

117

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები



11. მომხმარებლისთვის ხელმისაწვდომია პსდ-ს ბიბლიოთეკის როგორც მატერიალური, ასევე ელექტრონული საგანმანათლებლო რესურსი, რომელიც დამუშავებულია საბიბლიოთეკო წესის შესაბამისად.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. დაწესებულების საქმიანობა უზრუნველყოფილია შესაბამისი ინფრასტრუქტურითა და მატერიალური რესურსით მინიმუმ ავტორიზაციის ვადით.

დაწესებულება – სსიპ „აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი“ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებს: „ელექტრობა“, „მსუბუქი ავტომობილის ელექტრო და ელექტრონული სისტემების შეკეთება“, „მსუბუქი ავტომობილის შიგა წვის ძრავას შეკეთება“ და „მსუბუქი ავტომობილის სავალი ნაწილების შეკეთება“ – ახორციელებს ქ. ქუთაისში, ახალგაზრდობის გამზირი №98-ში (საკადასტრო კოდი: 03.06.25.121). დაწესებულების განკარგულებაშია 141 942 კვ.მ ფართობის ტერიტორია.

აღსანიშნავია, რომ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამებისთვის – „ელექტრობა და ელექტრო სისტემები“, „შიგა წვის ძრავას შეკეთება“ და „სავალი ნაწილების შეკეთება“ – გამოყოფილია დამოუკიდებელი სასწავლო სივრცე, რომლის საერთო ფართობი შეადგენს 530 კვ.მ-ს. აღნიშნულ სივრცეში განთავსებულია:

- სამი A გარემო, რომლებიც აღჭურვილია პროფესიული სტუდენტებისათვის საჭირო მატერიალურ-ტექნიკური რესურსით, პროგრამების ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით;
- ერთი A/C გარემო, რომელიც შიდა სივრცეებადაა დაყოფილი შესაბამისი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების პრაქტიკული სწავლების უზრუნველსაყოფად;
- ერთი B გარემო, გათვლილი 15 პროფესიულ სტუდენტზე. მიუხედავად იმისა, რომ აღნიშნული პროგრამები არ ითვალისწინებს B გარემოს საჭიროებას, ეს გარემო გამოიყენება სასწავლო პროცესის მხარდაჭერისა და სხვა სასწავლო აქტივობების განხორციელების მიზნით;
- სანიტარიული კვანძები, რომლებიც მოწყობილია დაწესებულების ყველა სართულზე, მათ შორის ადაპტირებულია შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებისთვის;
- პროფესიული სტუდენტებისთვის განკუთვნილი გასახდელი სივრცეები.

დაწესებულებაში მატერიალური რესურსის მართვისა და უზრუნველყოფის წესი განსაზღვრულია უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭოს 2022 წლის 18 მაისის №94 გადაწყვეტილებით დამტკიცებული დებულებით.

118

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: თ. ცუცქერიძე

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ე. ბუბია

ნ. მანუაშვილი



დაწესებულებას, პროგრამების განხორციელების უზრუნველსაყოფად, მინიმუმ ავტორიზაციის ვადით, სარგებლობაში აქვს შესაბამისი შენობა-ნაგებობები, სასწავლო და ადმინისტრაციული ინფრასტრუქტურა, ავეჯი, კომპიუტერული ტექნიკა, სპეციალიზებული აპარატურა, ინვენტარი და პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელებისთვის საჭირო სასწავლო გარემოები (A, B და A/C გარემოები).

პროგრამების განხორციელებისთვის აუცილებელი მატერიალური რესურსის დროულ და უწყვეტ უზრუნველყოფას პროგრამების ხელმძღვანელებისთვის ახორციელებს პროფესიული განათლების ცენტრის მატერიალური რესურსების მენეჯერი, დადგენილი პროცედურების შესაბამისად.

ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

2. დაწესებულების ინფრასტრუქტურა, მათ შორის საერთო სარგებლობის სივრცეები და მატერიალური რესურსი დაწესებულების მიერ დადგენილი წესით ხელმისაწვდომია პროფესიული სტუდენტებისთვის.

დაწესებულებაში მოქმედი „პროფესიული განათლების ცენტრის სასწავლო პროცესისა და ხარისხის უზრუნველყოფის მარეგულირებელი წესის“ შესაბამისად, პროფესიული სტუდენტებისთვის უზრუნველყოფილია სასწავლო პროცესის სრულფასოვნად წარმართვისათვის აუცილებელ მატერიალურ-ტექნიკურ და საინფორმაციო რესურსებზე თანაბარი ხელმისაწვდომობა. სტუდენტები სარგებლობენ პროგრამის განხორციელებისთვის საჭირო მატერიალურ-ტექნიკური ბაზით, სასწავლო რესურსებით, ბიბლიოთეკის ფონდით, კომპიუტერული საინფორმაციო ქსელითა და სხვა შესაბამისი ინფრასტრუქტურით.

დოკუმენტის მიხედვით, პროფესიულ სტუდენტებს პრაქტიკული სწავლების კომპონენტის განხორციელების მიზნით უზრუნველყოფილი აქვთ შესაბამისი პრაქტიკული ბაზა.

ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

3. დაწესებულების მართლზომიერ მფლობელობაში არსებული ყველა სივრცეში დაცულია სანიტარულ-ჰიგიენური ნორმები;

დაწესებულების წარმომადგენლობითი საბჭოს 2024 წლის 12 თებერვლის №74 დადგენილებით დამტკიცებული დოკუმენტის – „სანიტარული ნორმების დაცვის, წესრიგის დაცვის, სამედიცინო დახმარების აღმოჩენის, სახანძრო და შრომის უსაფრთხოების

119

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ა. აბოიძე

ბ. მანუაშვილი



უზრუნველყოფის მექანიზმებისა და ადაპტირებული გარემოს განვითარების გეგმის დამტკიცების შესახებ – შესაბამისად, დასუფთავების ხარისხისა და სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვის უშუალო კონტროლს ახორციელებენ კორპუსის კომენდანტები, ხოლო საერთო ზედამხედველობას – მატერიალური რესურსების მართვის განყოფილების უფროსი.

დოკუმენტის მიხედვით, შენობების შიდა და გარე სივრცეების დასუფთავება ყოველდღიურ რეჟიმში ხორციელდება შესაბამისი პერსონალის მიერ, სახელმწიფოს მიერ ნებადართული სარეცხი და სადეზინფექციო საშუალებების გამოყენებით. ვიზიტის პერიოდში დაწესებულებაში დასაქმებული იყო სამი დასუფთავების თანამშრომელი, რომლებთანაც გაფორმებულია შესაბამისი შრომითი ხელშეკრულებები.

ვიზიტის ფარგლებში პროფესიულ მასწავლებლებთან და ადმინისტრაციულ პერსონალთან გასაუბრების შედეგად დადასტურდა, რომ დაწესებულებაში დაცულია სანიტარულ-ჰიგიენური ნორმები და უზრუნველყოფილია სუფთა, უსაფრთხო და ჯანმრთელობისთვის შესაბამისი სასწავლო გარემო.

ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

4. შენობა-ნაგებობა უზრუნველყოფილია ცენტრალური გათბობის სისტემით;

დაწესებულება უზრუნველყოფილია ცენტრალური გათბობის სისტემით. ექსპერტთა ვიზიტის ფარგლებში განხორციელებული ვიზუალური დათვალიერების, პერსონალთან ჩატარებული გასაუბრებისა და წარმოდგენილი შესაბამისი დოკუმენტაციის (გადახდის ქვითრების) საფუძველზე დადასტურდა, რომ ცენტრალური გათბობის სისტემა გამართულად ფუნქციონირებს და უზრუნველყოფს სასწავლო გარემოში სათანადო ტემპერატურული პირობების დაცვას.

ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

5. დაწესებულებაში მოქმედებს კანონმდებლობით დადგენილი შრომის უსაფრთხოების უზრუნველყოფის მექანიზმები;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: თ. ცუცქერიძე

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ა. ბერიძე

ნ. მანუაშვილი



დაწესებულებაში სახანძრო და შრომის უსაფრთხოების საკითხები რეგულირდება დოკუმენტით – „სანიტარული ნორმების დაცვის, წესრიგის დაცვის, სამედიცინო დახმარების აღმოჩენის, სახანძრო და შრომის უსაფრთხოების უზრუნველყოფის მექანიზმებისა და ადაპტირებული გარემოს განვითარების გეგმა“. დოკუმენტი განსაზღვრავს უსაფრთხოების უზრუნველყოფის მექანიზმებსა და პასუხისმგებელ პირებს, რომლებიც უზრუნველყოფენ მოქმედი კანონმდებლობითა და შიდა რეგულაციებით გათვალისწინებული მოთხოვნების შესრულებას.

დოკუმენტაციისა და ვიზიტის ფარგლებში მიღებული ინფორმაციის საფუძველზე დადგინდა, რომ დაწესებულებაში განსაზღვრულია სახანძრო უსაფრთხოებაზე პასუხისმგებელი პირ(ებ)ი, რომლებიც უზრუნველყოფენ პირველადი ხანძარსაწინააღმდეგო საშუალებების საჭირო რაოდენობისა და განლაგების განსაზღვრას, მათი ტექნიკური გამართულობის მონიტორინგს, საევაკუაციო გეგმებისა და სახანძრო ფარების ხელმისაწვდომობას, საავარიო და საევაკუაციო გასასვლელების მუდმივ კონტროლსა და სხვა პრევენციული ღონისძიებების განხორციელებას. ასევე, პასუხისმგებელი პირები ორგანიზებას უწყვენ პერსონალის ინსტრუქტაჟსა და გადამზადებას ხანძრის შემთხვევაში მოქმედების წესებთან დაკავშირებით და უზრუნველყოფენ მაკონტროლებელი ორგანოების მითითებების შესრულებას.

შრომის უსაფრთხოების მიმართულებით წარმოდგენილი დოკუმენტაციის მიხედვით, დაწესებულებას შრომითი ხელშეკრულება გაფორმებული აქვს ორ შრომის უსაფრთხოების სპეციალისტთან, რომლებსაც მინიჭებული აქვთ შესაბამისი კვალიფიკაცია. შრომის უსაფრთხოების სპეციალისტებთან ჩატარებული გასაუბრებით დადასტურდა, რომ ისინი სისტემატურად ატარებენ პირველადი და პერიოდული ინსტრუქტაჟებს, თანამშრომლებს აცნობენ დაწესებულების საქმიანობას, შიდა რეგულაციებს, ტექნიკური საშუალებების უსაფრთხო გამოყენების წესებს, საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმას, ხანძარსაწინააღმდეგო ღონისძიებებსა და სამუშაო გარემოსთან დაკავშირებულ უსაფრთხოების მოთხოვნებს.

ვიზიტის ფარგლებში პერსონალთან ჩატარებული გასაუბრების შედეგად დადასტურდა, რომ ისინი ინფორმირებულნი არიან დაწესებულებაში მოქმედი შრომისა და სახანძრო უსაფრთხოების მექანიზმების შესახებ, ხოლო უსაფრთხოების ღონისძიებებს აფასებენ ეფექტიანად და პრაქტიკაში რეალიზებულად.

ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

6. დაწესებულებაში მოქმედებს სასწავლო პროცესის საჭირო მასალებითა და ნედლეულით შეუფერხებელი უზრუნველყოფის მექანიზმები;

121

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები



დაწესებულების „სასწავლო პროცესისა და ხარისხის უზრუნველყოფის მარეგულირებელი წესის“ 35-ე მუხლი არეგულირებს პროფესიული პროგრამებისა და/ან ტრენინგ-კურსების განხორციელებისთვის საჭირო მატერიალურ-ტექნიკური რესურსების (ნედლეული, მასალა, ინსტრუმენტები და სხვა) უზრუნველყოფის პროცესს.

აღნიშნული წესის შესაბამისად, მოდულის განხორციელების დაწყებამდე, მოსამზადებელი აქტივობების გათვალისწინებით, გონივრულ ვადაში, თუმცა არანაკლებ ორი კვირით ადრე, მოდულის განმახორციელებელი მასწავლებელი, პროგრამის ხელმძღვანელის დადასტურებითა და პროფესიული განათლების კოორდინატორის ვიზირებით, ცენტრის ხელმძღვანელს წარუდგენს მოხსენებით ბარათს კონკრეტული მოდულის განხორციელებისთვის საჭირო სახარჯი მასალებისა და სხვა აუცილებელი მატერიალური რესურსების მოთხოვნის შესახებ.

ამავე დოკუმენტის XI თავით განსაზღვრულია მატერიალურ-ტექნიკური რესურსების მართვისა და სარგებლობის მექანიზმები, რომლებიც მოიცავს: სასწავლო პროცესის ფარგლებში შექმნილი პროდუქტის შენახვისა და განკარგვის წესს; სასწავლო პროცესის მასალებითა და ნედლეულით შეუფერხებელი უზრუნველყოფის მექანიზმს; საჭირო ინვენტარის, მასალებისა და ნედლეულის შესყიდვის, შენახვისა და გამოყენების წესს; ასევე, მატერიალურ-ტექნიკური ბაზის პერიოდული შეფასებისა და გაუმჯობესების პროცედურებს.

დოკუმენტაციის შესწავლის, ადგილზე დათვალიერებისა, პროგრამების განმახორციელებელ პირებთან და ადმინისტრაციის წარმომადგენლებთან ჩატარებული ინტერვიუების საფუძველზე დადასტურდა, რომ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელებისთვის საჭირო მასალა-ნედლეულის მიწოდება ხორციელდება უწყვეტად და დროულად, რაც უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის შეუფერხებლად წარმართვას.

ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

7. ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმი ითვალისწინებს დაწესებულების რესურსების რეგულარულ შეფასებასა და განვითარებას;

ვიზიტის ფარგლებში წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესწავლისა და ადგილზე მიღებული ინფორმაციის ანალიზის საფუძველზე დადგინდა, რომ სსიპ „აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი“ მოქმედი ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმი ითვალისწინებს დაწესებულების რესურსების სისტემურ შეფასებასა და მათი განვითარების დაგეგმვას პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების ეფექტიანი განხორციელების უზრუნველსაყოფად.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ა. აბოიძე

თ. ცუცქერიძე

ნ. მანუაშვილი

გ. მანუაშვილი



ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკა და შესაბამისი პროცედურები განსაზღვრავს მოქმედი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შეფასებისას რესურსებთან დაკავშირებულ ინდიკატორებს, რომლებიც მოიცავს სასწავლო სივრცეების, მატერიალურ-ტექნიკური ბაზის, ლაბორატორიების, აღჭურვილობის, სასწავლო ინვენტარისა და სხვა სამეურნეო რესურსების საკმარისობის, ხელმისაწვდომობის, ტექნიკური გამართულობისა და პროგრამებით განსაზღვრულ სწავლის შედეგებთან შესაბამისობის შეფასებას.

დოკუმენტაციის ანალიზით დადასტურდა, რომ რესურსების შეფასების პროცესში გამოიყენება მრავალფეროვანი ინფორმაციის წყაროები, მათ შორის: სასწავლო პროცესის მონიტორინგის შედეგები, პროფესიული სტუდენტებისა და პროფესიული მასწავლებლების უკუკავშირი, სასწავლო პროცესის მიმდინარეობის ანალიზი, პროფესიული პროგრამების განხორციელების მონიტორინგის შედეგები, ასევე შეფასების სისტემის ვერიფიკაციის პროცესში გამოვლენილი გარემოებები. აღნიშნული მონაცემების ანალიზი უზრუნველყოფს არსებული რესურსების გამოყენების ეფექტიანობის შეფასებას, საჭიროებების იდენტიფიცირებასა და შესაბამისი გაუმჯობესების ღონისძიებების დაგეგმვას.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების მხარდაჭერის მიზნით უნივერსიტეტში ფუნქციონირებს პროფესიული განათლების ცენტრის მხარდაჭერისა და მონიტორინგის ჯგუფი, რომლის შემადგენლობაში შედიან შესაბამისი სტრუქტურული ერთეულებისა და სამეურნეო მიმართულების წარმომადგენლები. ჯგუფი უზრუნველყოფს რესურსებთან დაკავშირებული საკითხების კოორდინირებულ განხილვას, საჭიროებების შეფასებასა და შესაბამისი გადაწყვეტილებების მიღებას, რაც ხელს უწყობს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შეუფერხებელ განხორციელებას.

ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით, უნივერსიტეტში დანერგილი ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმი ქმნის ეფექტიან და პრაქტიკულად ფუნქციონირებად სისტემას მატერიალური და სამეურნეო რესურსების მუდმივი მონიტორინგის, შეფასებისა და განვითარების დაგეგმვისათვის. აღნიშნული მექანიზმის ფარგლებში მიღებული ინფორმაცია გამოიყენება რესურსების გაუმჯობესების მიზნით, რაც უზრუნველყოფს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელებისთვის შესაბამისი სასწავლო გარემოს შენარჩუნებასა და განვითარებას. შესაბამისად, დაწესებულების პრაქტიკა შეესაბამება აღნიშნული ინდიკატორის მოთხოვნებს.

ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

8. პსდ-ს შენობა-ნაგებობაში მოწყობილია გამიჯნული სანიტარული კვანძები, რომლებიც მუდმივად მარაგდება წყლით, აქვს უწყვეტი განათება და ვენტილაცია, სათანადოდ მოწესრიგებულია, უზრუნველყოფს პირადი ჰიგიენის დაცვის შესაძლებლობას და ხელმისაწვდომია ყველა პროფესიული სტუდენტისთვის, მათ შორის შშმ სტუდენტებისთვის.

123

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: თ. ცუცქერიძე

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ა. აბოიძე

ნ. მანუაშვილი



ვიზიტის ფარგლებში განხორციელებული ინფრასტრუქტურის ვიზუალური დათვალიერების შედეგად დადგინდა, რომ დაწესებულების ყველა სართულზე მოწყობილია სანიტარული კვანძები, რომლებიც გამიჯნულია ქალებისა და მამაკაცებისთვის. სანიტარული კვანძები ადაპტირებულია შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა საჭიროებებზე და უზრუნველყოფილია შესაბამისი ხელმისაწვდომობით.

ვიზიტის დროს ასევე დადასტურდა, რომ სანიტარული კვანძები მუდმივად მარაგდება ცივი წყლით, არის მოწესრიგებული, დაცულია სანიტარულ-ჰიგიენური ნორმები და უზრუნველყოფილია საჭირო ჰიგიენური საშუალებებით, მათ შორის თხევადი საპნითა და ერთჯერადი ხელსახოცებით. სანიტარული კვანძები აღჭურვილია უწყვეტი განათებისა და ვენტილაციის სისტემებით, ხოლო მათი რაოდენობა, ტექნიკური მდგომარეობა და ჰიგიენური პირობები შეესაბამება სასწავლო პროცესის უსაფრთხოდ და შეუფერხებლად წარმართვის მოთხოვნებს.

ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

9. ყველა სასწავლო ფართს და ბიბლიოთეკის სამკითხველო დარბაზს აქვს როგორც ბუნებრივი (გარდა სპეციფიური მიზნებისთვის გამოყენებული აუდიტორიებისა), ისე ხელოვნური განათების შესაძლებლობა;

ვიზიტის ფარგლებში განხორციელებული ინფრასტრუქტურის ვიზუალური დათვალიერების შედეგად დადასტურდა, რომ დაწესებულების სასწავლო და ადმინისტრაციული სივრცეები, ბიბლიოთეკა და საერთო სარგებლობის ფართები უზრუნველყოფილია როგორც ბუნებრივი, ისე ხელოვნური განათებით. არსებული განათების სისტემა ქმნის სასწავლო და სამუშაო პროცესის ეფექტიანად წარმართვისათვის საჭირო პირობებს და უზრუნველყოფს შესაბამის გარემოს დაწესებულების ინფრასტრუქტურის სხვადასხვა სივრცეში.

ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

10. სათავსოებისა და სივრცეების განლაგება ხელს უწყობს საგანმანათლებლო და ადმინისტრაციული პროცესის წარმართვას;

ვიზიტის ფარგლებში დადგინდა, რომ პროფესიული სტუდენტებისა და პერსონალისთვის ხელმისაწვდომია უნივერსიტეტის ბიბლიოთეკის როგორც მატერიალური, ისე ელექტრონული საგანმანათლებლო რესურსები, რომლებიც დამუშავებულია მოქმედი საბიბლიოთეკო წესის შესაბამისად და უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის ეფექტიან მხარდაჭერას.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: თ. ცუცქერიძე

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ე. ბუბია

ნ. მანუაშვილი



ვიზუალური დათვალიერებისა და წარმოდგენილი ინფორმაციის საფუძველზე დადასტურდა, რომ დაწესებულების სივრცეები ფუნქციურად არის გამიჯნული და ორგანიზებული ისე, რომ უზრუნველყოფს საგანმანათლებლო და ადმინისტრაციული პროცესების ეფექტიან და შეუფერხებელ განხორციელებას. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამებისა და ადმინისტრაციული საქმიანობისთვის გამოყოფილია შესაბამისი სამუშაო და სასწავლო სივრცეები, რომლებიც ერთმანეთისგან იზოლირებულია და არ წარმოადგენს ერთმანეთში გამავალ სივრცეებს.

დაწესებულებაში პროფესიული განათლების მასწავლებლებისთვის მოწყობილია კეთილმოწყობილი, შესაბამისი ავეჯითა და ინვენტარით აღჭურვილი სამუშაო სივრცე, რაც მათ აძლევს შესაძლებლობას შეუფერხებლად განახორციელონ პროფესიული საქმიანობა. ასევე, საარქივო დოკუმენტების უსაფრთხო შენახვის მიზნით, პირველ სართულზე გამოყოფილია ცალკე საარქივო სივრცე.

ადმინისტრაციის წარმომადგენლებთან ჩატარებული გასაუბრების შედეგად დადასტურდა, რომ არსებული ინფრასტრუქტურული მოწყობა და სივრცეების განლაგება სრულად პასუხობს დაწესებულების საჭიროებებს და ხელს უწყობს საგანმანათლებლო და ადმინისტრაციული პროცესების ეფექტიან და უწყვეტ განხორციელებას.

ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

11. მომხმარებლისთვის ხელმისაწვდომია პსდ-ს ბიბლიოთეკის როგორც მატერიალური, ასევე ელექტრონული საგანმანათლებლო რესურსი, რომელიც დამუშავებულია საბიბლიოთეკო წესის შესაბამისად.

დაწესებულების წარმომადგენლობითი საბჭოს 2018 წლის 28 თებერვლის №158 დადგენილებით დამტკიცებულია „ბიბლიოთეკის დებულება“, რომლის დანართსაც წარმოადგენს „ბიბლიოთეკის სამკითხველო დარბაზებით, ფონდებით, კატალოგებითა და კარტოთეკებით სარგებლობის წესი“. აღნიშნული დოკუმენტი არეგულირებს ბიბლიოთეკით სარგებლობის ძირითად საკითხებს, მათ შორის: მკითხველის რეგისტრაციის წესს, მის უფლებებსა და ვალდებულებებს, წიგნის გატანა-დაბრუნების პროცედურებს, ასევე პასუხისმგებლობის საკითხებს ბიბლიოთეკის წესების დარღვევის შემთხვევაში. ბიბლიოთეკით სარგებლობის წესი ხელმისაწვდომია სამკითხველო სივრცეში.

ცენტრალური ბიბლიოთეკა განთავსებულია უნივერსიტეტის ადმინისტრაციულ კორპუსში. სამკითხველო დარბაზი აღჭურვილია პროფესიული სტუდენტებისა და პერსონალისთვის განკუთვნილი პერსონალური კომპიუტერებით. მომხმარებლებს, საჭიროების შემთხვევაში, შესაძლებლობა აქვთ ისარგებლონ სასწავლო მასალების ამობეჭდვისა და ასლის გადაღების სერვისით.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: თ. ცუცქერიძე
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ე. ბუბია

ნ. მანუაშვილი



პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების – „ელექტრობა და ელექტრო სისტემები“, „შიგა წვის ძრავას შეკეთება“ და „სავალი ნაწილების შეკეთება“ – სტუდენტები ელექტრონულ სასწავლო რესურსებზე წვდომას უზრუნველყოფენ B გარემოში განთავსებული კომპიუტერების მეშვეობით, რომლებშიც განთავსებულია შესაბამისი პროფესიული მოდულებით გათვალისწინებული ელექტრონული სასწავლო ლიტერატურა. ამასთანავე, პროფესიულ სტუდენტებს შესაძლებლობა აქვთ ისარგებლონ უნივერსიტეტის ცენტრალური ბიბლიოთეკის მატერიალური წიგნადი ფონდით.

პროფესიული განათლების ცენტრში საბიბლიოთეკო მომსახურების ორგანიზებას უზრუნველყოფს ორი ბიბლიოთეკარი, რომლებიც პასუხისმგებელნი არიან პროფესიული სტუდენტებისა და პერსონალის საბიბლიოთეკო მომსახურებაზე, საინფორმაციო რესურსებზე წვდომისა და შესაბამისი სერვისების მიწოდებაზე.

ვიზიტის ფარგლებში წარმოდგენილი დოკუმენტაციის, ადგილზე დათვალიერებისა და ინტერვიუების საფუძველზე დადასტურდა, რომ აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიბლიოთეკა წარმოადგენს დაწესებულების მნიშვნელოვან საგანმანათლებლო რესურსს. ბიბლიოთეკის წიგნადი ფონდი მოიცავს დაახლოებით 800 000 ბეჭდურ ერთეულს და შინაარსობრივად შეესაბამება პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების სასწავლო კურსებითა და მოდულებით განსაზღვრულ ლიტერატურას. ამასთან, ფონდი სისტემატურად ახლდება პროგრამების საჭიროებებისა და სასწავლო პროცესის მოთხოვნების შესაბამისად.

ბიბლიოთეკა პასუხობს თანამედროვე საუნივერსიტეტო ბიბლიოთეკის ფუნქციონირების მოთხოვნებს, აერთიანებს ტრადიციულ და ელექტრონულ საინფორმაციო რესურსებს და უზრუნველყოფს სტუდენტების, აკადემიური, მოწვეული და ადმინისტრაციული პერსონალის საინფორმაციო საჭიროებების დაკმაყოფილებას. ბიბლიოთეკა ფუნქციონირებს კვირაში ექვსი დღე (ორშაბათიდან შაბათის ჩათვლით) 09:00-დან 19:00 საათამდე, რაც პროფესიულ სტუდენტებს უზრუნველყოფს საბიბლიოთეკო რესურსებზე ხელმისაწვდომობით სასწავლო პროცესის საჭიროებების შესაბამისად.

ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

- ✓ ამონაწერი საჯარო რეესტრიდან;
- ✓ იჯარის ხელშეკრულება;
- ✓ შენობა-ნაგებობის შიდა აზომვითი ნახაზი;

126

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

თ. ცუცქერიძე

ა. აბოიძე

ნ. მანუაშვილი

ხელმოწერა



- ✓ ხარისხის განვითარების შიდა მექანიზმები;
- ✓ „სასწავლო პროცესის მასალითა და ნედლეულით უზრუნველყოფის, მისი შენახვისა და გამოყენების“ წესი;
- ✓ დაწესებულების წარმომადგენლობითი საბჭოს 2024 წლის 12 თებერვლის №74 დადგენილებით დამტკიცებული – „სანიტარული ნორმების დაცვის, წესრიგის დაცვის, სამედიცინო დახმარების აღმოჩენის, სახანძრო და შრომის უსაფრთხოების უზრუნველყოფის მექანიზმებისა და ადაპტირებული გარემოს განვითარების გეგმის დამტკიცების შესახებ“
- ✓ შევსებული სპეციალური ფორმა, რომლითაც დასტურდება სივრცეების/ფართობის ფლობა;
- ✓ წყლისა, დასუფთავებისა და ელექტროენერგიის გადახდის ქვითრები;
- ✓ უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭოს 2022 წლის 18 მაისის №94 გადაწყვეტილება „მატერიალური რესურსის მართვისა და უზრუნველყოფის წესი“
- ✓ პერსონალთან გაფორმებული ხელშეკრულებები;
- ✓ დაწესებულების წარმომადგენლობითი საბჭოს 2018 წლის 28 თებერვლის №158 დადგენილება „ბიბლიოთეკის დებულება“,
- ✓ ვიზუალური დათვალიერების შედეგები;
- ✓ მიღება ჩაბარების აქტები ;
- ✓ პროფესიულ სტუდენტებთან და პერსონალთან ჩატარებული კვლევის შედეგები;
- ✓ პერსონალთან გასაუბრების შედეგები;

5.1.2 კსდ-ში დაცულია პერსონალისა და პროფესიული სტუდენტების უსაფრთხოება

1. დაწესებულების მართლზომიერ მფლობელობაში არსებულ ყველა ფართში დაცულია უსაფრთხოების ზომები;
2. დაწესებულებაში მოქმედებს პირველადი გადაუდებელი დახმარების აღმოჩენის მექანიზმები;
3. დაწესებულებაში მოქმედებს საგანგებო სიტუაციების მართვის მექანიზმი;
4. დაწესებულება საგანმანათლებლო მიზნებისათვის გამოყენებულ მის საკუთრებაში/მფლობელობაში არსებულ მთელ პერიმეტრზე უზრუნველყოფს წესრიგის დაცვას.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ა. ბერიძე

თ. ცუცქერიძე
ნ. მანუაშვილი



კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. დაწესებულების მართლზომიერ მფლობელობაში არსებულ ყველა ფართში დაცულია უსაფრთხოების ზომები;

დაწესებულებამ წარმოადგინა სსიპ - ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს დასკვნა (2025 წლის 23 ივლისის, N005288025), რომლის მიხედვითაც, შენობის ტექნიკური მდგომარეობა-მდგრადობა დამაკმაყოფილებელია და უსაფრთხოა ექსპლუატაციისათვის. დაწესებულების მიერ ასევე წარმოდგენილი იქნა 2025 წლის 19 სექტემბერს გაცემული სახანძრო ექსპერტიზის ბიუროს მიერ „არსებული ობიექტის მოქმედ დიკუმენტებთან შესაბამისობის შეფასება/ინსპექტირება სახანძრო უსაფრთხოების ნაწილში“ ანგარიში NBI-187, რომლის მიხედვითაც დაწესებულების ახალგაზრდობის გამზირი N98 მდებარე აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის ხანძარსაწინააღმდეგო მდგომარეობა შეესაბამება 2014 წლის 14 იანვრის #52 „საქართველოს ტერიტორიაზე სამშენებლო სფეროს მარეგულირებელი ტექნიკური რეგლამენტის აღიარებისა და სამოქმედოდ დაშვების შესახებ“ და N370-ე ტექნიკური რეგლამენტის „სახანძრო უსაფრთხოების წესების და პირობების შესახებ“ დადგენილებას.

ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

2. დაწესებულებაში მოქმედებს პირველადი გადაუდებელი დახმარების აღმოჩენის მექანიზმები;

დაწესებულებას შემუშავებული აქვს სამედიცინო დახმარების აღმოჩენის მექანიზმები, რომლებიც განსაზღვრულია „სანიტარული ნორმების დაცვის, წესრიგის დაცვის, სამედიცინო დახმარების აღმოჩენის, სახანძრო და შრომის უსაფრთხოების უზრუნველყოფის მექანიზმებისა და ადაპტირებული გარემოს განვითარების გეგმაში“, დამტკიცებული წარმომადგენლობითი საბჭოს 2024 წლის 12 თებერვლის №74 დადგენილებით.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები



აღნიშნული დოკუმენტის შესაბამისად, უნივერსიტეტის სასწავლო კორპუსებში ფუნქციონირებს სამედიცინო პუნქტები, რომლებიც უზრუნველყოფენ პროფესიული სტუდენტებისა და პერსონალისათვის პირველადი სამედიცინო დახმარების ხელმისაწვდომობას. ახალგაზრდობის გამზირი №98-ის (XI კორპუსი) ლოკაციაზე სამედიცინო მომსახურებას ახორციელებენ ერთი ექიმი და ერთი მედდა, რომელთაც წარმოდგენილი აქვთ შესაბამისი კვალიფიკაციის დამადასტურებელი დოკუმენტები.

სამედიცინო პერსონალი საქმიანობას ახორციელებს სპეციალურად გამოყოფილ და შესაბამისი დანიშნულების სივრცეში, სადაც უზრუნველყოფილია პროფესიული სტუდენტებისა და პერსონალის მიღება და პირველადი სამედიცინო დახმარების გაწევა. საჭიროების შემთხვევაში, შეტყობინების მიღებისთანავე სამედიცინო პერსონალი გადაადგილდება შემთხვევის ადგილზე პირველადი დახმარების აღმოსაჩენად, ხოლო გადაუდებელი აუცილებლობისას უზრუნველყოფს სასწრაფო სამედიცინო დახმარების სამსახურის (112) გამოძახებას.

ვიზიტის ფარგლებში ჩატარებული დათვალიერებით ექსპერტთა ჯგუფმა დაადგინა, რომ შენობის პირველ სართულზე ფუნქციონირებს პირველადი სამედიცინო დახმარების კაბინეტი, რომელიც აღჭურვილია პირველადი დახმარების აღმოჩენისთვის საჭირო ინვენტარით. კაბინეტში თვალსაჩინოდ არის განთავსებული მედდის საკონტაქტო ინფორმაცია, რაც უზრუნველყოფს საჭიროების შემთხვევაში სამედიცინო პერსონალთან ოპერატიულ დაკავშირებას.

ინტერვიუსა და დოკუმენტაციის შესწავლის პროცესში მედდამ ექსპერტთა ჯგუფს წარუდგინა პირველადი სამედიცინო დახმარების შემთხვევების აღრიცხვის ჟურნალი, რაც ადასტურებს შემთხვევების რეგისტრაციისა და აღრიცხვის დადგენილი პრაქტიკის არსებობას. წარმოდგენილი დოკუმენტაციის, ადგილზე დათვალიერებისა და ინტერვიუების საფუძველზე დადასტურდა, რომ დაწესებულებაში ფუნქციონირებს პირველადი სამედიცინო დახმარების ეფექტიანი მექანიზმი, რომელიც უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტებისა და პერსონალისათვის საჭირო სამედიცინო მომსახურების ხელმისაწვდომობას.

ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

3. დაწესებულებაში მოქმედებს საგანგებო სიტუაციების მართვის მექანიზმი;

129

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

თ. ცუცქერიძე

ნ. მანუაშვილი



დაწესებულების ადმინისტრაციის ხელმძღვანელის 2025 წლის 3 სექტემბრის №01-04/63 ბრძანებით დამტკიცებულია სსიპ აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესიული განათლების ცენტრის საგანგებო მართვის გეგმა, რომელიც განსაზღვრავს შესაძლო საგანგებო სიტუაციების პრევენციის, მათი შედეგების თავიდან აცილებისა და შემცირების, ასევე რეაგირებისა და აღდგენის ღონისძიებების მოცულობას, ვადებს, ორგანიზებისა და განხორციელების წესს.

დოკუმენტის მიზანია ბუნებრივი და ტექნოგენური ხასიათის საგანგებო სიტუაციების შემთხვევაში პროფესიული სტუდენტებისა და პერსონალის სიცოცხლისა და ჯანმრთელობის დაცვის უზრუნველყოფა, საგანგებო სიტუაციების მართვის პროცესის ორგანიზება, ასევე პრევენციის, მზადყოფნის, რეაგირებისა და აღდგენის ღონისძიებების სისტემური დაგეგმვა საობიექტო დონეზე. ამასთან, გეგმა ითვალისწინებს სამოქალაქო უსაფრთხოების ეროვნული გეგმის მხარდაჭერას დაწესებულების უფლებამოსილებისა და შესაძლებლობების ფარგლებში, განსაზღვრავს საგანგებო სიტუაციების პრევენციისა და ლიკვიდაციისათვის საჭირო ადამიანურ, მატერიალურ და ორგანიზაციულ რესურსებს, აგრეთვე პასუხისმგებელი სტრუქტურული ერთეულებისა და პირების ფუნქციებს.

საგანგებო მართვის გეგმა მოიცავს თანამშრომლების, პროფესიული სტუდენტებისა და დაწესებულების მატერიალური ფასეულობების დამაზიანებელი ფაქტორებისგან დაცვის მიზნით გასატარებელ ღონისძიებებს, ევაკუაციის, შეკრების ადგილების, პასუხისმგებელი პირებისა და კომუნიკაციის წესების აღწერას, რითაც ქმნის დროული, კოორდინირებული და ეფექტიანი რეაგირების სამართლებრივ და ორგანიზაციულ საფუძველს.

დაწესებულებაში შემუშავებულია და თვალსაჩინო ადგილებში განთავსებულია საევაკუაციო გეგმები, რომლებიც უზრუნველყოფს შენობიდან უსაფრთხო ევაკუაციის მარშრუტების, საევაკუაციო გასასვლელებისა და შეკრების ადგილების იდენტიფიცირებას. ვიზუალური დათვალიერებისას ექსპერტთა ჯგუფმა დაადასტურა, რომ საევაკუაციო გეგმები ხელმისაწვდომია პერსონალისა და პროფესიული სტუდენტებისთვის და შეესაბამება შენობის დაგეგმარებას.

საგანგებო სიტუაციების მართვის პროცესის ეფექტიანი განხორციელების მიზნით, პროფესიული განათლების ცენტრში ფუნქციონირებს საგანგებო სიტუაციების მართვის შტაბი, რომელიც პასუხისმგებელია საგანგებო სიტუაციების პრევენციის, მზადყოფნის, რეაგირებისა და აღდგენითი ღონისძიებების კოორდინაციაზე, ასევე შესაბამისი გადაწყვეტილებების მიღებასა და მათი შესრულების ორგანიზებაზე.

ვიზიტის ფარგლებში წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესწავლის, ადმინისტრაციის წარმომადგენლებთან ჩატარებული ინტერვიუებისა და მატერიალური გარემოს ვიზუალური დათვალიერების საფუძველზე ექსპერტთა ჯგუფმა დაადასტურა, რომ დაწესებულებაში განსაზღვრულია საგანგებო სიტუაციების მართვის მკაფიო მექანიზმები, პასუხისმგებელი პირები და რეაგირების პროცედურები, რაც უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტებისა და პერსონალის უსაფრთხოების დაცვასა და საგანგებო სიტუაციებზე ეფექტიან რეაგირებას.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

თ. ცუცქერიძე

ე. ბუბია

ნ. მანუაშვილი



ამასთან, ექსპერტთა ჯგუფმა დაადასტურა, რომ საგანგებო მართვის გეგმა შეთანხმებულია კომპეტენტურ ორგანოსთან, ხოლო დაწესებულებაში მოქმედი საევაკუაციო გეგმები და საგანგებო რეაგირების ღონისძიებები შეესაბამება მოქმედი კანონმდებლობისა და სამოქალაქო უსაფრთხოების სფეროში დადგენილ მოთხოვნებს.

ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

4. დაწესებულება საგანმანათლებლო მიზნებისათვის გამოყენებულ მის საკუთრებაში/მფლობელობაში არსებულ მთელ პერიმეტრზე უზრუნველყოფს წესრიგის დაცვას.

დაწესებულებაში წესრიგის დაცვის მექანიზმები განსაზღვრულია „სანიტარული ნორმების დაცვის, წესრიგის დაცვის, სამედიცინო დახმარების აღმოჩენის, სახანძრო და შრომის უსაფრთხოების უზრუნველყოფის მექანიზმებისა და ადაპტირებული გარემოს განვითარების გეგმაში“, რომელიც დამტკიცებულია წარმომადგენლობითი საბჭოს 2024 წლის 12 თებერვლის №74 დადგენილებით.

დოკუმენტის შესაბამისად, უნივერსიტეტი წესრიგისა და უსაფრთხოების უზრუნველყოფის მიზნით ცალკეული ლოკაციების სპეციფიკის გათვალისწინებით აფორმებს შრომით ხელშეკრულებებს შესაბამის ფიზიკურ პირებთან და/ან ყოველწლიურად ახორციელებს დაცვის მომსახურების შესყიდვას უფლებამოსილი ორგანიზაციისაგან. წესრიგის დაცვის ხარისხზე უშუალო კონტროლს ახორციელებს დაცვის სამსახურის უფროსი, ხოლო საერთო ადმინისტრაციულ კონტროლს – მატერიალური რესურსების მართვის განყოფილების უფროსი.

უნივერსიტეტში დაცვისა და უსაფრთხოების მომსახურებას უზრუნველყოფს დაცვის სამსახური, რომლის თანამშრომლები საქმიანობას ახორციელებენ წინასწარ განსაზღვრული ფუნქციებისა და მოვალეობების შესაბამისად. თანამშრომლები შესაბამისი ინსტრუქტაჟისა და ვალდებულებების გაცნობის შემდეგ აფორმებენ შრომით ხელშეკრულებას უნივერსიტეტთან. დაწესებულების კორპუსის და მიმდებარე ტერიტორიის დაცვა ხორციელდება 24-საათიან რეჟიმში.

უსაფრთხოებისა და წესრიგის დაცვის უზრუნველსაყოფად, უნივერსიტეტის შენობებისა და მიმდებარე ტერიტორიის შიდა და გარე პერიმეტრზე დამონტაჟებულია ვიდეოჩანაწერის ფუნქციით აღჭურვილი ვიდეოსამეთვალყურეო კამერები. „პერსონალურ მონაცემთა დაცვის მექანიზმის“ შესაბამისად, ვიდეომონიტორინგი ხორციელდება პირთა უსაფრთხოების, უნივერსიტეტის ქონებისა და

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: თ. ცუცქერიძე

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ე. ბუბია

ნ. მანუაშვილი



მატერიალური ფასეულობების დაცვის, არასრულწლოვანთა უსაფრთხოების, კონფიდენციალური ინფორმაციის დაცვის უზრუნველყოფის მიზნით.

ვიდეოსამეთვალყურეო სისტემაზე წვდომა მინიჭებული აქვთ მხოლოდ უფლებამოსილ პირებს, კერძოდ, დაცვისა და უსაფრთხოების სამსახურისა და ინფორმაციული ტექნოლოგიების შესაბამისი სტრუქტურული ერთეულების თანამშრომლებს, რაც უზრუნველყოფს პერსონალურ მონაცემთა დაცვის მოთხოვნების დაცვას.

დოკუმენტაციის, ადგილზე დათვალიერებისა და ინტერვიუების საფუძველზე დადასტურდა, რომ დაწესებულებაში მოქმედებს წესრიგისა და უსაფრთხოების უზრუნველყოფის ეფექტიანი მექანიზმები, განსაზღვრულია პასუხისმგებელი პირები, დანერგილია ვიდეომონიტორინგის სისტემა და წარმოებს ინციდენტების სისტემური აღრიცხვა, რაც უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტებისა და პერსონალის უსაფრთხო სასწავლო და სამუშაო გარემოს.

ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

- დაწესებულების შენობა-ნაგებობის მდგრადობის შესახებ დასკვნა;
- პირველადი გადაუდებელი დახმარების აღმოჩენის მიზნით პასუხისმგებელ პირთან გაფორმებული ხელშეკრულება;
- დაწესებულების ადმინისტრაციის ხელმძღვანელის 2025 წლის 3 სექტემბრის №01-04/63 ბრძანებით დამტკიცებულია „სსიპ აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესიული განათლების ცენტრის საგანგებო მართვის გეგმა“
- დასკვნა სახანძრო უსაფრთხოების შესახებ;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

თ. ცუცქერიძე

ნ. მანუაშვილი



- წარმომადგენლობითი საბჭოს 2024 წლის 12 თებერვლის №74 დადგენილებით დამტკიცებული „სანიტარული ნორმების დაცვის, წესრიგის დაცვის, სამედიცინო დახმარების აღმოჩენის, სახანძრო და შრომის უსაფრთხოების უზრუნველყოფის მექანიზმებისა და ადაპტირებული გარემოს განვითარების გეგმა“;
- სამედიცინო დახმარების აღმოჩენის მექანიზმები;
- ვიზუალური დათვალიერებისა და გასაუბრების შედეგები.

შეფასება:

- ☒ შეესაბამება
- ☐ მეტწილად შეესაბამება
- ☐ ნაწილობრივ შეესაბამება
- ☐ არ შეესაბამება

5.2 საინფორმაციო რესურსები

5.2.1 პსდ-ს ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა ხელს უწყობს მისი ძირითადი საქმიანობის განხორციელებას

1. პსდ-ში შექმნილი IT ინფორმაციის ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა შეესაბამება დაწესებულების პროცესებს;
2. პსდ ახორციელებს საინფორმაციო ტექნოლოგიების IT რისკების მართვას;
3. დაწესებულება უზრუნველყოფს პერსონალურ მონაცემთა დაცვას;

133

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: თ. ცუცქერიძე

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ე. ბუბია

ნ. მანუაშვილი



4. პსდ აფასებს საინფორმაციო ინფრასტრუქტურისა და IT პროცესების სისტემის ეფექტიანობას;
5. პროფესიული სტუდენტებისა და პერსონალისათვის მუდმივად ხელმისაწვდომია პსდ-ს IT ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა და მომსახურება;
6. პსდ უზრუნველყოფს პროფესიულ სტუდენტთა და პერსონალის ინფორმირებას ერთიანი ელექტრონული საკომუნიკაციო მექანიზმით/სისტემით.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. პსდ-ში შექმნილი IT ინფორმაციის ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა შეესაბამება დაწესებულების პროცესებს.

დაწესებულების აკადემიური საბჭოს 2018 წლის 1 მარტის №65(17/18) დადგენილებით დამტკიცებულია „ინფორმაციული ტექნოლოგიების მართვის პოლიტიკა და პროცედურები“, რომელიც განსაზღვრავს ინფორმაციული ტექნოლოგიების მართვის ძირითად პრინციპებსა და პროცედურებს და შესაბამისობაშია დაწესებულების საქმიანობის სპეციფიკასა და მიმდინარე პროცესებთან.

დოკუმენტაციის შესწავლისა და ვიზიტის ფარგლებში განხორციელებული დათვალიერების შედეგად დადასტურდა, რომ უნივერსიტეტში შექმნილი IT ინფრასტრუქტურა უზრუნველყოფს ინფორმაციული ტექნოლოგიების ეფექტიან ფუნქციონირებასა და ინტერნეტრესურსებზე უწყვეტ ხელმისაწვდომობას უნივერსიტეტის მთელ ტერიტორიაზე, მათ შორის, სასწავლო აუდიტორიებში, ლაბორატორიებში, ბიბლიოთეკასა და სხვა სასწავლო სივრცეებში.

დაწესებულების მთელ ტერიტორიაზე პროფესიული სტუდენტებისა და პერსონალისათვის ხელმისაწვდომია უსადენო ინტერნეტი (Wi-Fi). ინტერნეტმომსახურების უზრუნველყოფის მიზნით 2024 წლის 30 დეკემბერს სახელმწიფო შესყიდვის შესახებ №18 ხელშეკრულება გაფორმებულია შპს „ჯორჯიან აირლინკთან“, რომლის მოქმედების ვადა განსაზღვრულია 2027 წლის 2 თებერვლამდე.

ვიზიტის ფარგლებში ექსპერტთა ჯგუფმა დაათვალიერა სასწავლო და ადმინისტრაციული პროცესებისთვის გამოყენებული კომპიუტერული ტექნიკა. დათვალიერებისა და წარმოდგენილი დოკუმენტაციის საფუძველზე დადასტურდა, რომ კომპიუტერების ტექნიკური მახასიათებლები შეესაბამება პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელებისა და ადმინისტრაციული პროცესების მოთხოვნებს.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

თ. ცუცქერიძე

ნ. მანუაშვილი



ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით, დაწესებულების IT ინფრასტრუქტურა მოცულობითა და ტექნიკური შესაძლებლობებით ადეკვატურია მოქმედი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამებისა და პროფესიული სტუდენტების რაოდენობის მიმართ. არსებული ტექნოლოგიური რესურსები უზრუნველყოფს სასწავლო, ადმინისტრაციული და საინფორმაციო პროცესების უწყვეტ, ეფექტიან და სრულყოფილ განხორციელებას, რაც შეესაბამება ინდიკატორის მოთხოვნებს.

ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

2. კსდ ახორციელებს საინფორმაციო ტექნოლოგიების IT რისკების მართვას.

საინფორმაციო ტექნოლოგიებთან დაკავშირებული რისკების მართვის მიზნით, დაწესებულების აკადემიური საბჭოს 2018 წლის 1 მარტის №65(17/18) დადგენილებით დამტკიცებულია „ინფორმაციული ტექნოლოგიების მართვის პოლიტიკა და პროცედურები“, რომელიც განსაზღვრავს უნივერსიტეტის ინფორმაციული ტექნოლოგიების უზრუნველყოფის სამსახურის სტატუსს, ფუნქციებს, უფლებამოსილებებს, პასუხისმგებლობას, ანგარიშვალდებულებას, სტრუქტურასა და საქმიანობის ძირითად პრინციპებს.

დოკუმენტის მე-5 მუხლის შესაბამისად, ინფორმაციული ტექნოლოგიების უზრუნველყოფის სამსახური პასუხისმგებელია უნივერსიტეტის მართვის ორგანოების, საგანმანათლებლო და დამხმარე სტრუქტურული ერთეულების კომპიუტერული ტექნიკით უზრუნველყოფის ხელშეწყობაზე, კომპიუტერული ინფრასტრუქტურის ტექნიკურ ზედამხედველობაზე, მისი გამართული ფუნქციონირების, განახლებისა და განვითარების უზრუნველყოფაზე, ასევე მონაცემთა ბაზების სერვერულ ინფრასტრუქტურაზე განთავსებასა და ადმინისტრირებაზე. სამსახური უზრუნველყოფს მონაცემთა ბაზებზე ავტორიზებული მომხმარებლების უსაფრთხო და უწყვეტ წვდომას.

ამავე დოკუმენტით რეგულირდება უნივერსიტეტის კომპიუტერული და საინფორმაციო რესურსების გამოყენების წესი, განსაზღვრულია მომხმარებელთა უფლებები და ვალდებულებები, ელექტრონული მონაცემების კლასიფიკაციის პრინციპები და ინფორმაციული უსაფრთხოების მოთხოვნები. დადგენილია, რომ უნივერსიტეტის ყველა კომპიუტერულ სისტემაზე უნდა იყოს ინფორმაციული ტექნოლოგიების უზრუნველყოფის სამსახურის მიერ ინსტალირებული და ადმინისტრირებული ანტივირუსული პროგრამული უზრუნველყოფა.

ვიზიტის ფარგლებში წარმოდგენილი დოკუმენტაციის, ინფორმაციული ტექნოლოგიების უზრუნველყოფის სამსახურის წარმომადგენელთან ჩატარებული ინტერვიუსა და წარმოდგენილი ანგარიშების საფუძველზე დადასტურდა, რომ დაწესებულებაში

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: თ. ცუცქერიძე

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ე. ბუბია

ნ. მანუაშვილი



მოქმედებს ინფორმაციული ტექნოლოგიების რისკების მართვის ეფექტიანი მექანიზმები. ინტერვიუს დროს აღინიშნა, რომ ქსელის ფუნქციონირებაზე გავლენის მქონე ყველა ტექნიკური სამუშაო და პროგრამული განახლება ხორციელდება არასამუშაო საათებში, რათა მინიმუმამდე შემცირდეს სასწავლო და ადმინისტრაციული პროცესების შეფერხების რისკი. ამასთან, დაგეგმილი ტექნიკური სამუშაოების შესახებ ინფორმაცია მომხმარებლებს მიეწოდებათ არანაკლებ ერთი დღით ადრე.

ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით, დაწესებულებაში მოქმედი ინფორმაციული ტექნოლოგიების მართვის სისტემა უზრუნველყოფს IT ინფრასტრუქტურის უსაფრთხო, უწყვეტ და სტაბილურ ფუნქციონირებას, მონაცემთა დაცვასა და ტექნიკური რისკების ეფექტიან მართვას, რაც სრულად შეესაბამება ინდიკატორის მოთხოვნებს.

ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

3. დაწესებულება უზრუნველყოფს პერსონალურ მონაცემთა დაცვას;

პერსონალურ მონაცემთა დაცვის უზრუნველყოფის მიზნით, დაწესებულების რექტორის 2020 წლის 13 ოქტომბრის №01-04/104 ბრძანებით დამტკიცებულია „პერსონალურ მონაცემთა დაცვის მექანიზმი“, რომელიც ხელმისაწვდომია უნივერსიტეტის ოფიციალურ ვებგვერდზე. დოკუმენტი ვრცელდება უნივერსიტეტში დასაქმებულ პირებზე, პროფესიულ სტუდენტებზე, ასევე სხვა პირებზე, რომლებიც უნივერსიტეტის სახელით ან მისი უფლებამოსილების ფარგლებში ახორციელებენ შესაბამის საქმიანობას.

დოკუმენტის თანახმად, უნივერსიტეტი უზრუნველყოფს პერსონალური მონაცემების დამუშავებას მოქმედი კანონმდებლობის მოთხოვნების შესაბამისად. პერსონალური მონაცემები აღირიცხება ფაილურ სისტემათა კატალოგში, რომელშიც განსაზღვრულია მონაცემთა დამუშავების მიზანი, სამართლებრივი საფუძველი, მონაცემთა კატეგორიები და მათი შენახვის ვადები. შესაბამისი ინფორმაცია კანონმდებლობით დადგენილი წესით მიეწოდება პერსონალურ მონაცემთა დაცვის საკითხებზე უფლებამოსილ ორგანოს.

დაწესებულება უზრუნველყოფს პერსონალური მონაცემების დამუშავების შესახებ პროფესიული სტუდენტებისა და დასაქმებული პირების ინფორმირებას შრომითი/სასწავლო ხელშეკრულებებისა და „პერსონალურ მონაცემთა დაცვის მექანიზმის“ დოკუმენტის მეშვეობით. პერსონალურ მონაცემთა დაცვის კანონმდებლობით დადგენილი მოთხოვნების ეფექტიანი შესრულების მიზნით,

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

თ. ცუცქერიძე

ნ. მანუაშვილი



უნივერსიტეტის რექტორის ბრძანებით განსაზღვრულია პერსონალურ მონაცემთა დაცვის ოფიცერი, რომელიც ზედამხედველობს მონაცემთა დაცვის მოთხოვნების შესრულებას და შესაბამისი პროცესების მართვას.

ვიზიტის ფარგლებში წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესწავლისა და აკადემიურ, პროფესიულ და ადმინისტრაციულ პერსონალთან ჩატარებული ინტერვიუების საფუძველზე დადასტურდა, რომ დაწესებულებაში დაცულია პერსონალური მონაცემების კონფიდენციალურობა. კერძოდ, უზრუნველყოფილია პროფესიული სტუდენტების პერსონალური მონაცემებისა და შეფასების შედეგების დაცვა, მათზე წვდომა მინიჭებული აქვთ მხოლოდ უფლებამოსილ პირებს, ხოლო მონაცემთა დამუშავება ხორციელდება მოქმედი კანონმდებლობისა და დაწესებულების შიდა რეგულაციების შესაბამისად.

ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით, დაწესებულებაში დანერგილი პერსონალურ მონაცემთა დაცვის მექანიზმები უზრუნველყოფს პერსონალური მონაცემების უსაფრთხო, კანონიერ და კონფიდენციალურ დამუშავებას, რაც შეესაბამება ინდიკატორის მოთხოვნებს.

ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

4. პსდ აფასებს საინფორმაციო ინფრასტრუქტურისა და IT პროცესების სისტემის ეფექტიანობას.

დაწესებულების საინფორმაციო ინფრასტრუქტურისა და IT პროცესების ეფექტიანობა დადასტურდა ვიზიტის ფარგლებში ინფორმაციული ტექნოლოგიების უსაფრთხოებაზე პასუხისმგებელ პირთან ჩატარებული ინტერვიუსა და მის მიერ წარმოდგენილი საქმიანობის ანგარიშის შესწავლის საფუძველზე.

ინტერვიუსა და წარმოდგენილი დოკუმენტაციის ანალიზით გამოიკვეთა, რომ დაწესებულებაში შექმნილია პროფესიული სტუდენტებისა და პერსონალისთვის ინფორმაციული ტექნოლოგიებით სარგებლობის სათანადო პირობები, რაც უზრუნველყოფს სასწავლო და ადმინისტრაციული პროცესების უწყვეტ და ეფექტიან განხორციელებას.

ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით, დაწესებულებაში დანერგილი საინფორმაციო ტექნოლოგიების მართვის პრაქტიკა უზრუნველყოფს IT ინფრასტრუქტურის სტაბილურ, უსაფრთხო და შეუფერხებელ ფუნქციონირებას, ხოლო ტექნიკური მხარდაჭერის მექანიზმები იძლევა გამოვლენილ ხარვეზებზე დროული რეაგირებისა და სასწავლო პროცესის უწყვეტობის შენარჩუნების შესაძლებლობას.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

თ. ცუცქერიძე

ნ. მანუაშვილი



ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

5. პროფესიული სტუდენტებისა და პერსონალისათვის მუდმივად ხელმისაწვდომია პსდ-ს IT ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა და მომსახურება.

დაწესებულების მფლობელობაში არსებული სასწავლო სივრცეები სრულად არის დაფარული უსადენო ინტერნეტქსელით (Wi-Fi), რაც პროფესიულ სტუდენტებსა და პერსონალს უზრუნველყოფს ინფორმაციულ რესურსებზე შეუფერხებელი წვდომით.

დაწესებულების აკადემიური საბჭოს 2018 წლის 1 მარტის №65(17/18) დადგენილებით დამტკიცებული „ინფორმაციული ტექნოლოგიების მართვის პოლიტიკისა და პროცედურების“ შესაბამისად, უნივერსიტეტის უსადენო ქსელის ადმინისტრირებას, მონიტორინგსა და ტექნიკურ ექსპლუატაციას ახორციელებს ინფორმაციული ტექნოლოგიების უზრუნველყოფის სამსახური.

ინტერნეტმომსახურებას უზრუნველყოფს შპს „ჯორჯიან აირლინკი“, რომელიც უნივერსიტეტს აწვდის მაღალსიჩქარიან სიმეტრიულ ინტერნეტს (100 მბიტ/წმ), როგორც საერთაშორისო არხზე, ისე საქართველოში მოქმედ ინტერნეტპროვაიდერებთან, რაც უზრუნველყოფს სასწავლო და ადმინისტრაციული პროცესებისათვის საჭირო ქსელური სერვისების სტაბილურ ფუნქციონირებას.

ვიზიტის ფარგლებში ჩატარებული ინტერვიუებისას პერსონალმა დაადასტურა, რომ ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა ხელმისაწვდომია და კომპიუტერული ტექნიკითა და უსადენო ინტერნეტით სარგებლობა შესაძლებელია სასწავლო და სამუშაო საჭიროებების შესაბამისად. ასევე აღინიშნა, რომ ქსელის ხელმისაწვდომობა და ხარისხი უზრუნველყოფს ელექტრონული რესურსების, სასწავლო მასალებისა და ადმინისტრაციული სერვისების ეფექტიან გამოყენებას.

ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით, დაწესებულებაში არსებული ქსელური ინფრასტრუქტურა და ინტერნეტმომსახურება მოცულობითა და ხარისხობრივი მახასიათებლებით შეესაბამება პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების საჭიროებებს და უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტებისა და პერსონალისათვის ინფორმაციულ ტექნოლოგიებზე უწყვეტ და ეფექტიან ხელმისაწვდომობას.

ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

თ. ცუცქერიძე
ნ. მანუაშვილი



6. პსდ უზრუნველყოფს პროფესიულ სტუდენტთა და პერსონალის ინფორმირებას ერთიანი ელექტრონული საკომუნიკაციო მექანიზმით/სისტემით.

დაწესებულება პროფესიული სტუდენტებისა და პერსონალის ინფორმირებასა და კომუნიკაციას უზრუნველყოფს ერთიანი ელექტრონული საკომუნიკაციო სისტემის მეშვეობით, რომელიც ფუნქციონირებს უნივერსიტეტის ოფიციალურ დომენებზე – www.atsu.ge და www.atsu.edu.ge. აღნიშნული სისტემა წარმოადგენს უნივერსიტეტის შიდა და გარე კომუნიკაციის ოფიციალურ არხს, არის უნივერსიტეტის საკუთრება და გამოიყენება მხოლოდ სამსახურებრივი და საგანმანათლებლო მიზნებისთვის.

დაწესებულებაში ჩარიცხვისთანავე თითოეულ პროფესიულ სტუდენტს, პროფესიული განათლების მასწავლებელსა და სხვა პერსონალს ენიჭება ინდივიდუალური საუნივერსიტეტო ელექტრონული ფოსტის ანგარიში, რომლის მეშვეობითაც ხორციელდება სასწავლო პროცესთან, ადმინისტრაციულ საკითხებთან, უნივერსიტეტის საქმიანობასა და სხვა მნიშვნელოვან სიახლეებთან დაკავშირებული ინფორმაციის ოპერატიული გავრცელება.

ოფიციალური ელექტრონული ფოსტის გარდა, დაწესებულება დამატებით იყენებს სოციალურ ქსელ „Facebook“-ს, როგორც საინფორმაციო და საკომუნიკაციო პლატფორმას, რაც უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტებისა და სხვა დაინტერესებული მხარეებისთვის აქტუალური ინფორმაციის ფართო ხელმისაწვდომობას.

ვიზიტის ფარგლებში პროფესიული განათლების მასწავლებლებთან და ადმინისტრაციულ პერსონალთან ჩატარებული ინტერვიუების შედეგად დადასტურდა, რომ დაწესებულებაში მოქმედი საკომუნიკაციო არხები ფუნქციონირებს გამართულად, ინფორმაცია ვრცელდება დროულად და ხელმისაწვდომია ყველა შესაბამისი მომხმარებლისთვის, რაც ხელს უწყობს სასწავლო და ადმინისტრაციული პროცესების ეფექტიან ორგანიზებას.

ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

- დაწესებულების აკადემიური საბჭოს 2018 წლის 1 მარტის №65(17/18) დადგენილებით დამტკიცებულია „ინფორმაციული ტექნოლოგიების მართვის პოლიტიკა და პროცედურები“;

139

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

თ. ცუცქერიძე

ნ. მანუაშვილი



- დაწესებულების რექტორის 2020 წლის 13 ოქტომბრის №01-04/104 ბრძანებით დამტკიცებული „პერსონალურ მონაცემთა დაცვის მექანიზმი“;
- მომწოდებლებთან გაფორმებული ხელშეკრულებით;
- მასწავლებლებთან/ადმინისტრაციის წარმომადგენლებთან გასაუბრება;
- ვიზუალური დათვალიერება;

შეფასება:

- ☒ შეესაბამება
- ☐ მეტწილად შეესაბამება
- ☐ ნაწილობრივ შეესაბამება
- ☐ არ შეესაბამება

5.2.2 პსდ-ში საქმისწარმოება მიმდინარეობს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად

1. პსდ-ში მოქმედებს კანონმდებლობასთან შესაბამისი საქმისწარმოების წესი;
2. პსდ-ს მართვაში გამოიყენება თანამედროვე ტექნოლოგიები, მათ შორის, ელექტრონული საქმისწარმოებისთვის;
3. პსდ უზრუნველყოფს პროფესიული განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში სრულყოფილი ინფორმაციის კანონმდებლობით დადგენილი წესით შეტანას;
4. პსდ დროულად აწვდის ანგარიშებს, უკუკავშირსა და ინფორმაციას საგანმანათლებლო საქმიანობაზე კონტროლის განმახორციელებელ უწყებებს და თანამშრომლობს მათთან.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. პსდ-ში მოქმედებს კანონმდებლობასთან შესაბამისი საქმისწარმოების წესი.

140

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: თ. ცუცქერიძე

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ე. ბუბია

ნ. მანუაშვილი



სსიპ „აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის“ რექტორის 2018 წლის 1 მარტის №01-04/30 ბრძანებით (ბოლო ცვლილება – 2018 წლის 13 ივნისის №01-04/8 ბრძანება) დამტკიცებულია „საქმისწარმოების წესი“, რომელიც განსაზღვრავს უნივერსიტეტში დოკუმენტბრუნვის ორგანიზების, დოკუმენტების შედგენის, გაფორმების, რეგისტრაციის, აღრიცხვის, შესრულების კონტროლისა და შენახვის პროცედურებს, მათ შორის, საქმისწარმოების ელექტრონული სისტემის გამოყენების წესს.

დოკუმენტის მოთხოვნები ვრცელდება როგორც მატერიალური ფორმით, ისე ელექტრონულად შექმნილ და მიღებულ დოკუმენტებზე. რეგულაცია მოიცავს განცხადებების, ოფიციალური წერილების, ბრძანებების, ხელშეკრულებების, უნივერსიტეტის სტრუქტურული ერთეულების სხდომის ოქმების, ასევე საარქივო საქმისწარმოების წარმოებისა და სისტემატიზაციის პროცედურებს.

უნივერსიტეტი დოკუმენტებს იღებს როგორც მატერიალური, ისე ელექტრონული ფორმით. შემოსული კორესპონდენციის მიღებას, რეგისტრაციასა და პირველად დამუშავებას უზრუნველყოფს უნივერსიტეტის კანცელარია. კორესპონდენცია რეგისტრირდება საქმისწარმოების ელექტრონულ სისტემაში (eFlow), რის შემდეგაც შესაბამისი რეზოლუციისთვის ეგზავნება რექტორს, რექტორის მოადგილეს ან ადმინისტრაციის ხელმძღვანელს. მატერიალური ფორმით წარმოდგენილ დოკუმენტებს ენიჭება სარეგისტრაციო ნომერი, აღინიშნება მიღების თარიღი და ფურცლების რაოდენობა, ხოლო დოკუმენტები ინახება დადგენილი წესის შესაბამისად.

დაწესებულებაში ცნობების გაცემა ხორციელდება უფლებამოსილი ორგანოს მოთხოვნის ან პროფესიული სტუდენტის/დასაქმებული პირის განცხადების საფუძველზე. დოკუმენტით განსაზღვრულია, რომ ცნობა გაიცემა არაუმეტეს 10 სამუშაო დღის ვადაში.

ელექტრონული კორესპონდენციის მიღება ხორციელდება უნივერსიტეტის კანცელარიის ოფიციალური ელექტრონული ფოსტის მეშვეობით, ხოლო პროფესიულ სტუდენტთა ელექტრონული განცხადებების მიღებისა და დამუშავებისთვის განსაზღვრულია ცალკე ელექტრონული საკომუნიკაციო არხი. ამასთან, „საქმისწარმოების წესი“ არეგულირებს მობილობისა და სტატუსის აღდგენის მსურველ სტუდენტთა პირადი დოკუმენტაციის მიღების, გადაადგილებისა და დამუშავების ეტაპებს შესაბამისი ადმინისტრაციული პროცესების განმავლობაში.

ვიზიტის ფარგლებში ექსპერტთა ჯგუფმა შეისწავლა ბრძანებების აღრიცხვის ჟურნალები, შემოსული და გასული კორესპონდენციის რეგისტრაციის მონაცემები, ასევე საქმისწარმოების ელექტრონულ სისტემაში არსებული ჩანაწერები. დოკუმენტაციის ანალიზისა და ადმინისტრაციულ პერსონალთან ჩატარებული ინტერვიუების საფუძველზე დადასტურდა, რომ დაწესებულებაში საქმისწარმოება ხორციელდება დადგენილი მარეგულირებელი დოკუმენტის შესაბამისად, უზრუნველყოფილია დოკუმენტბრუნვის სისტემურობა, მიკვეთვა და ადმინისტრაციული პროცესების ეფექტიანი მართვა.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

თ. ცუცქერიძე
ნ. მანუაშვილი



ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

2. პსდ-ს მართვაში გამოიყენება თანამედროვე ტექნოლოგიები, მათ შორის, ელექტრონული საქმისწარმოებისათვის.

დაწესებულებაში ადმინისტრაციული საქმიანობისა და საქმისწარმოების ეფექტიანად განხორციელების მიზნით გამოიყენება თანამედროვე ელექტრონული დოკუმენტბრუნვის სისტემა **eFlow**, რომელიც უზრუნველყოფს დოკუმენტების ელექტრონულ რეგისტრაციას, მოძრაობას, შესრულების კონტროლსა და არქივირებას.

აღნიშნული სისტემა გამოიყენება როგორც ზოგადი ადმინისტრაციული საქმისწარმოების პროცესებში, ისე პროფესიული სტუდენტების განცხადებების მიღების, დამუშავების, ცნობების მომზადებისა და გაცემის ადმინისტრირების მიზნით, რაც ხელს უწყობს მომსახურების დროულ, გამჭვირვალე და ეფექტიან განხორციელებას.

ვიზიტის ფარგლებში განხორციელებული დათვალიერებისა და ადმინისტრაციულ პერსონალთან ჩატარებული ინტერვიუების საფუძველზე დადასტურდა, რომ დაწესებულებაში დოკუმენტბრუნვის პროცესები ორგანიზებულია თანამედროვე ტექნოლოგიური საშუალებების გამოყენებით და პრაქტიკაში სრულად შეესაბამება დაწესებულების შიდა მარეგულირებელი დოკუმენტებით განსაზღვრულ პროცედურებს. ელექტრონული დოკუმენტბრუნვის სისტემა უზრუნველყოფს დოკუმენტების მიკვლევადობას, პროცესების ოპერატიულ მართვასა და ადმინისტრაციული საქმიანობის ეფექტიან განხორციელებას.

ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

3. პსდ უზრუნველყოფს პროფესიული განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში სრულყოფილი ინფორმაციის კანონმდებლობით დადგენილი წესით შეტანას;

პროფესიული დაწესებულებების მართვის სისტემაში (**e-vet.emis.ge**) ინფორმაციის დროულ და სანდო ასახვაზე პასუხისმგებლობა დაკისრებული აქვს დაწესებულების სამტატო ერთეულს – რეესტრის წარმოების მენეჯერს. აღნიშნული პოზიციის სამუშაო აღწერილობით განსაზღვრულია მისი უფლებამოსილებები, ძირითადი ფუნქციები და პასუხისმგებლობები, მათ შორის პროფესიული განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში მონაცემების დროული, სრულყოფილი და სანდო შეყვანისა და განახლების უზრუნველყოფა.

142

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: თ. ცუცქერიძე

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ე. ბუბია

ნ. მანუაშვილი



დაწესებულებაში აღნიშნულ ფუნქციას ახორციელებს ერთი პასუხისმგებელი თანამშრომელი, რომელიც უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტების, საგანმანათლებლო პროგრამებისა და სასწავლო პროცესთან დაკავშირებული მონაცემების სისტემატურ ადმინისტრირებას მოქმედი კანონმდებლობისა და შიდა რეგულაციების შესაბამისად.

ვიზიტის ფარგლებში განხორციელებული დათვალიერებისა და რეესტრის წარმოების მენეჯერთან ჩატარებული ინტერვიუს საფუძველზე დადასტურდა, რომ პროფესიული დაწესებულებების მართვის საინფორმაციო სისტემაში მონაცემების შეყვანა, განახლება და ადმინისტრირება ხორციელდება სისტემატურად, დროულად და დადგენილი პროცედურების შესაბამისად, რაც უზრუნველყოფს სისტემაში ასახული ინფორმაციის სანდოობას, სიზუსტესა და აქტუალობას.

ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

4. პსდ დროულად აწვდის ანგარიშებს, უკუკავშირსა და ინფორმაციას საგანმანათლებლო საქმიანობაზე კონტროლის განმახორციელებელ უწყებებს და თანამშრომლობს მათთან.

დაწესებულებაში მოქმედი „საქმისწარმოების წესი“ განსაზღვრავს ელექტრონული და მატერიალური საქმისწარმოების ორგანიზების პრინციპებსა და პროცედურებს. დოკუმენტი არეგულირებს განცხადებების, ოფიციალური წერილების, ბრძანებების, ხელშეკრულებების, უნივერსიტეტის სტრუქტურული ერთეულების სხდომის ოქმებისა და სხვა ადმინისტრაციული დოკუმენტების შედგენის, რეგისტრაციის, დამუშავების, სისტემატიზაციის, შესრულების კონტროლისა და არქივირების წესს.

ამავე დოკუმენტით განსაზღვრულია შემოსულ კორესპონდენციაზე რეაგირების პროცედურები და ვადები, რომლებიც არ აღემატება საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსით დადგენილ ადმინისტრაციული წარმოების ვადებს.

პროფესიული განათლების ცენტრში საქმისწარმოების, დოკუმენტბრუნვის, დოკუმენტების აღრიცხვის, დამუშავებისა და შენახვის პროცესების ადმინისტრირებას უზრუნველყოფს ოფისის მენეჯერი, რომელთანაც გაფორმებულია შესაბამისი შრომითი ხელშეკრულება. მისი ფუნქციები მოიცავს დოკუმენტების მოძრაობის კოორდინირებას, შესრულების კონტროლსა და ადმინისტრაციულ საკითხებზე დროული რეაგირების უზრუნველყოფას.

ვიზიტის ფარგლებში წარმოდგენილი დოკუმენტაციის, ადმინისტრაციულ პერსონალთან ჩატარებული ინტერვიუებისა და საქმისწარმოების პროცესზე დაკვირვების საფუძველზე დადასტურდა, რომ დაწესებულებაში დოკუმენტბრუნვისა და საქმისწარმოების

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: თ. ცუცქერიძე

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ა. აბოიძე

ბ. მანუაშვილი



პროცესები ორგანიზებულია დადგენილი რეგულაციების შესაბამისად. უზრუნველყოფილია დოკუმენტების დროული დამუშავება, შესრულების სისტემური კონტროლი და ადმინისტრაციული პროცესების ეფექტიანი მართვა, რაც შეესაბამება ინდიკატორის მოთხოვნებს.

ექსპერტთა შეფასებით, აღნიშნული ინდიკატორის მოთხოვნა სრულად დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

- სსიპ „აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის“ რექტორის 2018 წლის 1 მარტის №01-04/30 ბრძანებით (ბოლო ცვლილება – 2018 წლის 13 ივნისის №01-04/8 ბრძანება) დამტკიცებულია „საქმისწარმოების წესი“
- ელექტრონულ სიტემის (eFlow) შემოწმების შედეგები;
- 5. საქმისმწარმოებელთან გასაუბრების შედეგები;
- 6. რეესტრის წარმოებაზე პასუხისმგებელ პირთან გასაუბრების შედეგები;
- 7. პროფესიული განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის მონაცემები და შემოწმების შედეგები;
- 8. გასაუბრება პროფესულ სტუდენტებთან.

შეფასება:

- ☒ შეესაბამება
- ☐ მეტწილად შეესაბამება
- ☐ ნაწილობრივ შეესაბამება
- ☐ არ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: თ. ცუცქერიძე

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ა. ბერიძე

ნ. მანუაშვილი



5.2.3 პსდ მიზანმიმართულად წარმართავს საზოგადოებასთან ურთიერთობას

1. პსდ-ს ოფიციალური ვებგვერდი და სოციალური ქსელის გვერდი ასრულებს საკომუნიკაციო და საინფორმაციო ფუნქციას და ითვალისწინებს ინფორმაციის გონივრულ ვადაში მიღების ინტერესს;
2. დაწესებულებას, რომლის მისიაშიც განსაზღვრულია საერთაშორისო თანამშრომლობის პრიორიტეტი ან უცხოენოვანი პროგრამის განხორციელება, აქვს იმ ენის შესაბამისი ვებგვერდიც, რომელზეც ახორციელებს სწავლებას;
3. პსდ უზრუნველყოფს მისი საქმიანობის, მათ შორის მის მიერ განხორციელებული საგანმანათლებლო პროგრამების შესახებ მხოლოდ სანდო და უტყუარი ინფორმაციის გავრცელებას;
4. საგანმანათლებლო პროგრამების კატალოგი ემსახურება დაინტერესებული პირების ინფორმირებას პსდ-ის საგანმანათლებლო აქტივობების შესახებ;
5. პროგრამების კატალოგი ახლდება წლიურად, ასევე პროგრამაში განხორციელებული ცვლილებების შესაბამისად;
6. საზოგადოებასთან კომუნიკაციის პროცესში სხვადასხვა არხების შედეგად მიღებულ უკუკავშირის პსდ იყენებს მისი საქმიანობის ხარისხის გასაუმჯობესებლად.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. პსდ-ს ოფიციალური ვებგვერდი და სოციალური ქსელის გვერდი ასრულებს საკომუნიკაციო და საინფორმაციო ფუნქციას და ითვალისწინებს ინფორმაციის გონივრულ ვადაში მიღების ინტერესს.

დაწესებულების ოფიციალური ვებგვერდი (www.atsu.edu.ge) წარმოადგენს ინფორმაციის გავრცელების ძირითად ოფიციალურ პლატფორმას, რომელზეც განთავსებულია უნივერსიტეტის საქმიანობასთან დაკავშირებული საჯარო ინფორმაცია. ვებგვერდზე ხელმისაწვდომია საკონტაქტო ინფორმაცია, მისია, ხედვა და ღირებულებები, ორგანიზაციული სტრუქტურა, ინფორმაცია უნივერსიტეტის საქმიანობის ძირითადი მიმართულებებისა და საგანმანათლებლო პროგრამების შესახებ, პარტნიორი ორგანიზაციების ჩამონათვალი, შიდა სამართლებრივი აქტები, მათ შორის სწავლებისა და შეფასების მარეგულირებელი დოკუმენტები, ინფორმაცია ადმინისტრაციული პერსონალის შესახებ, ბიბლიოთეკის ელექტრონული კატალოგი, შვიდწლიანი სტრატეგიული განვითარების გეგმა, ერთწლიანი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

თ. ცუცქერიძე

ნ. მანუაშვილი



სამოქმედო გეგმები, მათი შესრულების ანგარიშები და მიმდინარე სიახლეები. ვებგვერდი ასევე აღჭურვილია ინფორმაციის სიტყვით ძიების ფუნქციით, რაც უზრუნველყოფს მომხმარებლისთვის ინფორმაციის მარტივ და სწრაფ ხელმისაწვდომობას.

ოფიციალური ვებგვერდის გარდა, დაწესებულება აქტიურად იყენებს სოციალურ ქსელ „Facebook“-ს, როგორც პროფესიული სტუდენტების, პერსონალისა და სხვა დაინტერესებული მხარეების ინფორმირების დამატებით საკომუნიკაციო არხს. პროფესიული განათლების ცენტრის სოციალური ქსელის გვერდისა და ჯგუფის ადმინისტრირებას პროფესიული განათლების ცენტრის ხელმძღვანელის განკარგულების საფუძველზე ახორციელებს ინკლუზიური პროფესიული განათლების კოორდინატორი, ხოლო ოფიციალური ელექტრონული ფოსტის ადმინისტრირებაზე პასუხისმგებლობა განაწილებულია ფინანსური რესურსებისა და რეესტრის წარმოების მენეჯერსა და ექსტრაკურიკულური აქტივობებისა და ინტერნაციონალიზაციის მენეჯერს შორის.

ვიზიტის ფარგლებში ექსპერტთა ჯგუფმა შეისწავლა უნივერსიტეტის ოფიციალური ვებგვერდისა და პროფესიული განათლების ცენტრის სოციალური მედიის აქტივობა. გადამოწმდა ბოლო პერიოდის საინფორმაციო მასალები, მათ შორის სხვადასხვა თემატიკის განცხადებები, სიახლეები, ვიზუალური და ტექსტური კონტენტი. დათვალიერებისა და ინტერვიუების საფუძველზე დადასტურდა, რომ დაწესებულება სისტემატურად ანახლებს საჯარო ინფორმაციას, იყენებს მრავალფეროვან საკომუნიკაციო არხებს და უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტებისა და სხვა დაინტერესებული მხარეებისთვის აქტუალური ინფორმაციის დროულ და ხელმისაწვდომ გავრცელებას, რაც შეესაბამება ინდიკატორის მოთხოვნებს.

ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

2. დაწესებულებას, რომლის მისიაშიც განსაზღვრულია საერთაშორისო თანამშრომლობის პრიორიტეტი ან უცხოენოვანი პროგრამის განხორციელება, აქვს იმ ენის შესაბამისი ვებგვერდიც, რომელზეც ახორციელებს სწავლებას.

დაწესებულების მისიაში საერთაშორისო თანამშრომლობა ან უცხოენოვანი საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელება პრიორიტეტულ მიმართულებად განსაზღვრული არ არის.

ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: თ. ცუცქერიძე

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ა. ბერიძე

ნ. მანუაშვილი



3. პსდ უზრუნველყოფს მისი საქმიანობის, მათ შორის მის მიერ განხორციელებული საგანმანათლებლო პროგრამების შესახებ მხოლოდ სანდო და უტყუარი ინფორმაციის გავრცელებას;

უნივერსიტეტის ოფიციალური ვებგვერდი, სოციალური ქსელები და სხვა საკომუნიკაციო არხები ასრულებენ საინფორმაციო და საკომუნიკაციო ფუნქციას და უზრუნველყოფენ უნივერსიტეტის საქმიანობასთან დაკავშირებული ინფორმაციის ხელმისაწვდომობას დაინტერესებული მხარეებისთვის. აღნიშნულ პლატფორმებზე სისტემატურად ქვეყნდება ინფორმაცია მიმდინარე პროცესების, განხორციელებული აქტივობების, დაგეგმილი ღონისძიებებისა და სხვა მნიშვნელოვანი სიახლეების შესახებ.

ვებგვერდზე განსათავსებელი ინფორმაცია პასუხისმგებელ ადმინისტრატორს მიეწოდება შესაბამისი აქტივობის ან პროცესის განმახორციელებელი პასუხისმგებელი პირის მიერ, რაც უზრუნველყოფს ინფორმაციის დროულ განახლებასა და სიზუსტეს.

საჯაროდ გავრცელებული ინფორმაცია შეესაბამება დაწესებულების ფაქტობრივ უფლებამოსილებას და უზრუნველყოფს დაინტერესებული პირებისთვის სანდო და რეალური ინფორმაციის ხელმისაწვდომობას.

ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

4. საგანმანათლებლო პროგრამების კატალოგი ემსახურება დაინტერესებული პირების ინფორმირებას პსდ-ის საგანმანათლებლო აქტივობების შესახებ.

დაწესებულების ოფიციალურ ვებგვერდზე განთავსებულია პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების კატალოგი, რომელიც წარმოადგენს დაინტერესებული პირების ინფორმირების ერთ-ერთ მნიშვნელოვან ინსტრუმენტს და უზრუნველყოფს დაწესებულების საგანმანათლებლო საქმიანობის შესახებ ინფორმაციის ხელმისაწვდომობას.

კატალოგში წარმოდგენილია ინფორმაცია პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დასახელებების, მისანიჭებელი კვალიფიკაციების, პროგრამების მიზნების, დაშვების წინაპირობების, ხანგრძლივობისა და კურსდამთავრებულთა შემდგომი კარიერული შესაძლებლობების შესახებ. აღნიშნული ინფორმაცია ხელს უწყობს აბიტურიენტებისა და სხვა დაინტერესებული პირების მიერ საგანმანათლებლო არჩევანის გაკეთებას და მათთვის პროგრამების შესახებ სრულყოფილი წარმოდგენის შექმნას.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: თ. ცუცქერიძე -----

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: -----

ა. აბოიძე

ნ. მანუაშვილი



პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების კატალოგი დაწესებულების საინფორმაციო და საკომუნიკაციო ფუნქციას ასრულებს და ამავდროულად წარმოადგენს საგანმანათლებლო პროგრამების პოპულარიზაციის საშუალებას.

ვიზიტის ფარგლებში ექსპერტთა ჯგუფის მიერ ვებგვერდზე განთავსებული კატალოგის შესწავლის შედეგად დადასტურდა, რომ ინფორმაცია განახლებულია, შეესაბამება მოქმედ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებს და უზრუნველყოფს დაინტერესებული პირების ინფორმირებას დაწესებულების საგანმანათლებლო შესაძლებლობების შესახებ.

ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

5. პროგრამების კატალოგი ახლდება წლიურად, ასევე პროგრამაში განხორციელებული ცვლილებების შესაბამისად.

დაწესებულება პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებში განხორციელებული ცვლილებების გათვალისწინებით უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამების კატალოგის პერიოდულ განახლებას. კატალოგის განახლება ხორციელდება ყოველწლიურად, რათა მასში ასახული ინფორმაცია შეესაბამებოდეს მოქმედ საგანმანათლებლო პროგრამებსა და დაწესებულების მიმდინარე საგანმანათლებლო საქმიანობას.

ვიზიტის ფარგლებში ექსპერტთა ჯგუფის მიერ გადამოწმდა დაწესებულების ოფიციალურ ვებგვერდზე განთავსებული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების კატალოგი და დადასტურდა, რომ ატვირთულია 2025–2026 სასწავლო წლის განახლებული კატალოგი, რომელიც ასახავს მოქმედ პროგრამებთან დაკავშირებულ აქტუალურ ინფორმაციას და უზრუნველყოფს დაინტერესებული პირების სათანადო ინფორმირებას.

ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

6. საზოგადოებასთან კომუნიკაციის პროცესში სხვადასხვა არხების შედეგად მიღებულ უკუკავშირის პსდ იყენებს მისი საქმიანობის ხარისხის გასაუმჯობესებლად.

დაწესებულებაში ხარისხის უზრუნველყოფის პროცესების მხარდაჭერისა და გადაწყვეტილებების მიღების მიზნით ინფორმაციის შეგროვება ხორციელდება სხვადასხვა საკომუნიკაციო არხის გამოყენებით. აღნიშნული არხები მოიცავს ოფიციალურ სოციალურ ქსელებს,

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: თ. ცუცქერიძე

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ე. ბუბია

ნ. მანუაშვილი



ელექტრონული ფორმით განხორციელებულ გამოკითხვებს, ელექტრონული ფოსტის საშუალებით მიღებულ შეტყობინებებსა და დაინტერესებული პირების მიერ წარმოდგენილ სხვა სახის უკუკავშირს.

მიღებული ინფორმაციისა და შეკითხვების საფუძველზე, საჭიროების შემთხვევაში, ხორციელდება შესაბამისი რეაგირება. უნივერსიტეტი აანალიზებს საზოგადოებასთან კომუნიკაციის პროცესში სხვადასხვა არხის მეშვეობით მიღებულ უკუკავშირს და იყენებს აღნიშნულ ინფორმაციას საქმიანობის გაუმჯობესებისა და კომუნიკაციის ეფექტიანობის გაზრდის მიზნით.

განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა სოციალური მედიის პლატფორმებზე განთავსებულ კონტენტზე მომხმარებელთა გამოხმაურების ანალიზს, რომლის შედეგებს საზოგადოებასთან ურთიერთობისა და მარკეტინგის სამსახური იყენებს საინფორმაციო საქმიანობის დაგეგმვისა და გაუმჯობესების პროცესში.

ვიზიტის ფარგლებში წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესწავლისა და პასუხისმგებელ პირებთან ინტერვიუების საფუძველზე დადასტურდა, რომ დაწესებულება 2022 წლიდან ახორციელებს პროფესიულ სტუდენტთა გამოკითხვას ექსტრაკურიკულურ აქტივობებთან დაკავშირებით, რომლის შედეგებიც გამოიყენება სტუდენტური გამოცდილების შეფასებისა და შესაბამისი აქტივობების განვითარების მიზნით.

ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

- საზოგადოებასთან ურთიერთობის წესი;
- უნივერსიტეტის ოფიციალური ვებგვერდი ;
- ვებ-გვერდსა და სოც. ქსელის გვერდზე საკონტაქტო და სხვა საჭირო ინფორმაციის, სიახლეების და ასევე პროგრამების კატალოგის დათვალიერების შედეგები;
- ინტერვიუს შედეგები.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

თ. ცუცქერიძე

ნ. მანუაშვილი



შეფასება:

- ☒ შეესაბამება
- ☐ მეტწილად შეესაბამება
- ☐ ნაწილობრივ შეესაბამება
- ☐ არ შეესაბამება

ნაწილი IV. თანდართული დოკუმენტაცია
დანართი 1. ვიზიტის დღის წესრიგი

თარიღი

26.08.2026

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

თ. ცუცქერიძე

ნ. მანუაშვილი

ე. ბერიძე

გ. მამუკაშვილი